



საქართველოს ზიზღიერებები



**„სავერუბელი ღვთის მშობლისა“, 1809 წ. სოფელი წახი
კირველი ქართული მინიატურული წიგნი**



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი:	მაია მიქაბერიძე
საპატიო რედაქტორი:	ალექსანდრე ლორია
სარედაქციო კოლეგია:	გულნარა სტურუა რუსუდან ასათიანი დალი მაჩაიძე მირიან ხოსიტაშვილი
ტექნიკური რედაქტორი:	ლოლა სანაია
დიზაინი:	გიგი გელაშვილი
დაკაბადონება:	დიანა დანელიანი

საქართველოს ბიბლიოთეკა №3 (92) – 2023; გამოიცემა 2000 წლიდან.
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ლოგოში გამოყენებულია გრავიორ გრიგოლ ტატიშვილის მიერ შესრულებული ქართული ანბანის ასოთა ბმული.

ISSN 1512-0880
www.nplg.gov.ge
www.gela.org.ge



[www.fb.com/magazineLibraryofGeorgia](https://www.facebook.com/magazineLibraryofGeorgia)



შინაარსი

რელაქციონისაგან

მაია მიქაბერიძე

ბიბლიოთეკებისადმი უანგარო ზრუნვაც სამშობლოს სიყვარულია!

3

ბიბლიოთეკა და საზოგადოება

მაია მიქაბერიძე

საბიბლიოთეკო შემოწირულობათა შესახებ:

„აკაკის საიუბილეო კრებული“

4

„სავედრებელი ღვთის მშობლისა“

6

„ვარშაყიანი“

7

ინკუნაბულა „Hortus Sanitatis“ - ჯანმრთელობის ბაღი

8

„კუბისტი მხატვრები“

10

ჟურნალი „კავშირი“

12

წიგნები ეშწკ საზოგადოების წიგნთსაცავის ბეჭდით

12

წიგნი-ალბომი „Поход сводного самокатного отряда

Кавказской Краснознамённой Армии. Тифлис – Владикавказ – Тифлис. 19-25/V- 30

14

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ბიბლიოთეკა: საერთაშორისო ურთიერთობები

მემორანდუმი რომის ეროვნულ

ბიბლიოთეკასთან

16

მაია სიმონიშვილი

ევროპის ციფრული დიალოგის კონფერენცია 2023

18

საქართველოს ბიბლიოთეკები: დაარსების ისტორია და დღევანდელი

წინელი მელქაძე, ნანა კაციტაძე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიის სათავეებთან: ოგიუსტ და ვლადიმერ დე-სენ-ტომა

23

მარინა კაპანაძე

სოფელ კვალითის ბიბლიოთეკაში: ლადო ასათიანის გახსენება

26





თონა კაპანაძე

ქვედა საქარის ბიბლიოთეკა - გზა გავლილი და გასავლელი

27

მანანა გოგსაძე

რუსთავის ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა

32

ლელა დედაბრიშვილი

„გაწეული ღვანჯირი კეთილი საქმისთვის - ჩვენი მასწავლებლები“ (იყალბოს ბიბლიოთეკა)

39

ვანო ჯახუა

კასპის საბიბლიოთეკო ისტორიის ქრონიკები

41

ღვანულამოსილი ადამიანები

თამაზ ლაცაბიძე

ალექსანდრე ხორავა

45

წიგნის ისტორია

ნინო ხვედელიძე

ნიკოლო დი ლორენცო და მისი ინკუნაბულები

51

რეცენზია, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები

თემურ მარშანიშვილი

„ღერჩის ქვების ღაღადისმა“ გურიამიც აგვაფორიაქა

56

ხელოვნება

ქაკლინ სირაძე

ოთარ იოსელიანის შემოქმედება. საუბარი საუბრამდე

58

წმინდა ლავრენტი -

ბიბლიოთეკართა მეოხი/

მასალები შერჩევა თამარ გაბოძემ

63



მაია მიქაბერიძე

ბიბლიოთეკებისადმი უანგარო ზრუნვაც სამშობლოს სიყვარულია!

საინტერესო ცნებაა „სახელმწიფოებრივი აზროვნება“ - თითქოს-და ადვილად გასაგები, მაგრამ ასე რთული, როცა შესაბამისი ქმედებების აუცილებლობის ფაქტი დგება. შესაბამის ქმედებებში კი, უპირველესად, იგულისხმება საკუთარი, პიროვნული ინტერესების წინ ქვეყნის ინტერესების დაყენება მაშინაც კი, როცა შენგან ამას არავინ ითხოვს - კანონი არ გავალდებულებს!

აუცილებელი არ არის, პოლიტიკოსი იყო, სახელმწიფოებრივად რომ აზროვნებდე. ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქის მიერ სამშობლოს საკეთილდღეოდ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი უკვე ნიშნავს, რომ მას გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედებების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და, რომ იგი ამ ქვეყნის ღირსეული მოქალაქეა.

ღირსეული მოქალაქეები რომ არ ჰყოლოდა საქართველოს, მისი სახელი, როგორც კულტურული ქვეყნისა, დიდი ხანია გაქრებოდა მსოფლიო რუკაზე.

ისინი სხვადასხვა სფეროში იღვწოდნენ და ახლაც იღვწიან, მათ შორის - საბიბლიოთეკო საქმეშიც. მე-19 საუკუნეში კერძო შემომწირ-

ველების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საბიბლიოთეკო ცხოვრების გააქტიურება და შესაბამისად, საყოველთაო განათლების საქმის გაფართოება.

ამ პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავ-მუზეუმისათვის საქართველოს მოსახლეობისაგან მასობრივად შეწირული ქართული კულტურის საგანძური - ძველი ხელნაწერები, ძველნაბეჭდი წიგნები, ისტორიული დოკუმენტები და ნივთები.

დღესაც, სახელმწიფო დაფინანსების პარალელურად, კერძო პირები - უბრალო ადამიანები, საზოგადო მოღვაწეები თუ ბიზნესის წარმომადგენლები, ზრუნავენ ბიბლიოთეკებზე, მათი ფონდების შევსებაზე. საინტერესოა ის ამბავი, რომ ასეთი ქველმოქმედება მოდურიც კი ხდება. ბიბლიოთეკების მნიშვნელობის გააზრების გარდა, ადამიანებს პატივად მიაჩნიათ მათი ხელშეწყობა, მათთან თანამშრომლობა.

ჩვენი ჟურნალის წინამდებარე მე-3 ნომერში მთავარი აქცენტი საბიბლიოთეკო შემოწირულობებზე გავაკეთეთ. ბევრი მაგალითი დაგროვდა თუნდაც ბოლო წლების განმავლობაში და სურვილი გაგვიჩნდა, საზოგადოებას გავაცნოთ ქველმოქმედთა სახელები.



მაია მიქაბერიძე

საბიბლიოთეკო შემოწირობათა შესახებ

ქართული ბეჭდური წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ჩვენი ერის კულტურული მემკვიდრეობის საყურადღებო ნაწილია. მათი მოვლა-დაცვა და შთამომავლობისათვის გადაცემა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმეა და სახელმწიფოც შესაბამისად ზრუნავს მათზე.

სასიხარულო და საამაყო ის ფაქტი, რომ კულტურის დაცვის თვალსაზრისით, ქართველებს დღესაც ისევე ისეთი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება აქვთ, რაც გამოიხატება ბიბლიოთეკებისადმი მათი თანადგომით. ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პარალელურად, ჩვენი თანამემამულეები, უფრო თხილდებიან სხვადასხვა ქვეყნის მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ძეგლებს, მათ შორის, წიგნებს.

ჩვენი მიზანია, დროდადრო გავაშუქოთ იმ ადამიანთა ღვაწლი, რომლებმაც უანგაროდ იზრუნეს ბიბლიოთეკებისთვის. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კოლეგები საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკიდან მოგვანვდიან ინფორმაციას მათი ბიბლიოთეკების მიმართ საზოგადოების მხრიდან გამოჩენილი მზრუნველობის შესახებ.

ამჯერად კი გავაცნობთ ბოლო წლებში ეროვნული ბიბლიოთეკისათვის კერძო პირთა მიერ შემოწირულ რამდენიმე მნიშვნელოვან გამოცემას.

„აკაკის საიუბილეო კრებული“.

როგორც ცნობილია, 1908 წელს აკაკი წერეთელს ქართველმა საზოგადოებამ მოუწყო სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილე. ამავე წელს საიუბილეო კომისიამ გამოსცა ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილი წიგნი „აკაკის საიუბილეო კრებული“. ეს წიგნი დიდი ტირაჟით დაიბეჭდა და ფართოდ გავრცელდა ქართველ საზოგადოებაში. ამის გამო ეს გამოცემა არ ითვლება ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად, თუმცა ერთერთ ეგზემპლარს განსაკუთრებული პედი ხვდა წილად - აკაკის პირადი ექიმისა და მეგობრის, ივანე ელიაშვილის დიდი ძალისხმევით მასზე ავტოგრაფები დატოვეს: აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ,

თედო რაზიკაშვილმა, ვალერიან გუნიათ, გრიგოლ რობაქიძემ, ილია ნაკაშიძემ, ნინო ნაკაშიძემ, დავით კარიჭაშვილმა, გამომცემელმა აკობიამ და სხვა ცნობილმა მოღვაწეებმა.



დროთა განმავლობაში ამ ეგზემპლარს მეტი ფასი დაედო, პირდაპირი და გადატანილი მნიშვნელობით. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის სხვადასხვა ფონდში ამ გამოცემის 13 ერთეული ინახება, ბიბლიოთეკის დირექცია მაინც მზად იყო, ავტოგრაფიანი ეგზემპლარის შესაძენად დიდი თანხა გადაეხადა. პრობლემა იყო ამ ძვირფასი ეგზემპლარის მოძიება. საქმეში ჩაერთვნენ ახალგაზრდა თბილისელი ბუკინისტები ლადო ბებია და თაზო გუჯაჯიანი. მათ ყველგან მოიძიეს, საბოლოოდ იპოვნეს წიგნი და ბიბლიოთეკაში მოიტანეს. საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი, ლევან თაქთაქიშვილი, ასე აღწერს მათთან შეხვედრის ეპიზოდს:

„მოვიდნენ ბიჭები და მოიტანეს წიგნი. რამდენი უნდა გადავიხადოთ მეთქი და ცივი სახე მინდა მივიღო, თვალის უბე მითრთის.

3000 ლარს გადავიხდით მეთქი!




ლადო ბებია და თაზო გუჯაჯიანი

ლადო მეუბნება:


- ჩვენ, მე და თაზოს საკმაო ხარჯი დაგვიჯდა ამ წიგნის შეძენისთვის, მაგრამ გვსურს, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადავცეთ!

გავოცდი! ახალგაზრდა ბიჭები, ოჯახები აქვთ სარჩენი და ...



- კარგად დაფიქრდით-მეთქი!
 - ჩვენ პატივს ვცემთ შენს მონდომებას, რასაც შენ ბიბლიოთეკისათვის არ იშურებ, ეს ბიბლიოთეკა ჩვენიცაა! ერთიც მინდა დავამატო, ამბობს ლადო, შემონირვა გაკეთდეს ჩემი, თაზოს და ჩემი ქალიშვილის სახელზე. ადგენენ და გავიდნენ. წიგნი მაგიდაზე დატოვეს.

ჩვენ არ დავიღუპებით, ჩვენ უკეთესი თაობა გვყავს!
 გაუმარჯოს ამ პატრიოტებს - ლადო ბეზიას და თაზო გუჯეჯიანს!



სამუსლიმანო საქართველო

P.S. უნდა ვაღიაროთ, რომ სატიტულე ფურცელზე არცერთ წიგნს არ აქვს ამდენი ავტოგრაფი, აქამდე არ ჰქონდა ეროვნულ ბიბლიოთეკას ვაჟას ავტოგრაფიანი წიგნი. ეროვნული ბიბლიოთეკა მადლობას უცხადებს ამ ორ გულანთებულ ქართველს“.

აღსანიშნავია, რომ ლადო ბეზიამ და თაზო გუჯეჯიანმა სხვა დროსაც გამოიჩინეს თავი ამ მხრივ და ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს უნიკალური გაზეთის - ბათუმში გამოცემული 1919 წლის 16 იანვრის „სა-

მუსლიმანო საქართველოს“ ნომერი, რომელიც არცერთ ბიბლიოთეკაში არაა დაცული. ასევე არაერთხელ შეაძენინეს ეროვნულ ბიბლიოთეკას ისეთი გამოცემები, როგორცაა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია - ბათუმში დაბეჭდილი, ნიკო ნიკოლაძის წერილები ცოლთან, სხვა და სხვა.

„სავედრებელი ღვთის მშობლისა“

2023 წლის ივნისს მარინა კობიაშვილმა და მისმა მეუღლემ დიმიტრი გვანცელაძემ ეროვნულ ბიბლიოთეკას ჩააბარეს ელენე იოსების ასული დადიანის საოჯახო არქივი, რომელშიც მრავალ საინტერესო ნივთთა შორის იყო აგრეთვე წიგნი „სავედრებელი ღვთის მშობლისა“, რომელიც თავისი ფორმატით მიეკუთვნება ე.წ. მინიატურული წიგნების კატეგორიას.

როგორც ცნობილია, მინიატურული ბეჭდური წიგნების ისტორია მე-15 საუკუნიდან იღებს სათავეს. დღეისათვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, მინიატურულად ითვლება გამოცემა, თუ მისი ზომა სიგრძესა და სიგანეში არ აღემატება 76.2 მმ-ს.

„სავედრებელი ღვთის მშობლისა“ ფორმატი არის 7,5x5 მმ და იგი მთლიანად ჯდება საერთაშორისო სტანდარტში. წიგნი დაიბეჭდა 1809 წელს და წარმოადგენს პირველ ქართულ მინიატურულ ბეჭდურ გამოცემას,



სავედრებელი ღვთის მშობლისა

რითაც იგი განსაკუთრებულად ფასეულია ძველნაბეჭდ ქართულ წიგნთა შორის. წიგნი 142 გვერდისგან შედგება.

„სავედრებელი ღვთისმშობლისა“ სხვა მხრივაც გამოირჩევა. იგი დაბეჭდილია რაჭის სოფელ წესში. საერთოდ, მე-19 საუკუნის დასაწყისში სულ რამდენიმე წიგნი დაიბეჭდა დასავლეთ საქართველოში, იმერეთის სტამბაში, აქედან მხოლოდ ორი წიგნია სოფელ წესში დაბეჭდილი - ერთი, ზემოთ ნახსენები „სავედრებელი ღვთის მშობლისა“ (1809 წ.) და მეორე - „გამოკრებილი სადღესასწაულო“ (1811 წ.). ეს უკანასკნელი ასევე მცირე ზომისა იყო, თუმცა არა მინიატურული.

ქუთაისიდან რაჭაში სტამბის დროებით გადატანას ორგვარად ხსნიან ისტორიკოსები. ერთი ვერსიით, იმერეთზე მტრის თავდასხმის მოლოდინი სახელდება, მეორე ვერსიით კი - ბარში ჭირის გავრცელების საშიშროება. იმერეთის მეფემ, სოლომონ მეორემ სასტამბო დანადგარები მთაში გახიზნა და ასე გადაარჩინა სტამბაც და მესტამბეებიც.

ამრიგად, სოფელ წესის სტამბაში სულ ორი წიგნი დაიბეჭდა, ორივე ნუსხა-ხუცური შრიფტით. ორივე მესტამბე რომანოზ ზუბაშვილის ხელით, ორივე მცირე ზომისა. წიგნები თან სატარებლად იყო განკუთვნილი, რამაც განაპირობა მათი ასეთი ფორმა. ყველაფერი ამ მიზეზის გამო, წესის წიგნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა.

ხელნაწერი წიგნებისაგან განსხვავებით, ნაბეჭდი წიგნების ტექსტი არ იცვლება ტირაჟის მიუხედავად, მაგრამ მათი აკინძვა და ყდის გაკეთება ინდივიდუალურად, ხელით ხდებოდა. შესაბამისად, სხვადასხვა მკინძავის შემთხვევაში, ერთსა და იმავე ნაბეჭდ ტექსტს განსხვავებული ყდა შეიძლება ჰქონოდა. ამავე დროს, თითოეულ ეგზემპლარს, როგორც წესი, ახლავს ხოლმე მფლობელის მინაწერები, რაც ასევე საინტერესოა ქართული წიგნის მკვლევართათვის. „სავედრებელი ღვთის მშობლისა“ შემონიშნული ეგზემპლარი შემოსილია ყავისფერი ტყავის ყდით.

კოლექციონერებისათვის ძველნაბეჭდი და თანაც მინიატურული წიგნი სასურველი შენაძენი იქნებოდა, მაგრამ ქალბატონმა მარინა კობიაშვილმა და ბატონმა დიმიტრი გვანცელაძემ არჩიეს, რომ წინაპრის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ეს წიგნი ეროვნული



ლუარსაბ ტოგონიძე

წელი ბიბლიოთეკისათვის ჩაებარებინათ. მაღლობა მათ ასეთი პატრიოტული სულისკვეთების გამოჩენისათვის.

„ვარშაყიანი“

ლუარსაბ ტოგონიძემ, ეროვნული ბიბლიოთეკის დიდმა მეგობარმა, რესტავრაციის და კონსერვაციის განყოფილების ერთერთმა დიდმა მოამაგემ და მხარდამჭერმა, ეროვნულ ბიბლიოთეკას შესწირა წიგნი, რომელიც მანამდე არ იყო დაცული ბიბლიოთეკის ფონდებში.


ეს წიგნი არის:

ვარშაყიანი: ძველებური ზღაპრული მოთხრობა : კარი 1 / ნათარგმნი გარდასწორებით მ. ახპატელოვისა / გამოცემული აზ. ა. ხომტარიასი. - ტფილისი, 1885 (მ.დ. როტინიანცის სტამბა).

„ვარშაყიანი“ საგმირო-ფანტასტიკური ხასიათის ვრცელი თხზულებაა, რომელშიც მოთხრობილია ვარშაყისა და მისი წინაპრების საფალავნო თავგადასავალი. იგი თარიღდება XVII — XVIII საუკუნეებით. თხზულება სპარსულიდანაა ნათარგმნი ან გადმოკეთებული. ქართული ვერსიის ავტორი უცნობია.

„ვარშაყიანი“ შედგება 18 კარისაგან. ჩვენამდე მოღწეულია ერთ-ერთი ნაკლული ნუსხით (S-2398). გამოცემულია მხოლოდ 1 კარი.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ამ დრომდე ინახებოდა „ვარშაყიანის“ მეორე, 1899 წლის გამოცემა. ამ შემონაწირით კი კიდევ უფრო გამდიდრდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის არქივი.



ვარშაიანი

მადლობა ბატონ ლუარსაბ ტოგონიძეს ამ საჩუქრისთვის!

ინკუნაბულა

„Hortus Sanitatis“ - ჯანმრთელობის ბაღი

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს. მისი ბეჭდური მდიდარი წიგნადი ფონდი იტევს ინფორმაციას არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის, თვით რუსეთის იმპერიისა და, ნაწილობრივ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების შესახებ.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ჩვენს ბიბლიოთეკაში არ ინახებოდა არც ერთი ინკუნაბულა. როგორც ცნობილია, ინკუნაბულას (ლათინურად *incunabula* - „საწყისი“, „აკვანი“) უწოდებენ ევროპაში 1501 წლის 1 იანვრამდე დაბეჭდილ წიგნებს. ინკუნაბულები, ძირითადად, ლათინურ ენაზე გამოიცემოდა და სწავლული ადვოკატებისა და ღვთისმსახურებისთვის იყო განკუთვნილი.



გიორგი კეკელიძე და კომპანია შუხმანის ღვინოების მენეჯერ ნუცა აბრამიშვილი

2016 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ გაავრცელა მიმართვა ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმისთვის ინკუნაბულას შეძენის თხოვნით. გიორგი კეკელიძის განცხადებას მაშინვე გამოეხმაურა ცნობილი მეღვინე ბურკჰარტდ შუხმანი და წიგნის შეძენის სურვილი გამოთქვა. მართლაც, რამდენიმე ხანში ეროვნულ ბიბლიოთეკას კომპანია „შუხმანის ღვინოებმა“ საგანგებოდ ბიბლიოთეკისთვის შეძენილი ინკუნაბულა გადასცა. გამოცემა ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმში განთავსდა.



ბურკჰარტდ შუხმანი

ეროვნული ბიბლიოთეკისათვის გადმოცემულ წიგნს ეწოდება „Hortus Sanitatis“ - ჯანმრთელობის ბაღი. იგი ენციკლოპედიური ხასიათის წიგნია სამკურნალო მცენარეების შესახებ. წიგნი პირველად დაიბეჭდა გუტენბერგის მონაფის, პეტერ შეფერის სტამბაში, მაინცში 1485 წელს. ეს იყო ამ თემაზე ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ცნობილი გამოცემა. მან დიდი წვლილი შეიტანა სამეცნიერო ფარმაცევტიკის, განსაკუთრებით კი ფარმაკოგნოზის - სამკურნალო მცენარეთა შესახებ მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესში. წიგნი შედგება სხვადასხვა თავისაგან, რომლებშიც აღწერილია მცენარეები, ცხოველური წარმოშობის მხამები და მინერალები.

მეთექვსმეტე საუკუნეში, როდესაც მედიცინა ძირითადად სამკურნალო მცენარეებს და მკურნალობის სხვა, ნაკლებად სანდო ხერხებს მიმართავდა, ამ გამოცემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

წიგნის ილუსტრაციები გრავიორ ერჰარდ როვიცის ეკუთვნის. გაზაფხულსა და ზაფხულში მოყვავილე მცენარეები ფერადი მელნით, ბუნებრივადაა გამოსახული. გრაფიკის ხარისხი იმ დროისთვისაც უჩვეულო იყო. რამდენიმე მესტამბის ერთობლივი და შეთანხმებული შრომის წყალობით წიგნი გახდა ყველაზე სანდო წყარო მოგვიანო პერიოდის ბოტანიკოსებისთვის. ამ წიგნის 60-მდე გადამუშავებული ვარიანტი გამოიცა, მათ შორის 13 ინკუნაბულა.

წიგნის მუზეუმისათვის შემონიშნული ეგზემპლარი დაბეჭდილია 1491 წელს. მის გარდა ამავე კომპანიისაგან ეროვნულ ბიბლიოთეკას გადმოეცა აგრეთვე 1924 წელს შესრულებული 1485 წლის გამოცემის ფაქსიმილური გამოცემა, რაც ასევე საყურადღებო ბეჭდური ერთეულია.

მცირე ინფორმაცია კომპანია „შუხმანის ღვინოების“ შესახებ: კომპანია Schuchmann Wines Georgia (SWG) შეიქმნა 2008 წელს.



ჯანმრთელობის ბაღი

მისი დამაარსებელი - გერმანელი ბიზნეს-მენი ბურკჰარტდ შუხმანი ახალგაზრდობაში რამდენიმე წლის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში, როგორც სტუდენტი და მაშინ გაუჩნდა სურვილი, საქართველოში შეექმნა ფრანგული შატოს ტიპის მაღალი ხარისხის ღვინის საწარმო.

ეროვნული ბიბლიოთეკისათვის ინკუნაბულას შექენასთან დაკავშირებით კომპანიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ამგვარი მხარდაჭერა კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობაა, სხვა კერძო კომპანიებისთვის კი - კარგი მაგალითია.


„კუბისტი მხატვრები“

მუზეუმების დღესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა შეიძინა ორი გამოცემისგან შემდგარი წიგნი, რომელიც 2022 წლის 18 მაისს საჩუქრად გადასცა საქართველოს

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებულ წიგნის მუზეუმს. ორივე წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

ტერმინი „კუბიზმი“ 1911 წელს გაჩნდა, ის უკავშირდება ბრიუსელში ჩატარებულ გამოფენას, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჟან მეტცენჟემ, ალბერ გლეზმა, რობერ დელონემ და ფრანსუა ლეჟემ. 1912 წელს მეტცენჟემ და გლეზმა გამოაქვეყნეს წიგნი „კუბიზმის შესახებ“, რომელიც განმარტავს ტერმინს და ამ მიმდინარეობის პირველ თეორიულ ტრაქტატს წარმოადგენს. გლეზის თეორეტიკული ნაშრომები ძალიან ფასობდა ევროპაში. ამ მხატვარმა დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე ამერიკული ხელოვნების განვითარებაზე.

ცნობილმა ფრანგმა პოეტმა, დრამატურგმა, მოთხრობებისა და რომანების ავტორმა, ხელოვნებათმცოდნე გიომ აპოლინერმა დიდი როლი ითამაშა მოდერნიზმის განვითარებაში. ადრეული მოდერნიზმის წარმომადგენლის შემოქმედება ეხმიანებოდა სიმ-



Les peintres cubistes : ouvrage accompagné de 46 portraits et reproductions hors texte / Guillaume Apollinaire. Paris, 1913 და Du "Cubisme" / Albert Gleizes & Jean Metzinger; ouvrage de Jean Metzinger. Paris, 1912.



ბოლისტებს, კუბისტებს. 1902-1918 წლებში ფრანგი პოეტი აქტიურად თანამშრომლობდა ლიტერატურულ ჟურნალებში, დაარსა საკუთარი ჟურნალი, იყო გალერეებისა და გამოფენების მხარდამჭერი, ავანგარდული ხელოვნების კოლექციონერი. მისმა მხარდაჭერამ დიდი როლი ითამაშა სიმბოლისტური ხელოვნების განვითარებაში.



საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სტუმრად საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

წიგნი „Les peintres cubistes“ 1905-1912 წლებში იწერებოდა, დაიბეჭდა 1913 წელს. ეს არის კუბიზმის შესახებ დანერგილი მესამე წიგნი, რომელშიც დაიბეჭდა პაბლო პიკასოს, ჟორჟ ბრეკის, ჟან მეტცენფეს, ალბერ გლეზის, ფერნან ლეჟეს და სხვათა ნამუშევრების შავ-თეთრი რეპროდუქციები. „კუბისტები მხატვრები“ გიომ აპოლინერის ცალკე წიგნად გამოცემული ერთადერთი კრიტიკული ნაშრომია, სადაც აპოლინერი განიხილავს კუბისტური მოძრაობის ისტორიას, მის ესთეტიკას, წარმოშობასა და განვითარებას.




შორენა ოსიპოვა - იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსი, თამარ დემეტრაშვილი - იშვიათ გამოცემათა განყოფილების თანამშრომელი, სალომე ზურაბიშვილი-საქართველოს პრეზიდენტი, ლევან თაქთაქიშვილი - საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი

როგორც ყველა კუბისტის ახლო მეგობარი, აპოლინერი უშუალოდ შეესწრო კუბიზმის განვითარებას. ის მჭიდრო კავშირში იყო „Le Bateau-Lavoir“-თან და „Groupe de Puteaux“-თან (ან ოქროს განყოფილებასთან). აპოლინერმა შექმნა ავანგარდის რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერმინი, როგორცაა ორფიზმი (1912 წელს ოქროს სალონში) და სიურეალიზმი (1917 წლის ბალეტის აღლუმის შესახებ). მან პირველმა დანერგა ტერმინი „კუბიზმი“ თავისი თანამემამულე მხატვრების სახელით (1911 წლის დამოუკიდებელ სალონში, ბრიუსელი). ის წერდა კუბიზმზე და მასთან დაკავშირებულ მოძრაობებზე, როგორცაა ფოფიზმი, ფუტურიზმი და სიმულტანიზმი, მაგრამ მისი ყველაზე დამაჯერებლად ორიგინალური პოზიცია გვხვდება „Les Peintres Cubistes“-ში, მისი ახალი ხელოვნების მოძრაობის ანალიზში: „ახალი მხატვრები ესწრაფვიან იდეალურ სილამაზეს, რომელიც იქმნება არა ცალკეული ნივთის გამოსახულებით, არამედ გადმოსცემს სინათლით ჰუმანიზებულ სამყაროს.“ (კუბისტები, გვ. 18).

განსაკუთრებულ ფასს ამ წიგნს სძენს ის ფაქტი, რომ ის ცნობილი ქართველი მხატვრის, ელენე ახვლედიანის პირად საკუთრებას წარმოადგენდა.

ჟურნალი „კავშირი“

ფილოლოგიის დოქტორმა, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მკვლევარმა და ეროვნული ბიბლიოთეკის ერთგულმა მკითხველმა ნათია სიხარულიძემ ბიბლიოთეკას შემოსწირა ჟურნალ „კავშირის“ 1918 წლის სრული კომპლექტი (N1-32).



ჟურნალი „კავშირი“ იყო, როგორც თვით გამოცემას აწერია, - „ყოველკვირეული საკოოპერაციო ჟურნალი. ორგანო ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა.“ იგი გამოიცემოდა 1917-1926 წლებში. მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა შესაბამისი წლების



ნათია სიხარულიძე


საქართველოს (და ამიერკავკასიისა) ეკონომიკური ვითარების ამსახველი მასალები.

ჟურნალის 1918 წლის კომპლექტი ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო პერიოდის - დამოუკიდებელი საქართველოს პირველი წლის, პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების ერთგვარი სარკეა. ესაა ინფორმაციის ფასდაუდებელი საღარო როგორც მეცნიერთათვის, ასევე საზოგადოების და ინტერესებული ნაწილისათვის.


ამ დრომდე ეროვნულ ბიბლიოთეკაში 1918 წლის არცერთი ნომერი არ ინახებოდა, ამიტომ ახალგაზრდა მეცნიერის ამ შემოსწირის დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ბიბლიოგრაფიის არქივის სრულყოფის თვალსაზრისით.

წიგნები ქმნკ საზოგადოების წიგნთსაცავის ბეჭდით

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ქალბატონმა მანანა კვაჭაძემ, ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა მისი სახელოვანი მამის, ენათმეცნიერ ლეო კვაჭაძის პირად ბიბლიოთეკაში დაცული ორი უნიკალური წიგნი: ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები:



1913 წლის გამოცემა



1904 წლის გამოცემა

ქართული სიტყვიერების ისტორია : (უძველესი დროიდან მე-XVIII საუკ. გასულამდე). - ტფილისი : ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამოცემა N 65, 1904 (თავართქილაძის სტ.) - IV, 593, XIX, 1 გვ. ; 21 სმ.

და ასევე, ალექსანდრე ხახანაშვილის ქართულის სიტყვიერების ისტორია: (მეცხრამეტე საუკუნე) / დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით. - ტფილისი : ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამოცემა N 105, 1913 (ს.მ. ლოსაბერიძის სტ.) - 332, IV გვ. ; 21,5 სმ.



ქმნკგ საზოგადოების წიგნთსაცავის ბეჭედი



მანანა კვაჭაძე და ლევან თაქთაქიშვილი

ორივე ამ გამოცემას სატიტულე ფურცელზე დასმული ჰქონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავ-მუზეუმის ბეჭედი და საინვენტარო ნომერი, რაც იმას მიუთითებდა, რომ ორივე მათგანი ამ საზოგადოების ბიბლიოთეკის კუთვნილი ეგზემპლარი იყო.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქმნკგ საზოგადოების წიგნსაცავი ინახებოდა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1937 წლიდან კი გადაეცა საჯარო ბიბლიოთეკას (დღეს-ეროვნული ბიბლიოთეკა). თითოეულ ეგზემპლარს, ქმნკგ საზოგადოების წიგნთსაცავის გარდა, დაემატა შესაბამისი უწყებების საინვენტარო ნომრები.

მანანა კვაჭაძის მიერ გადმოცემულ წიგნებს კი ქმნკგ საზოგადოების წიგნთსაცავის ბეჭდის გარდა არ ჰქონდა სხვა ბიბლიოთეკების კუთვნილების აღმნიშვნელი არანაირი ნიშანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს წიგნები 1921 წლამდე იყო გამოტანილი ამ ისტორიული ბიბლიოთეკიდან. ბატონ ლეო კვაჭაძეს ეს წიგნები შეუძენია ბუკინისტურ მაღაზიაში 1963 წელს. გაურკვეველია ამ გამოცემათა გზა ქმნკგ საზოგადოების წიგნთსაცავიდან ბუკინისტურ მაღაზიამდე, მაგრამ დასასრული კი ნამდვილად ნათელია და

სასიხარულო - ორივე წიგნი დაუბრუნდა წიგნთსაცავს, აღდგა მათი პირვანდელი საინვენტარო ნომრები: 5606 და 4135 და ასე შეივსო ქართული წიგნთბეჭდვის ისტორიის თვალსაჩინო არქივი.

ქალბატონმა მანანამ აჩუქა ეროვნულ ბიბლიოთეკას ეს ორი უნიკალური ეგზემპლარი. ეროვნული ბიბლიოთეკა მადლობას უცხადებს მას ამ ძვირფასი საჩუქრისათვის! საზოგადოებას კი თხოვნიტ მიმართავს, რომ მონაწილეობა მიიღოს ქმნკგ საზოგადოების წიგნთსაცავის სრულად აღდგენის საქმეში; დააკვირდეს და მოიძიოს წერა-კითხვის ბიბლიოთეკის ბეჭდიანი წიგნები, რომლებიც ბუკინისტური მაღაზიების გარდა კერძო, საოჯახო ბიბლიოთეკებში შეიძლება ჰქონდეს ვინმეს და არც კი იცოდეს, მათი წარმომავლობა და მნიშვნელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა დაასაჩუქრებს ყველას, ვინც შემოსწირავს ამ ექსპონატებს. ხოლო ვისაც სურს, რომ ჰქონდეს ისინი პირად მფლობელობაში, ბიბლიოთეკის თანამშრომლები მათივე მადლიერი დარჩებიან, თუკი მიეცემათ საშუალება, აღწერონ ასეთი

წიგნები და ასე შეავსონ წიგნთსაცავის კატალოგი.

წიგნი-ალბომი

ჩვენმა თანაქალაქელმა მიხეილ ზამთარაძემ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა მეტად საინტერესო წიგნი-ალბომი:

**Поход сводного самокатного отряда
Кавказской Краснознамённой Армии
Тифлис – Владикавказ – Тифлис
19-25/V- 30**

სანამ უშუალოდ ალბომზე გადავიდოდეთ, მოკლედ გაგაცნობთ ინფორმაციას თვითმავალი რაზმების შესახებ. თვითმავალ რაზმებს (Самокатные отряды) უწოდებდნენ ველოსიპედისტთა სამხედრო ნაწილებს.

ველოსიპედების გამოყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არმიებში დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოდან და გაგრძელდა მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე. ეს ის პერიოდი იყო, როცა სამხედრო საქმეში კავალერიამ





მიხეილ ზამთარაძე

ფაქტობრივად ამონურა თავისი შესაძლებლობები, ხოლო მოტორიზებული ქვეითა ეპოქა ჯერ არ იყო დამდგარი. ველოსიპედი აღმოჩნდა ბევრად მოსახერხებელი სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც არ სჭირდებოდა არც საკვები და არც სანვაი; სირქარეც არანაკლები ჰქონდა და გასარემონტებლადაც ადვილი იყო.

ცნობილია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, კერძოდ 1919 წელს მილიციის სამმართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში წინადადებაც შეუტანია ველოსიპედისტა რაზმის შედგენის შესახებ (გაზ. „ივერია“, 1919 წ., 20 დეკ., N 32, გვ. 3).

სხვა ქვეყნების მსგავსად რუსეთის არმიაც იყენებდა თვითმავალ რაზმებს სხვადასხვა ოპერაციის შესასრულებლად. საბჭოთა

ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს რაზმები შევიდა როგორც წითელი არმიის, ასევე სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (БЧК) სამხედრო სტრუქტურაში.

მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო ოპერაციებში თვითმავალი რაზმების გამოყენების აუცილებლობა აღარ არსებობდა. შესაბამისად მინელდა მათდმი ინტერესიც.

თვითმავალ (ველოსიპედისტთა) რაზმების შესახებ ლიტერატურა ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში ფაქტობრივად არ არსებობს, ამიტომ საჩუქრად გადმოცემული ალბომი ერთგვარად შეავსებს ინფორმაციის დეფიციტს ამ თემაზე.

სათაურის მიხედვით, იგი ასახავს კავკასიის წითელი არმიის თვითმავალი შეერთებული რაზმის ლაშქრობას, მარშრუტით „თბილისი-ვლადიკავკაზი-თბილისი“, რომელიც შემდგარა 1930 წლის მაისში.

ნიგნზე სხვა გამოსასვლელი ცნობები არაა დაბეჭდილი. მეტიც, მასში საერთოდ არაა ტექსტობრივი ინფორმაცია - ალბომი მხოლოდ ფოტოებს შეიცავს. თბილისისა და ვლადიკავკაზის მითითება, სავარაუდოდ, უნდა ნიშნავდეს არა მხოლოდ მარშრუტის მთავარ პუნქტებს, არამედ იმასაც, რომ იგი ამ ქალაქებში მომზადდა, თუმცა კონკრეტულად რომელი ქალაქის სტამბაში დაიბეჭდა, არ ჩანს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კავკასიის წითელი არმიის შტაბ-ბინა თბილისში იყო განთავსებული, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წიგნი-ალბომი საქართველოს დედაქალაქში დაისტამბა.



გამორანდუმი რომის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბიბლიოთეკაშია დაცული ინფორმაცია საქართველოს შესახებ. მით უფრო ეს ითქმის ისეთ ქვეყნებზე, რომელთანაც კონკრეტული ისტორიული ურთიერთობები გვაკავშირებდა. იტალიასთან, კერძოდ კი, ვატიკანთან, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი გვაკავშირებს. ვატიკანის ბიბლიოთეკასა და არქივში საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მასალები ჯერ კიდევ



სტეფანო კამპანოლო, კონსტანტინე სურგულაძე, მირიან ხოსიტაშვილი

ლოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის სამდივნოს უფროსი.

ვიზიტის დღეებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკისა და არქივის ხელმძღვანელებთან, წმინდა საყდრის ბიბლიოთეკარსა და არქივარიუსთან არქივის კოპოს ანჯელო ვინჩენცო ძანისთან, სამოციქულო ბიბლიოთეკის პრეფექტთან, დონ მაურო მანტოვანისთან და სამოციქულო ბიბლიოთეკის პრეფექტის მოადგილესთან ტიმოთი იანცთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ურთიერთთანამშრომლობის საკითხები (ინფორმაციის გაცვლა, ერთობლივი გამოფენები და სამეცნიერო კვლევები). მირიან ხოსიტაშვილმა დააყენა საკითხი, შეიქმნას ერთობლივი კატალოგი, სადაც წარმოდგენილი



სტეფანო კამპანოლო, რომის ეროვნული ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი, მირიან ხოსიტაშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე

არ არის ბოლომდე შესწავლილი, ამიტომაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიელ კოლეგებთან მეგობრული და საქმიანი ურთიერთობის დამყარებას, რაც, ინფორმაციის ასეთი მდიდარი წყაროს შესწავლის მუდმივმოქმედი მექანიზმის შემუშავების შესაძლებლობას მოგვცემს.

მიმდინარე წლის 26-27 ივნისს რომში იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დელეგაცია ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილის, ბატონ მირიან ხოსიტაშვილის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე თამარ ხუციშვილი, საქართვე-



მირიან ხოსიტაშვილი, ტიმოთი იანცი



ირინა სანაშვილი, თამარ ხუციშვილი, მირიან ხოსიტაშვილი, სოფო ქარცივაძე

იქნება ვატიკანსა და საქართველოში დაცული დოკუმენტები, მოხდება მათი სისტემატიზაცია, რაც გაუადვილებს მეცნიერებს კვლევას. ასევე, საუბარი შეეხო თანამშრომლობის მრავალ ასპექტს და გადაწყდა მემორანდუმის გაფორმება. საინტერესო და საქმიანი ურთიერთობის პერსპექტივებზე შედგა საუბარი რომის ეროვნული ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორ სტეფანო კამპანოლოსთან.



სოფო ქარცივაძე, თამარ ხუციშვილი, მირიან ხოსიტაშვილი, არქივისსუპოსი ანჯულო ვინჩენცო დანი, დონ მაურო მანტოვანი, ტიმოთი იანცი

27 ივნისს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და რომის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის.

მირიან ხოსიტაშვილი: „ეს მემორანდუმი თანამშრომლობის მრავალ ასპექტს მოიცავს. დაიგეგმა და უმოკლეს დროში რომის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნება ქართული წიგნის კუთხე, რათა მსოფლიო საზოგადოებამ

მეტი შეიტყოს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. მოეწყობა სპეციალური გამოფენები რომში და თბილისში. ასევე, გამოიცემა სპეციალური კატალოგი, სადაც აღრიცხული იქნება დოკუმენტები, რომლებიც დაცულია რომის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს შესახებ.

გავეცანით რომის ეროვნული ცენტრალური ბიბლიოთეკის მუშაობის სტრუქტურას. მემორანდუმის ფარგლებში შესაძლებელია მოხდეს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა.

ეს შეთანხმება მოხდა იტალიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბატონ კონსტანტინე სურგულაძის აქტიური ჩართულობით.“

აღნიშნულ შეხვედრას წინ უძღოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონ შალვა პაპუაშვილის და საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონ გივი მიქანაძის ვიზიტი ვატიკანში, სადაც პირველად დაიგეგმა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ვატიკანის ბიბლიოთეკისა და არქივის თანამშრომლობის დაწყება. ამ ტიპის თანამშრომლობა დღემდე უპრეცედენტოა და სამომავლოდ ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი იქნება.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მადლობას უხდის საქართველოს ელჩს ვატიკანში ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელს და საელჩოს თანამშრომლებს: ირინა სანაშვილს, თეა ჩხაიძესა და სოფო ქარცივაძეს, შეხვედრის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის.



სოფო ქარცივაძე, თამარ ხუციშვილი, მირიან ხოსიტაშვილი, ქეთევან ბაგრატიონ მუხრანელი, ირინა სანაშვილი



მაია სიმონიშვილი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის
ანგლო-ამერიკული
სამკითხველო დარბაზის
კურატორი

**ევროპის ციფრული დიალოგის
კონფერენცია 2023
ინტერნეტის საერთაშორისო
საზოგადოების პოსტპანდემური
სიახლეები**

19-21 ივნისს, ფინეთის ქალაქ ტამპერეში, ევროპის ციფრული კონფერენცია „ევროპული დიალოგი ინტერნეტ მმართველობისთვის 2023“ გაიმართა. EURODIG-ი გაეროს საინფორმაციო საზოგადოების (WSIS) 2005 წლის სამიტის შემდეგ, 2008 წელს ჩამოყალიბდა, როცა საერთაშორისო ციფრული მმართველობის ფორუმი შეიქმნა და მის ნაწილად მოიაზრება.

კონფერენციის წლევანდელი თემა იყო „ინტერნეტი რთულ დროში - რისკები, მედეგობა, იმედები“. პროგრამა მოიცავდა პოსტ-პანდემიური პერიოდისა და უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგების განხილვას, რისკებისა და გამოწვევების შეფასებასა და ინტერნეტის, მათ შორის, საგანმანათლებლო და საინფორმაციო პლატფორმების გაცნობას.

ერთ-ერთ შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო საქართველოში საბიბლიოთეკო სიახლეებსა და რეგიონების ხელშეწყობას. მომეცა შესაძლებლობა, მესაუბრა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობისა და თანამშრომლობის შესახებ. იყო აგრეთვე, დისკუსია, რომელიც ეხებოდა იმ გამოწვევებსა და სიახლეებს, რომლებიც თანამედროვე სამყაროში საბიბლიოთეკო ცხოვრების ნაწილი გახდა. შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საერთაშორისო ინტერნეტფორუმში და ევროპის ციფრულ დიალოგში 2018 წლიდან მონაწილეობს, როცა პირველად, ორგანიზაციის, ბიბლიოთეკებისა და ინსტიტუტე-



ბის გაერთიანებათა საერთაშორისო ფედერაციის (IFLA) ხელშეწყობითა და ინფორმაციის თავისუფალი წვდომის საერთაშორისო გაერთიანების მინივევით, ინტერნეტ მმართველობის საერთაშორისო ფორუმზე (იუნესკო), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტების პრეზენტაცია გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, EURODIG-ი საქართველოში გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა სტუმარმა ევროპის ქვეყნებიდან და ევროსტრუქტურებიდან. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რამდენადაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან იგი პირველად საქართველოში ჩატარდა. ამ მოვლენას წინ უძღოდა ინტერნეტ მმართველობის საქართველოს ნაწილის რამდენიმე წარმატებული ფორუმი.

კონფერენციის ფარგლებში, რომელსაც გენერალური მდივნის, ქალბატონი სანდრა ჰოფერიხტერის ხელშეწყობით, ყოველთვის საინტერესო და მრავალფეროვანი შინაარსი და ფორმატი აქვს, მონაწილეობენ სამთავრობო, კერძო, აკადემიური, არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები. ისინი ერთად წარმოადგენენ მათთვის აქტუალურ პრობლემებსა და საკითხებს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებების დაცვა ინტერნეტში, გამოხატვის თავისუფლება, საავტორო უფლებების დაცვა ინტერნეტში, მონაცემთა მართვა, კიბერუსაფრთხოება, ბავშვთა უსაფრთხოება ინტერნეტში, ინტერნეტის თავისუფალი ხელმისაწვდომობა, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, სათემო და რეგიონული ინტერნეტიზაცია, დომენები, ინტერნეტ წიგნიერება, ონლაინ განათლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პლატფორმები, ელექტრონული კომერცია, უახლესი ინოვაციები და მათი მოსალოდნელი შედეგები და სხვა.

2018 წელს ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის პრეზენტაცია გაიმართა პარიზის ამერიკულ ბიბლიოთეკაშიც. შეხვედრის მონაწილეებს საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, საფრანგეთის ღირსების კავალერი, ლორან ანგელი მიესალმა. მასპინძელი დანესებულება, პარიზის ამერიკული ბიბლიოთეკა, ევროპის კონტინენტზე უდიდესი ინგლისურენოვანი ბიბლიოთეკა გახლდათ. ეს ისტორიული ბიბლიოთეკა პირველი მსოფლიო ომის დროს კონგრესის ბიბლიოთეკამ და ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციამ დააარსეს, როგორც ჯარისკაცთა განათლებისა და მშვიდობიანი შეხვედრის ცენტრი. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იგი კიდევ უფრო განვითარდა, ხოლო მოგვიანებით ამერიკულ მწერალთა შეხვედრისა და მუშაობის ადგილად იქცა. პარიზის ამერიკულ ბიბლიოთეკას არაერთი ხელოვანის არქივი აქვს. მას მსახიობმა მარლენ დიტრიხმა პირადი, დიდი ბიბლიოთეკა უსახსოვრა. ბიბლიოთეკის დირექტორის, ოდრი შაპოს თქმით, დღეს ეს ორგანიზაცია მკითხველებს 60 ქვეყნიდან აერთიანებს. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისთვის ეს პირველი დიდი წარდგენა

იყო საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოელი კოლეგების დადებითი ინტერესიც გამოიწვია.

მას შემდეგ, პანდემიის პირობებიდან გამომდინარე, ევროპის ციფრული დიალოგის ფორუმის ჰიბრიდულ პლატფორმაში მივიღეთ მონაწილეობა. კერძოდ, 2021 წელს, მოვანყვეთ სემინარი „დეზინფორმაცია და ცრურწმენების დაძლევა მედია წიგნიერების საშუალებით“. სემინარის ორგანიზება დისტანციურად შედგა და მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, ამერიკის, პორტუგალიისა და გერმანიის მედია წიგნიერების ექსპერტებმა, კერძოდ, მედიის განვითარების ფონდის, ამერიკის მედია განათლების გაერთიანების, პორტუგალიის კიბერუსაფრთხოების ცენტრისა და გერმანული „დოიჩე ველეს“ წარმომადგენლებმა. განიხილეს მედია წიგნიერების პრობლემები და მათი სწავლების მეთოდები ჯანმრთელობის, ადამიანის მთავარი სასიცოცხლო უფლებებისა და უსაფრთხოების საკითხების გაცნობიერებისთვის. უცხოელმა ექსპერტებმა წარმოადგინეს მეთოდები, თუ როგორ შეიძლება დეზინფორმაციის გამოვლენა და ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.



2022 წელს, კიდევ ერთი პრეზენტაცია ჩავატარეთ, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიებში ქალთა განათლებასა და ჩართულობას მიეძღვნა. მასში ინტერნეტ ექსპერტი, პროფესორი ნანა დიხამინჯია მონაწილეობდა, რომელმაც სწორედ პრეზენტაციის დანყების წინ, გრეის ჰოპერის ჯილდო მიიღო. ნანა დიხამინ-



United Nations

ჯიას ბლოგებს ინოვაციებისა და ქალთა ჩართულობის საკითხებზე ქართველი მკითხველიც კარგად იცნობს.

წლეგანდელ კონფერენციას რაც შეეხება, როგორც მოგახსენეთ, 2023 წელს მთავარი თემა „ინტერნეტი რთულ დროში, რისკები, მედეგობა და იმედები“ გახლდათ. მართლაც, აღსანიშნავია, რომ კონფერენციის თემატიკა იმდენად მრავალფეროვანია, რომ ჩვეულებრივ, სხვადასხვა ინტერესების მქონე დამსწრეებისთვის სხვადასხვა აუდიტორიაში ტარდება. თუმცა, მთავარ დარბაზში გამართული ღონისძიებები, ძირითადად, უკრაინის ომის საკითხებს ეძღვნებოდა. კონფერენციის პირველ დღეს, წარმოდგენილი იყო ხელოვნური ინტელექტის ეთიკური ასპექტები. საინტერესოა, რომ ევროკავშირმა წელს შეიმუშავა ხელოვნური ინტელექტის ეთიკური ასპექტების რეკომენდაციები, რომელსაც, სავარაუდოდ, ფართო საზოგადოება მალე გაეცნობა.

ვორკუპი „გაეროს ინტერნეტის მმართველობისა და თანამშრომლობის ევროპული ხედვა“, რომელსაც ევროკომისიისა და გაეროს წარმომადგენლები უძღვებოდნენ, ასახავდა ევროპულ ღირებულებებს მარტივი, ღია, უსაფრთხო, თანამშრომლობის საიმედო ქსელის შექმნისთვის. პირველ რიგში, ეს სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების განვითარების საკითხებს ეხებოდა. 2024 წელს იგეგმება გაეროს ინიციატივის, საერთაშორისო დიגיტალური კომპაქტის გაფორმება. მისი მიზანია ინტერნეტიზაციის ბოლო 20 წლის შედეგების ანალიზი საყოველთაო კეთილდღეობის საკითხებისთვის.

შემდეგი პრეზენტაცია მოიცავდა განხილვას, თუ რამდენად ასრულებენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და, მათ შორის, საქართვე-

ლო, ბუდაპეშტის კონვენციას სამოქალაქო ჩართულობის საკითხებში. წარმოდგენილი იყო ციფრული ბარომეტრის კვლევა 22 წლის შედეგებითა და მათი გაუმჯობესების პერსპექტივით. მასში ევროსაბჭოს საერთაშორისო და ქართველი ექსპერტებიც მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ამ მხრივ საკმაოდ კარგი, სამუშაო პროცესისთვის შესაბამისი შედეგები ჰქონდა.

ერთ-ერთი სამუშაო თემა იყო ხელოვნური ინტელექტი მედიცინის განვითარებისთვის. თანამედროვე სამყაროში, ჯანდაცვის სფეროს სხვადასხვა დარგში ხელოვნური ინტელექტის ათვისება უკვე მიმდინარეობს. თუმცა, ჯერ კიდევ განხილვის საკითხია, როგორი უნდა იყოს მათი ეკოლოგიური გამოყენება, განსაკუთრებით, ძნელად მისაწვდომ რეგიონებში.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ახალგაზრდების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობის თემას ინტერნეტის მეშვეობით. ამ საკითხში განსაკუთრებით თვალსაჩინოა მედიანგინიერების, საინფორმაციო განათლებისა და ბიბლიოთეკების მნიშვნელობა. ინტერაქტიურ შეხვედრაზე, რომელსაც ინტერნეტმმართველობის ხელმძღვანელობა უძღვებოდა, მთავარი თემები იყო:

1. როგორ შეიძლება ციფრული წიგნიერების ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში, რათა ბავშვებმა შეძლონ უსაფრთხოების სწავლა, დეზინფორმაციის დაძლევა და სწორი ინფორმაციის მოძიება;
2. რა მხარდამჭერი მექანიზმები დაგვეხმარება სტუდენტებისა და მოსწავლეების მენტალური ჯანმრთელობის, კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობასა და კრიზისული მომენტების უფლებების დაცვით დარეგულირებაში;
3. როგორ შეიძლება, რომ ონლაინ პლატფორმებმა დაწერონ პირადი სარგებლობის პარამეტრები, რათა მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მშობლებმა შეძლონ საფრთხისგან დაცვა და დადებითი გამოცდილების მიღება.

მედია ორგანიზაციამ „შემოქმედებითი ევროპა“ შექმნა პროექტი NewsArcade, რომე-

ლიც ახალგაზრდობისთვის ნიუსების თამაშებით გავრცელების სწავლებას ითვალისწინებს. გემიფიკაციის აღნიშნული პროექტის მთავარი მიზანია დეზინფორმაციისა და ტრადიციული, პოლიტიზირებული მედიის საპასუხოდ, ახალგაზრდების აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომი და გასაგები მედიაფორმატის შექმნა. მისი მეშვეობით მოსწავლეები გაიგებენ, თუ როგორ და რატომ, რა მიზნით იქმნება ესა თუ ის მედიანიუსი. თამაში მომხმარებელს ჟურნალისტის პოზიციაში აყენებს. ყოველნიუსს ინტერპრეტაციების 360 გრადუსით წარმოგვიდგენს, მომხმარებელს ახალი ამბების სხვადასხვა პერსონაჟის ინტერპრეტაციას აცნობს და ინტერაქტიური ფორმატი აქვს.

ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი ინტერნეტში ბავშვების სექსუალური უსაფრთხოების საკითხები. 2022 წლის მაისში, ევროკომისიამ წარმოადგინა „ბავშვებზე სექსუალური ძალადობის პრევენციისა და დაძლევის წესების რეგულაციები, რომელიც ინტერნეტსპეციალისტებს ბავშვებზე სექსუალური ძალადობის გამოვლენისა და აღრიცხვის მეთოდებით დაეხმარება.

კონფერენციის მეორე დღეს ტამპერეს უნივერსიტეტის მთავარი დარბაზი სრულად ეთმობოდა უკრაინის ომის შედეგების განხილვასა და მათ შესწავლას. კერძოდ, უკრაინელი სპეციალისტები საუბრობდნენ კიბერუსაფრთხოების გამოცდილებაზე, თუ როგორ იქმნება მოხალისეთა ჯგუფები კერძოდ კომუნიკაციების შენარჩუნებისთვის. ფაქტობრივად, უკრაინელი ციფრული უსაფრთხოების სპეციალისტები ბრძოლის ადგილებში სისტემატურად აღადგენენ კომუნიკაციებს, ხოლო ინტერნეტ სპეციალისტები კომუნიკაციების სამხედრო რეზერვში ირიცხებიან. როგორც კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, ევროკავშირი დეტალურად სწავლობს იმ საფრთხეებსა და მათი მოგვარების გზებს, რომლებიც უკრაინის ომმა გამოავლინა, მათ შორის, ფრაგმენტაციის დაძლევის საკითხებს, სატელიტური ინტერნეტის ხელშეწყობას, მოსახლეობასთან დაკავშირებისთვის მობილური ინტერნეტ სადგურების მოწყობასა და დაცული ქსელის შექმნას გეოპოლიტიკურ კონტექსტში.

პოლონეთის წარმომადგენლობის გამოსვლა მთლიანად დეზინფორმაციასთან ბრძოლას მიეძღვნა. პოლონეთის დეზინფორმაციასთან ბრძოლის, კიბერუსაფრთხოებისა და ინფრასტრუქტურის ცენტრმა წარმოადგინა რუსული დეზინფორმაციის მაგალითები, რომელსაც პოლონეთი წიგნიერების ამაღლებით, დეზინფორმაციული წყაროების გამოვლენითა და გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმების მეთოდების დანერგვით პასუხობს.

უკრაინის ომის დაწყებასთან ერთად, ქვეყნებში გაზრდილი დეზინფორმაციის ნაკადმა მრავალი კითხვა წარმოშვა. ასეთივე კითხვები წარმოშვა მანამდე პანდემიის შედეგებმა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განცხადებით, პანდემიას თან ახლდა ერთგვარი „ინფოდემია“, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდა. 2022 წელს ევროსაბჭომ დაამტკიცა სიძულვილის ენის დაძლევის რეკომენდაციები, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის ფარგლებში მოიაზრება. მასში ვრცლად არის განხილული, თუ რა იგულისხმება სიძულვილის ენასა და დეზინფორმაციაში, რა საერთაშორისო სტანდარტები უნდა იყოს გათვალისწინებული სიძულვილის ენის დაძლევისთვის და რა საქმეები იყო განხილული უახლოეს პერიოდში. მემორანდუმში გაერთიანებულია რეკომენდაციები საჯარო პირებისთვის, არჩეული პირებისთვის, ინტერნეტის წარმომადგენლებისთვის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის.

განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის ათვისება ევროპის სასკოლო განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი საკითხია. ერთ-ერთი სესია ეძღვნებოდა იმ ენობრივ და პროგრამულ მოდელებს, რომლებსაც ჩატბოტებში იყენებს ახალგაზრდობა. აგრეთვე, მათი რეგულაციების, დიზაინის განვითარებისა და აპლიკაციებში ჩართვას განათლების სფეროში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროსაბჭომ ახლახან შეისწავლა, თუ რა პირობებია გასათვალისწინებელი ევროპის რეგიონში მეტავერსისა და ხელოვნური ინტელექტის დანერგვის საკითხებში და როგორ შეიძლება პრევენციული მეთოდების მთელ რეგიონში დანერგვა. რეკომენდაციები მომზადების პროცესშია და

მალე გამოქვეყნდება. ასევე შეიქმნა მონაცემების ღირებულებითი მანიფესტი, რომელიც სოციალური ქსელების მეშვეობით, ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობას ასახავს. მდგრადი განვითარების მიზნების თემაზე შექმნილი მანიფესტის მთავარი თემებია:

1. მოქალაქეთა განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება, რათა ისწავლონ თავიანთი მოთხოვნების, პრიორიტეტებისა და გამოცდილების ინტერნეტში გადმოცემა;
2. საზოგადოების ჩართულობა მათთვის ხელშესახები გადამწყვეტილებების შესახებ მონაცემებით სარგებლობის საკითხებში;
3. მონაცემებთან მუშაობის უნარების საყოველთაო დემოკრატიზაცია, რათა ყველას ყველგან შეეძლოს საქმიანობის განხორციელება;
4. გამჭვირვალობის, მონაცემთა გაზიარებისა და გამოყენების კულტურის შექმნა, რათა გავრცელებული ინფორმაცია იყოს საიმედო და ადამიანებს კეთილდღეობის შექმნაში ეხმარებოდეს;
5. ღია და პასუხზე უკუგების სისტემაზე აწყობილი მონაცემები. მთავრობებმა და დონორებმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოების მეტ ჩართულობას მონაცემების ათვისებისა და სრულფასოვანი მონაწილეობისთვის.

ბიბლიოთეკებისა და მედიანიგნიერების საკითხებზე გაიმართა კიდევ ერთი დისკუსია, რომლის თემა გახლდათ „ინტერნეტის ინკლუზიური და აზრიანი ხელმისაწვდომობა“. რა შეთხვევებშია ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ყველაზე სასარგებლო, როგორ უნდა დავძლიოთ სიცოცხლისთვის სახიფათო ტენდენციები და როგორი შეიძლება იყოს ბიბლიოთეკების ჩართულობა ამ პროცესში.

როგორც ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო ინსტიტუტების საერთაშორისო ფედერაციამ განმარტა, აზრიანი ხელმისაწვდომობა მოითხოვს ინტერნეტის საყოველთაობას, სასარგებლო შინაარსსა და მათი გავრცელებისთვის შესაბამის ცოდნას. ინტერნეტის პოტენციალი მოქალაქეთა ცხოვრების გაუმ-

ჯობესებისთვის თვალსაჩინოა. სასურველია, რომ საგანმანათლებლო და საბიბლიოთეკო საზოგადოების დღის წესრიგში იყოს ის მიზნები და ამოცანები, რომლებიც თანამედროვე ინტერნეტინოვაციებმა უნდა შეასრულონ სამოქალაქო საზოგადოების განათლებასა და განვითარებაში. ეს ყოველივე ინტერნეტში საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობასაც მოიაზრებს, რაც ქვეყნების დღის წესრიგში დგას. უმთავრესი ღირებულებად, რომელსაც ტექნოლოგიური პროგრესი უნდა ეხმარებოდეს, ადამიანების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა მოიაზრება. ბიბლიოთეკები განსაკუთრებით ჩართულები არიან საყოველთაო განათლების, ტექნოლოგიური სიახლეების გავრცელებასა და როგორც ინდივიდების, ისე მთელი საზოგადოებისთვის უახლესი ცოდნის მიწოდების საკითხებში. ყველა ქვეყანაში ბიბლიოთეკები, როგორც კანონით განსაზღვრული დემოკრატიული ორგანიზაციები, იღებს და ავრცელებს უახლეს ცოდნასა და მათი სარგებლობის შესაძლებლობებს.

ფინეთში გამართულ კონფერენციაზე, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი იყო ჩრდილოეთის ქვეყნების პროექტი. მაგალითად, როგორ იქმნება სატელიტებისა და საზღვაო, საერთო ინფრასტრუქტურა იმ რეგიონებისთვის, სადაც ამინდი დაბრკოლებებს ხშირად ქმნის და როგორ მუშავდება არსებული მონაცემები. ფინეთს ხშირად უწოდებენ საინფორმაციო წიგნიერების ფლაგმანსა და დეზინფორმაციისგან განკურნების თანამედროვე და მშვიდობიანი მეთოდების ნოვატორს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო „ციფრული საინფორმაციო წიგნიერება, როგორც თანამედროვე ცივილიზებული უნარი“ უახლესი სახელმძღვანელო.

ყოველ წელს, სამდღიანი კონფერენციის ყოველი სემინარის შემდეგ, მონაწილეები შეიმუშავებენ საერთო გზავნილსა და წინადადებას, რომელიც შეიძლება ასახავდეს მათ პრობლემებსა და გადაჭრის გზებს. ეს გზავნილები შემდეგ გაეროს ინტერნეტმმართველობის ფორუმს წარედგინება და, რაც მთავარია, ინტერნეტის საკითხებზე რეკომენდაციებად მუშავდება მონაწილე ქვეყნებისთვის.



ნანა კაციტაძე

ნინელი მელქაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის არსებობის მანძილზე მის მესვეურთა შორის საკმაოდ იყვნენ საინტერესო და ღირსეული ადამიანები. რაკი ჩვენი მოკრძალებული ამოცანაა საზოგადოებას შეძლებისდაგვარად გავაცნოთ ისინი, ამჯერად წარმოგიდგენთ დე-სენ-ტომას გვარის ფრანგ მამა-შვილს - ოგიუსტსა და ვლადიმერს და მაქსიმალურად წარმოვაჩინოთ იმ ინფორმაციას, რომლის მოძიებაც მოხერხდა.

როგორც ცნობილია, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა დაარსდა 1846 წელს და მისი პირველი ხელმძღვანელი იყო გავრილ ტოკარევი, რომელიც ამ თანამდებობას მეფისნაცვლის კანცელარიაში გუბერნიის მდივნის მოვალეობებთან ათავსებდა. აღნიშნული ბიბლიოთეკის შესახებ განცხადება 1848 წლის 5 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთ „კავკაზში“.

ორიოდ წლის შემდეგ, 1850 წლის 26 აპრილის „სენატის უწყებებში“ იბეჭდება უზენაესი განკარგულება თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის თანამდებობის შემოღებისა და მის შესანახად სათანადო თანხის ასიგნების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ბიბლიოთეკარი, ფაქტობრივად, ბიბლიოთეკის დირექტორს ნიშნავდა. სიტყვა ბიბლიოთეკარი მრავალმხრივი მნიშვნელობის შემცველია. ეს შეიძლება იყოს სწავლული-ბიბლიოთეკამცოდნეც, ბიბლიოგრაფიცა და დირექტორიც.

მიხეილ ვორონცოვმა, მრავალი მოვალეობით დატვირთული გავრილ ტოკარევის გა-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიის სათავაბთან: ოგიუსტ და ვლადიმერ დე-სენ-ტომა

რდა, ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე მოინვია თბილისის გიმნაზიისა და ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის ფრანგული ენის უფროსი მასწავლებელი ოგიუსტ დე-სენ-ტომა. გ. ტოკარევისა და ო. დე-სენ-ტომას დაევალებათ ბიბლიოთეკის ძირითადი წიგნადი ფონდის, აგრეთვე სახელმწიფო მრჩევლის ა. ა. დე-გუროვისგან შეძენილი წიგნების გადარჩევა და მათი განთავსება არქიტექტორ რაისის ესკიზებით დამზადებულ კარადებში.

ოგიუსტ დე-სენ-ტომას დამთავრებული ჰქონდა პარიზის ლუდოვიკო დიდის სახელობის ცნობილი ლიცეუმი. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ამ სასწავლებლის კედლებში სწავლობდნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორც იყვნენ მაქსიმილიან რობესპიერი, ჟან-ბატისტ მოლიერი, ვიქტორ ჰიუგო და სხვები. აღსანიშნავია ისიც, რომ დე-სენ-ტომას ჰქონდა პეტერბურგის რუმინანცევის მუზეუმის ბიბლიოთეკარად მუშაობის გამოცდილებაც.

მისი დაბადების თარიღად მიჩნეულია 1781 ან 1782 წელი: რუსეთის იმპერიის სახალხო განათლების მინისტრის კარლ ლივენისთვის გაგზავნილ წერილში 1831 წლის 8 აპრილს დე-სენ-ტომა წერს, რომ ორმოცდაათი წლისაა, 1836 წელს შედგენილ ფორმულარის სიაში კი აღნიშნულია, რომ აუგუსტ დე-სენ-ტომა 1841 წელს 59 წლისაა. მისი პირადი საქმიდან ვიკებთ, რომ 1813 წელს ნაპოლეონმა მას საპატიო ლეგიონის ორდენი უბოძა, რომლითაც, სოციალური სტატუსის მიუხედავად, აჯილდოვებდნენ მხედრული სიმამაცისთვის ან 20 წელზე მეტი ხნის წარჩინებული სამსახურისთვის. 1817 წელს დე-სენ-ტომა უკვე რუსეთშია.

ისტორია არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ როგორ მოხვდა იგი რუსეთში. ცნობილია, რომ ერთ ხანს ის გუვერნანტად მუშაობდა ძველი და წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენლის, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლაი ბოროზდინის ოჯახში. ისიც ირკვევა, რომ 1819 წელს სენ-ტომა იმყოფებოდა პარიზში, სადაც ცდილობდა გამოეცა კარამზინის „რუსეთის ისტორიის“ პირველი რვა ტომის თარგმანი. ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთში (1815–1819 წლები) რუსეთის საოკუპაციო კორპუსის სარდალი იყო მიხეილ ვორონცოვი, რომელსაც არ შეიძლებოდა ხელი არ შეეწყო მისთვის ამ კეთილშობილურ საქმეში.

1819 წელს პარიზში სენ-ტომას გაეცნო დამწყები ლიტერატორი ორესტ სომოვი. მათი ნაცნობობა შემოქმედებით თანამშრომლობაში გადაიზარდა. დე-სენ-ტომას კალამს ეკუთვნის რომანი „ერთკვირიანი განმორება, ანუ მონ-სენის თავშესაფარი“ (1821წ.); სასიყვარულო-ავანტიურისტული რომანი „შავმოსასხამიანთა ამხანაგობა“ (1822 წ.).

1822 წელს სენ-ტომა ცოტა ხნით, საფრანგეთის რევოლუციის დროს, რუსეთში ემიგრირებული გრაფის, ლავალის მდივნად მუშაობდა. ერთ ხანს მოსკოვში მცხოვრები დე-სენ-ტომა ხშირად სტუმრობდა ზინაიდა ვოლკონსკაიას ლიტერატურულ სალონს, სადაც მას სათანადო პატივით იღებდნენ, როგორც პარიზში გამოცემული კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ რვატომეულის მთარგმნელს. 1827 წელს პეტერბურგში გამოიცა „ახალი ფრანგული და რუსული დიალოგები, უახლესი დროის საუკეთესო მწერლების ნაწარმოებთა ნიმუშების მიხედვით შედგენილი“, ოგიუსტ დე-სენ-ტომასა და ო. სომოვის თანაავტორობით.

სომოვის წინადადებით სენ-ტომა ზეპირსიტყვიერების, მეცნიერებისა და ხელოვნების თავისუფალი საზოგადოების წევრად აირჩიეს. ოგიუსტ დე-სენ-ტომას ნამსახურების ნუსხაში, რომელიც საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება, მითითებულია, რომ 1830 წლის 31 დეკემბერს იმპერატორისგან საჩუქრად მიიღო ბრილიანტის ბეჭედი იმისათვის, რომ ხომალდ „მერკურის“ კაპიტან კაზარსკის გმირობისადმი

მიძღვნილი ოდა მიართვა. ამ დროისათვის მას უკვე ჰქონდა, როგორც თავად აღნიშნავდა, „ისტორიული მოვლენებისა და მოგონებების შთაგონებით“ შეთხზულ ნაწარმოებთა შექმნის გამოცდილება.

1829 წლის 8 მარტიდან 1830 წლის 31 მარტამდე სენ-ტომა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში ფრანგული ენისა და ზეპირსიტყვიერების ლექტორი იყო, საიდანაც მისივე თხოვნით გაათავისუფლეს, რუმინაცევის მუზეუმის უმცროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე გადასვლის გამო. 1831 წლის აპრილში იგი პეტერბურგში გამოსცემდა ფრანგულენოვან გაზეთს „Le Furet“ („ქრცვინი“), ხოლო 1831 წლის ივლისიდან 1832 წლის მარტამდე განაგრძობდა ამ გაზეთის გამოცემას ახალი სახელწოდებით „Le Miroir“ („სარკე“). 1831 წელს ის გუვერნანტად მუშაობს ნაპოლეონის ომების ეპოქის რუსი სამხედრო მოღვაწის გენერალ პ.ა. ჩიჩერინის სახლში.

1836 წელს ოგიუსტ დე-სენ-ტომას ტიტულოვანი მრჩევლის წოდება მიენიჭა. 1839 წლის 18 აგვისტოს, სახალხო განათლების მინისტრის, თავად უვაროვის შუამდგომლობით 1200 ვერცხლის რუბლით ერთჯერადად დაჯილდოვდა მუზეუმის სამეურნეო სახსრებიდან. 1843 წლის ივნისის დამლევეს იგი გაათავისუფლეს რუმინაცევის მუზეუმის უმცროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან და 1843 წლის ივლისის დამლევეს თბილისის გიმნაზიაში ფრანგული ენის მასწავლებლად გაამწესეს. 1843 წლის 26 სექტემბერს დე-სენ-ტომა ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის ფრანგული ენის მასწავლებლად დაინიშნა.

სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ, თუ როგორ აღმოჩნდა ოგიუსტ დე-სენ-ტომა რუსეთში, მაგრამ მისი ნამსახურობის ნუსხის თანახმად ვიგებთ, რომ 1843 წელს იგი 64 წლის ასაკში თბილისში ჩამოვიდა. ოგიუსტი დაქორწინებული იყო მარია ესთერზე. მათ ჰყავდათ ვაჟი ვლადიმერი და ორი ქალიშვილი – ავგუსტინა და ელისაბედი.

ოგიუსტ დე-სენ-ტომას გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. „1850 წლის კავკასიის კალენდარში“ დე-სენ-ტომას გვარით ორი პიროვნებაა მითითებული. ესენი არიან

სასამართლო მრჩეველი ოგიუსტი (ფრანგული ენის მასწავლებელი) და კოლეგიის რეგისტრატორი ვლადიმერი (მეფისნაცვლის სამოქალაქო კანცელარიიდან დიპლომატიურ კანცელარიაში მივლინებული მოხელე).

„1851 წლის კავკასიის კალენდრის“ მონაცემებით თბილისის გიმნაზიაში ფრანგული ენის მასწავლებლის თანამდებობა ვაკანტურია, არ არის მითითებული, თუ ვინ განაგებს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას, ხოლო „კავკასიის საცნობარო კალენდრის პირთა ანბანურ საძიებელში“ მითითებულია მხოლოდ ვლადიმერ დე-სენ-ტომა. „1852 წლის კავკასიის კალენდარში“ ოგიუსტ დე-სენ-ტომა უკვე აღარ მოიხსენიება. სავარაუდოდ, იგი 1850 წლის დამლევს – 1851 წლის დამდეგს გარდაიცვალა.

რამდენიმე თვის შემდეგ (სავარაუდოდ, 1851 წლის შემოდგომაზე) ოგიუსტ დე-სენ-ტომას ნაცვლად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა დაევალა მის 22 წლის ვაჟს, გუბერნიის მდივანს, ლიტერატორსა და ნუმისმატს ვლადიმერ დე-სენ-ტომას, რომელიც ამ მოვალეობის შესრულებას მეფისნაცვლის დიპლომატიურ კანცელარიაში მუშაობას უთავსებდა.

ვლადიმერ დე-სენ-ტომა დაიბადა 1829 წლის 11 მაისს. მისი საბიბლიოთეკო საქმიანობის აღწერისას არ შეიძლება არ ვახსენოთ მის მიერ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკასთან დაარსებული მიუნც-კაბინეტი, რომელიც 1 709 მონეტისგან შედგებოდა.

1856 წლის დამლევს ვლადიმერ დე-სენ-ტომა მონეტების დამუშავებას შეუდგა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმე ვერ დაასრულა და ბიბლიოთეკის მონეტები 1857 წლის ივნისში, მისი სიკვდილის შემდეგ, რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების კავკასიის განყოფილების მიუნც-კაბინეტს გადაეცა მის კერძო, საკმაოდ მდიდარ მონეტების კოლექციასთან ერთად. მათ დასამუშავებლად საგანგებო კომისია შეიქმნა. ეს მონეტები ბიბლიოთეკას 1865 წლის გაზაფხულზე დაუბრუნეს.

ვლადიმერ დე-სენ-ტომა ევროპული პედაგოგიური თეორიითა და პასუხისმგებლობით ასრულებდა თავის მოვალეობას. ამას მონიშნავს ნიგნების შინ გაცემის თაობაზე მისი მიმონერა

დ.ი ყიფიანთან, რომელიც ისტორიამ შემოგვიანახა:

„ღრმად პატივცემულო, დიმიტრი ივანოვიჩ! პატივი მერგო მიმელო თქვენი თავაზიანი წერილი ამა თვის პირველ რიცხვში და ჩემდა სამწუხაროდ, უნდა გაცნობოთ, რომ ჩემთვის მონდობილი ბიბლიოთეკიდან ნიგნების შინ გაცემის უფლება არ მაქვს მისი ბრწყინვალეების თავადი მეფისნაცვლის საგანგებო წერილობითი ნებართვის გარეშე.

ამიტომ, თქვენ მიერ მოთხოვნილი ნიგნებიდან შემიძლია მოგცეთ მხოლოდ ჩემს საკუთრებაში არსებული თავად ბარათაევის თხზულება „ქართული სამეფოს ნუმისმატური ფაქტები“; დანარჩენებს, თუ ინებებთ, ვეცდები მოვიძიო კერძო ბიბლიოთეკებში.

გიცხადებთ ღრმა პატივისცემას და სრულ ერთგულებას. თქვენი ვ. დენ-სენ-ტომა. 1854 წლის თებერვალი“.

1857 წლის ივნისში, დირექტორ/ბიბლიოთეკარის, კოლეგიის ასესორის ვლადიმერ დე-სენ-ტომას გარდაცვალების შემდგომ, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა წლის ბოლომდე დაიკეტა, რადგან ა.პ. ბერჟე, რომელიც მთავარმართებელმა ა. ბარიატინსკიმ დირექტორ/ბიბლიოთეკარად დანიშნა, მივლინებაში იმყოფებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადოლფ ბერჟე, როგორც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების საქმეთა მმართველი და ბიბლიოთეკარი, 1856 წლიდან არაერთხელ შენაცვლებია ამ პოსტზე ვლადიმერ დე-სენ-ტომას. 1858 წლის დასაწყისში, მთელი მისი ქონების რევიზიის შემდეგ, ბიბლიოთეკა საზოგადოებისთვის ისევ გაიხსნა და მკითხველთა აქტიურობაც ისეთივე იყო, როგორც პირველ წლებში.

მოძიებული ნყაროების სიმწირის მიუხედავად, ამ სტატიით შევეცადეთ მკითხველსათვის ნათლად წარმოგვეჩინა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი ინტელექტუალი მამა-შვილი, საინტერესო ბედის მქონე ჟურნალისტი, პროზაიკოსი, პედაგოგი და საბიბლიოთეკო მუშაკი ოგიუსტ დე-სენ-ტომა და მისი ვაჟი, ლიტერატორი და ნუმისმატი ვლადიმერ დე-სენ-ტომა.



მარინა კაპანაძე

სოფელ კვალითის
ბიბლიოთეკის გამგე

ნიგნის კვირეულს მიეძღვნა ქართველი პოეტის, ლადო ასათიანის პოეზიის საღამო: „მკლავს, მაგრამ დღემდე ვერ მოუკლავარ, სიყვარული მჭირს განუკურნელი“, რომელიც ჩატარდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვალითის ბიბლიოთეკაში.

ეს იყო ერთობლივი ღონისძიება, რომელიც მომზადდა ჩემი, ბიბლიოთეკის გამგის, მარინა კაპანაძის, სცენარის მიხედვით, ხოლო განხორციელდა სოფლის ბიბლიო-



ლადო ასათიანის გახსენება

თეკისა და საჯარო სკოლის თანამონაწილეობით.

შთამბეჭდავი საღამო გამოვიდა: თითქოს ლადო ასათიანის ომახიანი ხმაც მოჰყვებოდა მის ლექსებს, პოეტის გულში აღმოცენებულ სამშობლოს უკიდევანო სიყვარულს რომ გვაგრძობინებდა; თვალწინ გვეშლებოდა საქართველოს გამორჩეული სილამაზე, კრწანისის ყაყაჩოების ელვარება; ფიროსმანის ნახატთა სიდიადე. ბავშვობის მონატრება და მშობლიური ლერწუმის მინის სუნთქვაც იღვრებოდა მისი პოეზიიდან.

საღამოს მონაწილეები ლექსებს კითხულობდნენ მუსიკის ფონზე; ჟღერდა პოეტის ლექსებზე შექმნილი სიმღერები; მიმდინარეობდა ლადო ასათიანის პირადი ცხოვრების ამსახველი ფრაგმენტების ჩვენება დოკუმენტური კინომასალებიდან; გუნდურად შესრულდა მისი „არწივების ასაფრენი“ და „სალაღობო“.

ღონისძიების წამყვანები თემატური ტექსტით გვიამბობდნენ ლადო ასათიანის ტკბილ-მწარე ცხოვრების შესახებ: ქუთაისში გატარებული სტუდენტობის წლებსა თუ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მისი თაოსნობით გამართულ ახალგაზრდა პოეტთა შეკრებებზე „ლადოს ჭადრის ქვეშ“. ცხადია, ლექსით იამებდა პოეტი ტკივილებს. ამიტომაც შეძლო უკურნებელი სენით შეპყრობილმა, მაგრამ სულით გაუტეხელმა ვაჟკაცმა, დაეძლია ნაადრევი სიკვდილის წინათგრძნობა და მწუხარე ფიქრთა გამოხატვის ნაცვლად, შეექმნა მოზეიმე სიცოცხლის სადიდებელი ლექსი „საქართველოში“.

ვფიქრობ, კარგა ხანს გვემახსოვრება და გაგვყვება სულის სიმტკიცედ და საზრდოდ ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი ეს შინაარსიანი საღამო; მისი უკვდავი პოეზიის სულისკვეთება - სამშობლოსა და სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარული.



თეონა კაკაბაძე

*სოფელ ქვედა საქარის
ბიბლიოთეკის მთავარი სეციალისტი*

**ქვედა საქარის ბიბლიოთეკა
- ზნა გავლილი და გასავლელი**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის ადმინისტრაციული ერთეული აერთიანებს სამ სოფელს: საკუთრივ ქვედა საქარას, არგვეთასა და ჭალატყეს. 2007 წლამდე სამივე სოფელში იყო ბიბლიოთეკა, 2007 წლიდან კი სამივე ბიბლიოთეკა დაიხურა და გაუქმდა. მათი წიგნადი ფონდის ნაწილი სკოლებში შეიტანეს, ნაწილი სოფლის გამგეობის (მაშინდელი საბჭოს) შენობაში ჩაკეტეს. ბუნებრივია, ამ პროცესებმა გამოიწვია ბიბლიოთეკების ფონდისა და ინვენტარის ნაწილობრივი დაზიანება, დაკარგვა და განადგურება.

2015 წელს ქვედა საქარის ადმინისტრაციული ერთეულის საკრებულოს დეპუტატმა, ბატონმა კახა შავგულიძემ, სოფლის საბჭოს შენობაში აღმოაჩინა წლების მანძილზე მიტოვებული და მტვერდადებული წიგნები. წიგნისადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა მას გადააწყვეტინა სოფელში ბიბლიოთეკის კვლავ გახსნა. მისმა ინიციატივამ საკრებულოს სხდომაზე მოწონება დაიმსახურა, მეტიც, სხვა სოფლის დეპუტატებმაც გაიზიარეს მისი მოსაზრება და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში ერთდროულად მოხდა ბიბლიოთეკების აღდგენა.

2015 წლის მიწურულს ქვედა საქარის ბიბლიოთეკა ამოქმედდა სოფლის გამგეობის პირველ სართულზე. წიგნადი ფონდის დასუფთავებასა და მოწესრიგებაში დიდი წვლილი შეიტანა ცენტრალური ბიბლიოთე-

კის ყოფილმა თანამშრომელმა, ღვანლმოსილმა პროფესიონალმა, ციალა ნებიერიძემ. რაკი ბიბლიოთეკარს, რომელიც იმ პერიოდში მუშაობდა, არ ჰქონდა შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, ქალბატონი ციალას მხრებზე გადაირა ამ ძალზე მნიშვნელოვანმა საქმემ. რამდენიმე თვეში კი ქვედა საქარის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა განაცხადა, რომ დაბალი ანაზღაურების გამო, აღარ სურდა აქ დარჩენა და სოფლის გამგეობაში (საბჭოში) გადავიდა სამუშაოდ.



სწორედ ამ პერიოდში მე ზესტაფონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი სტაჟიორად. ბიბლიოთეკასთან ჩემი კავშირი კი არ ყოფილა შემთხვევითი: ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გამოაცხადა სტაჟირების პროგრამა რამდენიმე დეპარტამენტში, მათ შორის იყო საბიბლიოთეკო დეპარტამენტიც. რადგან ძალიან მაინტერესებდა ეს სფერო, გადავწყვიტე ღრმად შემესწავლა. როდესაც




ეროვნულ ბიბლიოთეკაში წიგნს გამოვიწერდი და ბიბლიოთეკარი ახსენებდა წიგნსაცავს, ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ იყო წიგნსაცავი, ამდენ წიგნს რა პრინციპით ეძებდნენ და ა.შ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ბრწყინვალე ქალბატონის, ნანა თარგამაძის ხელმძღვანელობით ზედმიწევნით შევისწავლე საბიბლიოთეკო საქმე. მაშინ ამისრულდა სურვილი - მქონდა პატივი და ბედნიერება, მემუშავა წიგნსაცავში. შესაბამისად, გავხდი სერტიფიცირებული ბიბლიოთეკარი.

ჩემს რაიონში დაბრუნების შემდეგ, 2014 წლის ბოლოს, ვეძებდი ჩემი შესაძლებლობების შესაბამის სამსახურს. რადგან მქონდა საბიბლიოთეკო მუშაობის გამოცდილება, ზესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა ლელა ფერაძემ, რამდენიმე თვით ამიყვანა სტაჟიორად. ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ჩემს ამჟამინდელ უფროს კოლეგებს, ვეხმა-



რებოდი ყოველდღიურ საბიბლიოთეკო საქმიანობაში და თან ვსწავლობდი მათი მუშაობის სპეციფიკას.

2015 წელს შემომთავაზეს სოფელ ქვედა საქარის ბიბლიოთეკაში დასაქმება, რასაც სიხარულით დავთანხმდი. დიდი ენთუზიაზმით შევუდექი დამოუკიდებელ მუშაობას, თუმცა არ იყო მარტივი, რადგან ჩავიბარე ბიბლიოთეკა, რომელსაც, ფაქტობრივად, არ ჰყავდა მკითხველი, არ ჰქონდა ურთიერთობა სკოლასთან. ინფრასტრუქტურა იყო ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ვცდილობდი ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამეკეთებინა, ჩემი ხალისი და მონდომება დატყობოდა ყველაფერს. სახლიდან მივიტანე საჭირო ნივთები. ტერიტორია დავასუფთავე შეძლებისდაგვარად, ფარდებით გავალამაზე ფანჯრები, შევღებე კარი. შემდეგ მივედი ქვედა საქარის საჯარო სკოლაში, სათითაოდ ყველა



კლასში შევედი დირექტორის ნებართვით და მივანოდე მათ ინფორმაცია ბიბლიოთეკის შესახებ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან სოფლის მოსახლეობის ძირითადი ბირთვი არის მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი, ამიტომ, თუ გაქვს სკოლასთან მჭიდრო კავშირი, ფაქტობრივად, მთელ სოფელთან ურთიერთობ. ასევე, ინფორმაცია გამოვაკარი სოფლის გაჩერებაზე, „ბირჟაზე“. სოციალურ ქსელში გავხსენი ბიბლიოთეკის გვერდი და დავინყე აქტიურობა.

სწორედ ამ დროს, 2016 წელს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ და მისმა პრეზიდენტმა რუსუდან ასათიანმა გადანყვიტეს, დასავლეთ საქართველოში განეხორციელებინათ პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“. დაიწყო ბიბლიოთეკების შერჩევა. თავიდან მეგონა, რომ, არც

თუ ისე კარგი ინფრასტრუქტურის გამო, და-
ინუნებდნენ ჩემს ბიბლიოთეკას, მაგრამ მოგ-
ვცეს შანსი, ოღონდ გარკვეული დეტალების
მონესრიგების პირობით. ეს იყო უდიდესი
სიხარული და პირველი, ძალიან მნიშვნელოვ-
ნად წინგადადგმული ნაბიჯი ჩემი მუშაობის




განმავლობაში. მქონდა კარგი სიახლეების ძა-
ლიან დიდი მოლოდინი, გამართლდა და გადა-
ჭარბებითაც კი - ეს იყო პროექტი, რომელმაც
სრულიად შეცვალა ჩემი და ბიბლიოთეკის მუ-
შაობის სპეციფიკა. გავიარე მრავალი უაღრე-
სად საინტერესო, მნიშვნელოვანი, ინფორმა-
ციულად დატვირთული წვრთნა (ტრენინგი),
როგორც ქალბატონ რუსუდან ასათიანთან,
ისე მისი მოწვევით მყოფ უცხოელ კოლეგებ-
თან. გადმომეცა შესაბამისი მონომოები (სერ-
ტიფიკატები). ბევრი რამ ვისწავლე მაშინ,
განვეითარდი პიროვნულად და პროფესი-
ონალურად, გავიცანი და დავუმეგობრდი
ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს.
იქვე გავიცანი და დღემდე ვმეგობრობ კოლე-
გებთან მთელი საქართველოს მასშტაბით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბიბ-
ლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა პერსონა-
ლური კომპიუტერი სრული აღჭურვილობით
- ქსეროქსის, პრინტერის, სკანერის აპარა-
ტებით. ადგილობრივმა ხელისუფლებამ,
საბიბლიოთეკო ასოციაციის შუამდგომლო-
ბით, უზრუნველგვყო ინტერნეტი. კარებს
გაუკეთდა გისოსები, უსაფრთხოებისთვის.
მანამდე მე ვმუშაობდი ნახევარ განაკვეთზე,
კვირაში სამი დღე, პროექტში ჩართვის შე-
მდეგ კი გამიმთლიანდა შტატი. ავმუშავდი
სრული დატვირთვით, გაიზარდა ჩემი ანაზ-
ლაურებაც.

დავინყე სოფლის მოსახლეობისთვის
ახალი სერვისების შესახებ ინფორმაციის
მიწოდება სხვადასხვა საშუალებით. საინფო-
რმაციო ბუკლეტები, რომლის შექმნაც ტრე-
ნინგებზე ვისწავლე, თვითონ მოვამზადე და
დავარიგე მოსახლეობაში. შედეგმაც არ და-
აყოვნა, ჩვენი ბიბლიოთეკა სოფლად გახდა
უფრო მნიშვნელოვანი, საჭირო, თანამე-
დროვე, მრავალფუნქციური დაწესებულება.
საგრძობლად გაიზარდა მკითხველთა და
სტუმართა რაოდენობა. 2016 წლიდან დღე-
მდე, ნებისმიერი ასაკის, სტატუსის, შესაძ-
ლებლობის მქონე პირი ბიბლიოთეკაში უფა-
სოდ სარგებლობს შემდეგი სერვისებით: მა-
ლალსიჩქარიანი ინტერნეტით, პრინტერით,
სკანერით. მკითხველები იძიებენ და ბეჭდა-
ვენ მათთვის სასურველ ინფორმაციას, რა-
შიც დიდი სიხარულითა და მონდომებით ვეხ-
მარები. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობას
შევთავაზეთ კომპიუტერული პროგრამების
შესწავლა უფასოდ და ასაკის შეუზღუდავად.
რამდენიმე ადამიანმა შეისწავლა ბიბლი-
ოთეკაში კომპიუტერით სარგებლობა და შე-
მდგომ გამოიყენა საკუთარ საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ბიბლი-
ოთეკაში სტუმრად იმყოფებოდა პროექტ
„ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“
თანამონაწილე, საერთაშორისო ასოციაცია
IREX-ის წარმომადგენელი, მერი გრეისი, სა-
ბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტთან,
რუსუდან ასათიანსა და სახელმწიფო სერვი-
სების წარმომადგენელ, სალომე ჩუხუასთან
ერთად.



ამის შემდგომაც, აქტიურად გავავრძელები ბიბლიოთეკის სახელით მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებსა და პროექტებში.

2017 წელს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ გახდა ქვედა საქარის ბიბლიოთეკის თანამდგომი და საჩუქრად გადმოგვცა პროექტორი, ეკრანი და ლეპტოპი, რაც უმნიშვნელოვანესი შენაძენი იყო ჩვენთვის, რადგან დაგვეხმარა ღონისძიებების, წვრთნების, შეხვედრების უფრო საინტერესოდ დაგვემგვასა და ჩატარებაში.

იმავე წელს მონაწილეობა მივიღეთ საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ კონკურსში: „ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკების მეშვეობით“, სადაც მოვიპოვეთ პირველი ადგილი. გადმოგვეცა პრიზები - საერთაშორისო ორგანიზაცია IREX-ის, საბიბლიოთეკო ასოციაციის, ეროვნული ბიბლიოთეკისა და კომპანია ჯეოსელისგან.

2018 წელს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდთან ერთად, ახორციელებდა პროექტს: „ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის ორგანიზატორი.“ ჩავერ-



თე აღნიშნულ პროექტშიც და წარვადგინე ჩემი პროექტი - „პოზიტიური მშობლობა“, რომელშიც მოიაზრებოდა შემდეგი თემები: დაშინება (ბულინგი), ალკო-ნარკო დამოკიდებულება, მოზარდთა სწორი ფსიქოლოგიური აღზრდა-განვითარება. პრეზიდენტის ფონდმა გარკვეული თანხით დამიფინანსა პრო-



ექტი. შედეგად, აღნიშნული თემების გარშემო ჩავატარეთ წვრთნები სკოლის მოსწავლეებთან, მასწავლებლებსა და მშობლებთან. მწვრთნელებად მონვეული მყავდა მაღალი კვალიფიკაციის იურისტი და ფსიქოლოგი.

გარდა ამისა, ადგილობრივ დონეზეც, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ ხოლმე ურთიერთობების დამყარებას სხვადასხვა ორგანიზაციასთან. 2018 წელს ქვედა საქარის ბიბლიოთეკა თანამშრომლობდა ფონდ „ტასოსთან“, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის სამოქალაქო განვითარების სააგენტოს, საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მხარდაჭერით ახორციელებდა პროექტს: „ერთობლივი ძალისხმევა ეკონომიკური გაძლიერებისათვის, სოფლად მცხოვრები ქალბატონებისა და ახალგაზრდებისთვის“. აღნიშნულმა ფონდმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა წიგნები და ჟურნალები.

2021-2022 წლებში ბიბლიოთეკა თანამშრომლობდა საერთაშორისო ასოციაცია „Civitas Georgika“-სთან, რომელიც ახორციელებდა პროექტს „საჯარო ბიბლიოთეკებისა და სკოლების დაკავშირება მაღალი სათემო მონაწილეობისათვის“. პროექტის ფარგლებში გავიარე ძალიან საინტერესო წვრთნა. დავმეგობრდი ბევრ საინტერესო ადამიანთან. ასევე, პროექტის ფარგლებში, ქვედა საქარის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი და ერთი მოსწავლეც, მიწვეულნი იყვნენ პატარძელის ბანაკში, სადაც

გაიარეს რამდენიმე დღიანი წვრთნა და გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

ასე ვცდილობდი და დღემდე ვცდილობ, ბიბლიოთეკარისათვის შესაბამის ყველა ღონისძიებაში ვიყო აქტიურად ჩართული, უფრო მეტი, საჭირო და მისაღები სიახლე შევთავაზო მოსახლეობას, გაუმარტივო და გაუხალისო ყოველდღიურობა, რათა უფრო მეტად გაიზარდოს ბიბლიოთეკის როლი და მნიშვნელობა სოფლად. თუმცა ეს ძალიან რთულია, რადგან, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე მიწევს მუშაობა. ამას ემატება შეუსაბამო სამუშაო პირობები. განსაკუთრებით მძიმე იყო გასული, 2022 წელი, ჩემთვისაც და ბიბლიოთეკისთვისაც - ერთ დღეს სამსახურში მისულს ბიბლიოთეკის შენობის საყრდენი კედელი



ჩამონგრეული დამხვდა. ძალიან განვიცადე, თუმცა თითქოს ველოდი კიდევ, რომ ოდესღაც ეს მოხდებოდა. შენობა ისედაც ავარიული იყო, ავტობანის მშენებლობამ (გზამ შენობასთან ძალიან ახლოს გაიარა) კი გამოინვია კიდევ უფრო მეტი დაზიანება და საბოლოოდ ჩამონგრევა. მერიის წარმომადგენლებმა შეამონმეს ადგილზე მდგომარეობა და მიიღეს ახალი, დროებითი ფართის მოძიებისა და შენობის დაცლის გადაწყვეტილება. იქირავეს სოფელში შენობა საკმარისი ფართით, სადაც განთავსდებოდა სოფლის გამგეობა, ამბულატორია და ბიბლიოთეკა, მაგრამ ამჟამინდელმა დეპუტატმა და ხელისუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ბიბლიოთეკისთვის ადგილი აღარ რჩებოდა და დააპირეს მისი კვლავ გაუქმება.



გადის დრო და იცვლებიან ადამიანები თანამდებობებზე. თუ თავდაპირველმა დეპუტატმა აღადგინა ბიბლიოთეკა, გადაარჩინა დარჩენილი ფონდი, ამჟამინდელმა ისევ იმ მდგომარეობაში დაბრუნებისკენ უბიძგა. მრავალგზის ვცადეთ მოლაპარაკება, რომელშიც ჩართული იყო დირექტორიც. რეალურად ფართიც არსებობდა საკმარისი, მაგრამ „კაცია და გუნებაო“ ან კაცია და უნიგნურობაო, - ვერაფერი გავაგებინეთ. წყალში გვეყრებოდა ამდენი წლის შრომა. ბოლოს გადავწყვიტე, დირექტორის ნებართვით, ზემდგომ ორგანოებში, მერიაში მიმენოდეხინა ინფორმაცია არსებული გაურკვევლობისა და ხელოვნურად წარმოქმნილი პრობლემის შესახებ. ვისაუბრეთ, განვიხილეთ საკითხი. მე წარვადგინე ჩვენი ბიბლიოთეკა, ავუხსენი - რა და რატომ გვჭირდებოდა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, ბატონი მალხაზ შერგელაშვილის სამართლიანი გადაწყვეტილებით, დავიკავეთ ჩვენთვის კუთვნილი ფართი. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით, საჯაროდ მაძლობას გადავუხდი ბატონ მალხაზს. მე კი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „სამართლიან ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“, მით უმეტეს, როცა ზურგს გიმაგრებს დიდი საბიბლიოთეკო ოჯახი და ახალი რეალობა, საკუთარი გაკეთებული საქმეები და ადამიანები. ამ ეტაპზე, დროებით, შედარებით უკეთეს პირობებშია ბიბლიოთეკა განთავსებული. თუმცა გამონვევა და პრობლემა კვლავ მრავლად არის. მე კი, მზად ვარ ბრძოლის, სათანადოდ მოქმედებისა და სიახლეებისთვის.



**ა(ა)იპ რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება -
ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა:
ისტორია და დღევანდლობა**

მანანა გოგსაძე

*რუსთავის ილია ჭავჭავაძის სახელობის
მთავარი ბიბლიოთეკის
ბიბლიოგრაფიული
განყოფილების გამგე*

„კაცთა მინიჭებული პირველი სიმდი-
დრე წიგნთა მოძღვრებაი არს“! - რაოდენ
საამაყოა, რომ მის პროპაგანდაში ბიბლიო-
თეკას და ბიბლიოთეკარს მნიშვნელოვანი
წვლილი მიუძღვის.

წელს რუსთავის მთავარ ბიბლიოთეკას
75 წელი უსრულდება. სიმბოლურია, რომ
ქალაქის ბიბლიოთეკა და თვითონ ქალაქიც
75 წლის იუბილეს ერთად ზეიმობენ. ქალაქ
რუსთავის დაარსება 1948 წლის 19 იანვრი-
დან იღებს სათავეს, როცა იგი რესპუბლიკუ-
რი დაქვემდებარების ქალაქად გამოცხადდა.
ქალაქში შეიქმნა კულტურის განყოფილე-
ბაც. მისი პირველი გამგე გახდა ქალბატო-
ნი შურა ოდიშარია. სწორედ იმ დროიდანვე
იწყება ჩვენი ბიბლიოთეკის ისტორიაც - 1948
წელს მშენებელთა ქუჩის N30-ში, ერთ პატა-
რა, მყუდრო შენობაში გაიხსნა პირველი სა-
ქალაქო ბიბლიოთეკა. მის გამგედ დაინიშნა
დედაქალაქიდან გამოგზავნილი ბიბლიოთე-
კათმცოდნე, უკეთილშობილესი ქალბატონი
ნათელა რატიანი. მას გვერდში ედგნენ ჩვენი
ქალაქის მკვიდრი ბიბლიოთეკარი ქალბატო-
ნები: მარგარიტა აბაშიძე და სემა სემიონო-
ვა. ბიბლიოთეკის ფონდი იმ დროისათვის
შეადგენდა 4300 ბეჭდურ ერთეულს. ეს იყო,
როგორც საქართველოს მასშტაბით შეგრო-
ვებული, ისე საჩუქრად გადმოცემული წიგ-
ნები.



ნათელა რატიანი

მიუხედავად არაკომფორტული პირობე-
ბისა და არც თუ მდიდარი წიგნადი ფონდისა,
ბიბლიოთეკა უმალ იქცა რუსთაველებისათ-
ვის საყვარელ ადგილად, საგანმანათლებ-
ლო-საინფორმაციო და კულტურული დას-
ვენების კერად. აქ იკრიბებოდნენ: ქალაქის
ინტელიგენცია, პირველი მეფოლადეები,
მშენებლები, მწერლები, პოეტები, მოსწავ-
ლეები...

ქალაქის ზრდასთან ერთად იზრდებოდა
მკითხველთა რაოდენობაც და წიგნადი ფონ-
დიც. 1950 წლიდან ბიბლიოთეკას სათავეში
ჩაუდგა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე,
შემდგომში რესპუბლიკის დამსახურებული
და საპატიო ბიბლიოთეკარი, ქალბატონი
თამარ ყურაშვილი, რომელიც 35 წელი ხელ-
მძღვანელობდა ბიბლიოთეკას.



თამარ ყურაშვილი

1953 წლიდან ბიბლიოთეკა გადავიდა კოსტავას გამზირზე, N 35-ში (ყოფილი ლენინის გამზირი).

1960 წლიდან აკაკი წერეთლის დაბადებიდან 120 წლისთავის აღსანიშნავად ბიბლიოთეკა მისი სახელობის გახდა. აკაკი წერეთლის სახელობის N1 საქალაქო ბიბლიოთეკას მიენიჭა ცენტრალური ბიბლიოთეკის სტატუსი, რომელიც მეთოდურ დახმარებას უწევდა როგორც დანარჩენ საქალაქო ბიბლიოთეკებს, ასევე სასკოლო და პროფკავშირულ ბიბლიოთეკებსაც.

უსაზღვრო იყო ის შრომა და ენერჯია, რაც იმდროისთვის ქალბატონ თამართან ერთად გასწიეს ღვანლმოსილმა ბიბლიოთეკარებმა: ალექსანდრე ლორთქიფანიძემ, ეთერ დავითაშვილმა, თინა ნადარეიშვილმა, ლიანა ოზბეთელაშვილმა, ვერა მთავრიშვილმა, მედეა ბურკვაძემ, ნანული ბარბაქაძემ, ელენე ბეჟანიშვილმა. შთაბეჭდილებების წიგნის ჩანაწერის მიხედვით, მკითხველი ასე ახასიათებს მათ: „დაუზარებლობა, გულისხმიერება, თავაზიანობა, ზომიერება და საუბრის ოდნავ საქმიანი კილო. თითქმის ყველა მუშაკს ახასიათებს ეს ხუთი სასურველი თვისება“.

ბიბლიოთეკაში ხშირად ტარდებოდა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან. მათ შორის იყვნენ პირველი მეფოლადეები: გივი სიგუა, ამირან ფანცულაია, ვაჟა გიგიბერია და სხვები.

რუსთავის ბიბლიოთეკა იმთავითვე იქცა მწერლების - პროზაიკოსებისა და პოეტების

თავშეყრის საყვარელ ადგილად. ტრადიციად ქცეული ურთიერთობა აქტიურად გრძელდება და დღესაც ხშირად მასპინძლობს ბიბლიოთეკა რუსთავის მხატვრული სიტყვის ოსტატებს. მათი მონაწილეობით დღესაც ტარდება: წიგნთა წარდგინებები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, გამოფენები, თემატური საღამოები, მკითხველთა კონფერენციები, დისპუტები, კონკურსები. ბიბლიოთეკის საქმიანობა პერიოდულად შუქდებოდა კიდევ გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ ფურცლებზე.



ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი



ეთერ დავითაშვილი, თინა ნადარეიშვილი, თამარ ყურაშვილი, ლიანა ოზბეთელაშვილი



მეხვედრა გურამ ფანჯიკიძესთან

ბიბლიოთეკის მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება იყო გასვლითი ღონისძიებები სხვადასხვა წარმოება-დანესებულებაში. ცალკე უნდა აღინიშნოს მხარეთმცოდნეობით მუზეუმში ჩატარებული ღონისძიებები სახელწოდებით „ნაქალაქარზე ქუხს ისტორია“, „ჩემი ქალაქის ვარ მატინანე“, „როგორ ვიზარდეთ“, „თაობათა გადაძახილი“ და მრავალი სხვა.

ბიბლიოთეკას აქტიური და საქმიანი ურთიერთობა არც დედაქალაქთან აკლდა. სხვადასხვა წლებში იმართებოდა მეხვედრები მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეებთან. ბიბლიოთეკა, ქალაქის ადგილობრივ ხელმძღვანელებთან ერთად, მასპინძლობდა გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, იოსებ გრიშაშვილს, განუმეორებელ აკაკი ხორავას, ქალბატონ ვერიკო ანჯაფარიძეს, ლეილა აბაშიძეს, გოგი ქავთარაძეს, გურამ ფანჯიკიძეს, გურამ დოჩანაშვილს, გიორგი ჭიჭინაძეს, გიორგი წერეთელსა და სხვებს.

ამ ყველა, დიდი თუ მცირე ღონისძიების აქტიური მონაწილე და ბიბლიოთეკის მხარდამჭერი, ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად, იყო ქალაქის კულტურის განყოფილება. ამ განყოფილების გამგეებიდან გამორჩეულად უნდა ვახსენოთ ბატონი რევაზ მორჩილაძე. შემდგომ წლებში ასევე აქტიური ურთიერთობები გვაკავშირებდა ამავე

სამსახურის სხვა უფროსებთანაც: ბატონ გურამ ლოსეურაშვილთან, ბორის ერისთავთან, ზაზა ჯელაძესთან, ქალბატონ ნუნუ კუპატაძესთან, მაია ტაბაღუასთან და ლეილა აფციაურთან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კულტურის სამინისტროსგანაც არ გვაკლდა ყურადღება. ბიბლიოთეკა და მისი თანამშრომლები რამდენჯერმე დააჯილდოვეს საპატიო თუ ქების სიგელებით, დიპლომებით. ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობდნენ კულტურის მინისტრები: ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი, ვალერიან ასათიანი, ქალბატონი სესილი გოგიბერიძე. მეთოდური დახმარების მიზნით, მეთოდკაბინეტებიდან, რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მეთოდკაბინეტიდან ჩამოდიოდნენ ქალბატონები: გუია ბერულავა, ალა ოთაროვა, ბატონები: მირიან პაპიძე, ოთარ ოსაძე, ლეო კვირიკაშვილი, გრიგოლ მუხაშავერია, სერგო პულუზაშვილი და სხვანი.

გადიოდა წლები. რუსთავი მხრებს შლიდა, შენდებოდა ახალ-ახალი სახლები, იხსნებოდა სხვადასხვა სამრეწველო თუ კულტურული ობიექტი, მათ შორის, ბიბლიოთეკებიც. 1961 წელს უკვე ფუნქციონირებდა 4 საქალაქო და ერთი საბავშვო ბიბლიოთეკა. სულ, 1951-1987 წლებში ქალაქში გაიხსნა 18 ბიბლიოთეკა.

1976 წელს, ცენტრალიზაციის შედეგად მომხდარი ცვლილებების გამო, ცენტრალური ბიბლიოთეკა ფონდს ვეღარ იტევდა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის გადანყვეტილებით, იგი 1978 წელს ახალ შენობაში, შარტავას ქუჩა N11-ში გადავიდა. იმ დროისათვის საბიბლიოთეკო სისტემას სათავეში კვლავ ქალბატონი თამარ ყურაშვილი ედგა, როგორც უკვე საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი. დირექტორის მოადგილედ, ბავშვთა შორის მუშაობის დარგში, დაინიშნა N1 საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე, ქ-ნი ნათელა ლობჯანიძე. დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში კი - ქ-ნი თინა დავითულიანი იყო.

ბიბლიოთეკაში გაიხსნა 3 განყოფილება:

- 1. საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საორგანიზაციო მეთოდური განყოფილება.**

პირველი გამგე გახლდათ მედეა ბურკვაძე, შემდეგ - ლეილა ხარბედია, 1993 წლიდან გამგედ მუშაობდა მარინა თითბერიძე, 1998 წელს კი დაინიშნა ნორა სხირტლაძე.

შემდგომში ამ განყოფილებას გამოეყო საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება და გამგედ დაინიშნა ქალბატონი ციციხოშვილი. მომდევნო წლებში ამ თანამდებობაზე მუშაობდა ქ-ნ თამარა ქოჩიაკიძე.

2. ერთიანი ფონდების განყოფილება. მას 2006 წლამდე, განყოფილების გაუქმებამდე, ხელმძღვანელობდა ქალბატონი ვასასი თითბერიძე.

3. დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილება. მის ხელმძღვანელად დაინიშნა ლიდა მარიხოშვილი. მის შემდეგ ამ თანამდებობაზე წლების განმავლობაში იმუშავეს: მადონა სტურუამ, მერი ნოზაძემ, მარინა ლლიღვაშვილმა.

ბიბლიოთეკაში წლების განმავლობაში მუშაობდნენ შესანიშნავი პროფესიონალები, საბიბლიოთეკო საქმის დიდი მცოდნენი. ბიბლიოთეკებს შეემატა ახალი, კვალიფიცირებული კადრიც. აღსანიშნავი წვლილი შეიტანეს ბიბლიოთეკის ისტორიის შექმნაში: მალვინა ლლონტმა, მადონა გულაშვილმა, ეთერ ბუჩუკურმა, ელისო დგებუაძემ, მადონა სტურუამ, ლიანა ჯიოშვილმა, მზია მჭედლიშვილმა, მანანა გორჯოლაძემ, ნათელა კიპაროიძემ, ნანა ბიბილაშვილმა, ნატო ხატიაშვილმა, ესმა გვიმრაძემ, ეკა მანანაძემ, ციალა ინაშვილმა, მერი ნოზაძემ, მერი ონაშვილმა, დოდო გენელიძემ, მარინა თითბერიძემ, ნანული ჩოხელმა, ლია კოკაიამ, ლალი მალუტაშვილმა, ქეთინო კოჭლამაზაშვილმა, მადონა ტაბატაძემ, მაყვალა მეტრეველმა, ლია ალთუნაშვილმა, ციციხოშვილი, ნანა ბაკაშვილმა, ნინო ამბროლიძემ, სოფიკო ჩხიტუნიძემ, ეკა ფხალაძემ, ვასასი თითბერიძემ, ცირა ღვინიაშვილმა, ნათელა ეპიტაშვილმა, ნაზი შერმადინმა, ეთერი აბრამიშვილმა, ნანა ხიდურელმა, ლია კილასონიამ, დიანა ფარსადანოვამ, მხატვარმა ია მღებრიშვილმა, მარიკა ფიროსმანაშვილმა, ხათუნა მგელაძემ, მაკა ამირიძემ, მაია ნეფარიძემ, მარინა ჩიტალაძემ.

სხვადასხვა დროს რუსთავის ბიბლიოთეკებს ხელმძღვანელობდნენ გამგეები: რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარი ნათელა ლობჯანიძე, საპატიო ბიბლიოთეკარი მაცაცო ლომიძე, ნაზი დევდარიანი, ნათელა ხუსკივაძე, ლალი შავერდაშვილი, რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარი ლიანა ოზბეთელაშვილი, საპატიო ბიბლიოთეკარი რუსუდან ინგოროყვა, როზა ჯავახიშვილი, ფატი ჩიკვილაძე, ეკატერინე ოსიტაშვილი, ქეთევან აროშიძე, ნატო ხატიაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი ასმათ კობტაშვილი, ნილოსი ამისულაშვილი, ლილი აბრამიშვილი, ლიდა მარიხოშვილი, მადონა გულაშვილი, ნორა სხირტლაძე, ნანული ბარბაქაძე, ელზა ხიზანიშვილი, ლეილა ხარბედია, ნატო ხატიაშვილი, თამრიკო ბიბილაშვილი, მანანა ხარებაშვილი.

1984-2006 წლამდე ბიბლიოთეკის დირექტორი გახლდათ ქალბატონი მედეა ბურკვაძე. 1984 წელს საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საორგანიზაციო მეთოდურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ლეილა ხარბედია.

1998 წელს ღირსეულად აღინიშნა ბიბლიოთეკის 50-ე წლისთავი.

2006 წელს რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო გაერთიანებების რეორგანიზაცია დაიწყო. რეორგანიზაცია ვერც რუსთავს ასცდა, რამაც, სამწუხაროდ, გამოიწვია როგორც თანამშრომელთა შემცირება, ასევე ბიბლიოთეკა-ფილიალების გაუქმებაც. ბიბლიოთეკების წიგნები კი გადანაწილდა ფილიალებში. გამოიყო მთავარი ბიბლიოთეკა, რომლის დროებით დირექტორად დაინიშნა ქალბატონი ლეილა ხარბედია. მთავარ ბიბლიოთეკას მიენიჭა წოდება - ა.ა.ი.პ. „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება - ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა.“

მთავარ ბიბლიოთეკაში, 2006 წელს, ამერიკის საელჩოს პროექტის ფარგლებში ქვემო ქართლის მასშტაბით გაიხსნა „ამერიკული კუთხე“. 2007 წლის 7 მაისს შედგა მისი სრული პრეზენტაცია, რომელსაც, მრავალსაპატიო სტუმართან ერთად, ესწრებოდა ამერიკის ელჩი საქართველოში ბატონი ჯონ ტეფტი. ამერიკული კუთხის კოორდინატორ-

რად დაინიშნა თამარ იმერლიშვილი, შემდეგ ნინო ქავთარაძე. ამჟამად ამერიკის კუთხის კოორდინატორია მარგალიტა გოცაძე. კუთხე ბევრ საინტერესო პროგრამასა და პროექტს სთავაზობს ჩვენს თემს - ამერიკის კუთხეში მოქმედებს ინგლისური ენის სხვადასხვა სასწავლო პროგრამები, კუთხე ხელს უწყობს საერთაშორისო და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, აგრეთვე ამერიკის საელჩოს საინფორმაციო, საგანმანათლებლო და კულტურული პოლიტიკის განხორციელებას. ფუნქციონირებს სპიკერების პროგრამა ინგლისურენოვანი სპიკერების მონაწილეობით, ინგლისური ენის კურსები, ამერიკული ფილმის ჩვენებები, სხვადასხვა კლუბების მუშაობა. ამერიკის კუთხე ბევრ პროექტით ანებივრებს რუსთაველებს.

2007 წელს ბიბლიოთეკის დირექტორად დაინიშნა მაკა ამბროლიძე. 2008-2010 წლებში საბიბლიოთეკო გაერთიანებას ხელმძღვანელობდა თეა ჟვანია. ქალბატონმა თეამ მრავალი სასიკეთო ცვლილება შეიტანა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში. მისი თაოსნობით მაღალ დონეზე ჩატარდა ბიბლიოთეკის 60 წლის იუბილე. ადგილობრივი ხელმძღვანელობის, ქალაქის მერის, მამუკა ჩიქოვანის მხარდაჭერით, მთავარ ბიბლიოთეკას გაუყეოდა კაპიტალური რემონტი ცენტრალური გათბობით.

2010-2012 წწ. საბიბლიოთეკო გაერთიანებას ხელმძღვანელობდა ქალბატონი დალი თაბაგარი. ამ პერიოდში საბიბლიოთეკო გაერთიანებაში წარმატებით ჩატარდა რესპუბლიკაში ტრადიციად დამკვიდრებული საბიბლიოთეკო კვირეული, რომელმაც მრავალი საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიება მოიცვა.

2012 წლიდან ბიბლიოთეკის დირექტორად კვლავ თეა ჟვანია დაინიშნა, რომელიც დღემდე წარმატებით ასრულებს თავის მოვალეობას.

2018 წელს ბიბლიოთეკამ საზეიმოდ აღნიშნა 70 წლის იუბილე.

ამ ეტაპზე ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს 3 განყოფილება:



ბიბლიოთეკის დირექტორი თეა ჟვანია

1. მომსახურების განყოფილება - გამგე ლია კოკაია;

2. ბიბლიოგრაფიული განყოფილება - გამგე მანანა გოგსაძე;

3. დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილება - გამგე მარინე თითბერიძე.

2023 წლისთვის ა.ა.ი.პ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება-ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკის“ თანამშრომლები არიან: დირექტორის თანაშემწე თეონა მინდიაშვილი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი შორენა გოგოლაძე; ბუღალტერი ლალი ბერძენიშვილი.

მთავარ ბიბლიოთეკას ჰყავს კვალიფიციური კადრები: ელენე ბეჟანიშვილი, თამარა ქოჩაკიძე, მადონა ტაბატაძე, ლეილა ხარბედია, ქეთინო ჯავახიშვილი, მარგალიტა გოცაძე, ელიზავეტა სამადაშვილი, ნატო კედელაშვილი, თამარ გაგნიძე, სოფიო ხვედელიძე, შორენა მაისურაძე, ქეთევან ქარდავა, ნათია მინდიაშვილი.

წელს რუსთავ-ქალაქისა და მისი ბიბლიოთეკის დაარსების 75 წელი საბიბლიოთეკო გაერთიანებამ სხვადასხვა აქტივობებით აღნიშნა. ქალაქის მერმა, ნინო ლაცაბიძემ, თანამშრომლებსა და მკითხველებს მიულოცა საიუბილეო თარიღი. მადლობა გადაგვიხადა წლების განმავლობაში განუწყობი საქმიანობისათვის და სპეციალური ჯილდოები გადმოგვცა ბიბლიოთეკის თითოეულ თანამშრომელს.

რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში შედის:



ქალაქის მერი ნინო ლაცაბიძე

შოთა რუსთაველის სახელობის N1 საქალაქო ბიბლიოთეკა - მენეჯერი ქეთევან მამულაშვილი;

N2 საბავშვო ბიბლიოთეკა „ნაკადული“ - მენეჯერი ნაზი შერმადინი;

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის N3 საქალაქო-საბავშვო ბიბლიოთეკა - მენეჯერი ლალი ივანაური;

იაკობ გოგებაშვილის სახელობის N4 საბავშვო ბიბლიოთეკა - მენეჯერი თამარ მესხი-მინდორაშვილი.

ქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანება განიხილება, როგორც ქალაქის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი რგოლი, რაც განპირობებულია გაერთიანებაში ორგანიზებული საინფორმაციო მუშაობით.



რუსთავის მთავარი ბიბლიოთეკა დღეს

2021 წელს შეიქმნა წევრობაზე დაფუძნებული „60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისათვის“ (მენეჯერი ქეთევან მათეშვილი), რომელიც მიზნად ისახავს უფროსი თაობის სოციალიზაციას, ჰარმონიული, მრავალფუნქციური გარემოს შექმნას მათი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების ხელშეწყობისათვის. პროექტი რუსთავის მერიის, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისსა და რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანებას შორის მემორანდუმით გაფორმდა და მათი ხელშეწყობით ხორციელდება. ლიბერთი ბანკი კი ამ ძალიან საინტერესო პროექტების გენერალური სპონსორია.

ამავე წელს დაარსდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი კლუბი „ლიტ.არტ“-ი სკოლის 1-10 კლასის მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ლიტერატურითა და ხელოვნებით. კლუბს ხელმძღვანელობს სოფიო ხვედელიძე.

ქალაქის მერის ინიციატივით, აშენდა თანამედროვე ტიპის მედიათეკა, რომელიც კლდიაშვილის სახელობის სკვერშია განთავსებული. მედიათეკა სექტემბრის თვიდან დაიწყებს ფუნქციონირებას და მრავალი პროექტისა და სერვისის განხორციელებას ითვალისწინებს.

საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობით გამოიცა წიგნები:

რუსთავის ლიტერატურულ-საყვამანვილო აღმანახი „რუ“;

რუსთაველ მწერალთა და შემოქმედთა კრებული „ვარ რუსთაველი“;

თინათინ სიყმაშვილის - „რაც გულში მჭირდა“;

მაია რაზმაძის - „დაგიბრუნდები“ (ნაწილობრივ დაფინანსდა);

სამონაზუნე დარია ჩაკვეტაძის - „მოგონებები გაბრიელ ბერზე“ და „ჩემო პატრიარქო“;

ლია ბეჟანიშვილი - ღვინერიას საბავშვო გამოცემა „ცხრათვალა მზე დაგვნათის“;

ნელი მანჩხაშვილის - „ფერთა მეჯლისი“;

ეკა ქვრივიშვილის - „უსასრულოდ სივრცისკენ მივქრი.“

კოტე მალანისას - „ყველასთვის ჩვეულებრივი ამბავი“;

რუსთაველ მწერალთა ლიტერატურული აღმანახი „ჩვენ, რუსთაველები“;

ნანა ყალიჩავას - „წრფელი ალილუია“.

გაკეთდა ალბომი-მატიანე, რომელიც მოიცავს საბიბლიოთეკო ცხოვრების მასალებს

ბიბლიოთეკის დაარსების დღიდან. დღე-ისათვის ბიბლიოთეკის უპირატეს საქმიანობად ითვლება:

მაღალპროფესიონალური მომსახურება; მკითხველთა მოთხოვნების შესწავლა-ანალიზი; სამეცნიერო-შემეცნებითი კონფერენციები და კონკურსები; წიგნთა წარდგინებები; შეხვედრები წიგნების ავტორებთან და გამომცემლებთან; წიგნადი ფონდის მუდმივი შევსება-განახლება; თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა (ოფიციალური ვებ და ფეისბუქ გვერდები, ონლაინ კატალოგი, კომპიუტერული მომსახურება, თავისუფალი ინტერნეტი); თანამშრომლობა საგანმანათლებლო, კულტურულ და სამეცნიერო ორგანიზაციებთან; რეგულარული ტრენინგ-პროგრამები თანამშრომლებისათვის; კვარტალური სააანგარიშო პრეზენტაციები; კლუბური მუშაობა (კინოკლუბი, ფოტოგრაფიის კლუბი, ლიტერატურული კლუბი); მობილური ბიბლიოთეკა მოხუცთა თავშესაფარ „ქსენონში“.

ესაა რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი გზავნილი ჩვენი ქალაქის მოსახლეობისადმი, რამაც სწრაფად შეგვმატა მკითხველთა გაზრდილი რაოდენობა.

დღეისათვის რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების წიგნადი ფონდი შეადგენს 153 880 ბეჭდურ ერთეულს. მთავარი ბიბლიოთეკა არის ჩვენი მოსახლეობის წიგნიერების, სამოქალაქო ჩართულობისა და უწყვეტი განათლების პროგრამების ხელშემწყობი.

დღეს მკითხველებს მთავარ ბიბლიოთეკაში ხვდებათ თბილი, კომფორტული პირობები, თანამშრომლების კვალიფიციური მომსახურება და გუნდური გარემო. ჩვენი გუნდის სწორი და გამართული ურთიერთობები ეფექტური და წარმატებული თანამშრომლობის მახასიათებელია.

ასეთია ჩვენი ისტორიული ქრონოლოგია - წლები და ადამიანები კონკრეტული საქმეებითა და გვარ-სახელებით...

და, კიდევ მთავარი - მისი უდიდებულესობა მკითხველი.



ჩვენი გუნდი



„გაწული ღვაწლი კეთილი საქმისთვის - ჩვენი მასწავლებლები“

ლელა დედაბრიძე

თელავის მუნიციპალიტეტის
იყალთოს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

დღეს, როდესაც ასე აქტუალურია მოზარდთა წიგნიერების ამაღლების საკითხი, ბიბლიოთეკებისა და საჯარო სკოლების ურთიერთკავშირს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სასკოლო, ასევე საბიბლიოთეკო საქმიანობაში.



ამ მიზნით, იყალთოს ბიბლიოთეკა, რომელსაც მრავალწლიანი აქტიური ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება აქვს სსიპ იყალთოს საჯარო სკოლასთან, ახორციელებს სხვადასხვა ერთობლივ ღონისძიებასა და საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების პროექტებს.

საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში, ამჯერად, არჩევანი შევაჩერეთ იყალთოს საჯარო სკოლის ღირსეულ პედაგოგებზე,

რომლებმაც თავიანთი ცხოვრების ნახევარი სკოლასა და მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებას შეაღწიეს.



მოგესწებათ, მასწავლებლობა ურთულესი პროფესიაა, რომლისთვისაც მთავარი საყრდენი მონაფისა და საქმის სიყვარულია. არ არსებობს უკეთესი ჯილდო მასწავლებლისთვის, ვიდრე მისი მოსწავლეების წარმატება, როგორც სკოლაში სწავლის დროს, ასევე დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე გასვლის შემდგომაც.

მასწავლებელს უწევს ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნებისა და სხვადასხვა გონებრივი შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ინდივიდუალური მიდგომა. მოერგო მათ ხასიათს, ადვილი არ არის, მაგრამ პედაგოგების მზრუნველობის, მოთმინებისა და ძალისხმევების წყალობით, განეული შრომა უდავოდ ფასდება წარმატებული ბავშვების შემთხვევაში.



ლელა დედაბრიშვილი

ლონისძიების სათაურიც სწორედ ამას ეფუძნება - „განუელი ღვანლი კეთილი საქმისთვის“ - ჩვენი მასწავლებლები“. საოცრად ლამაზი და სასიამოვნო ემოციებით დატვირთული საღამო ჩატარდა „შატო იყალთოს“ უმშვენიერეს გარემოში. ბევრი სიტბო, სიყვარული, დადებითი განწყობა და დაუფინყარი დღე ვაჩუქეთ ჩვენს პედაგოგებს.

სიტყვით გამოსულმა მასწავლებლებმა გაიხსენეს სკოლაში მუშაობის განვლილი წლები, კოლეგებსა და მოსწავლეებთან ურთიერთობის საინტერესო და სახალისო ისტორიები. მათივე თქმით, ბედნიერად თვლიან თავს, რომ თავიანთი პროფესიული ცოდნა მოახმარეს ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებას.

მონვეულ სტუმართა შორის იყვნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ქნი ფიქრია ყუშიტაშვილი; კულტურის სამსახურის უფროსი მაია დათულიშვილი; მომღერალი და პოეტი ლეილა ლევაშვილი; თელავის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლევან მრელაშვილი; თელავის დრამატული თეატრის სამხტვრო ხელმძღვანელი ვანო იანტბელიძე. ლონისძიების მუსიკალური მხარე გაალამაზეს იყალთოს შემოქმედმა და ნიჭიერმა ახალგაზრდებმა, ფარნა მაყაშვილმა და ალექსნადრე მრელაშვილმა.

ლონისძიების დასასრულს ღვანლმოსილ პედაგოგებს ბიბლიოთეკისაგან გადაეცათ დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები.





ვანო ჯახუა

საქართველოს შსს არქივის განყოფილების უფროსი

ქვათახევის მონასტრის ბიბლიოთეკა-ნიგნოსაცავი

საქართველოში პირველი ნიგნოსაცავები ეკლესია-მონასტრებთან არსდებოდა, სადაც ძირითადად შემონიშნულ ნიგნებსა თუ ხელნაწერებს ინახავდნენ. ერთ-ერთი ასეთი ნიგნოსაცავი ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტმა **ტარასი სოლომონის ძე ალექსი-მესხიშვილმა** (1854-1874 წწ.) შექმნა, რომელიც ამავე დროს მწერალი, კალიგრაფი, ბიბლიოფილი გახლდათ. მან თავად **იოანე ლუარსაბის ძე თარხან-მოურავთან** ერთად განაახლა ქვათახევის მონასტერი, რომელშიც დააარსა პატარა ბიბლიოთეკა. მან ბიბლიოთეკას შესწირა არა მხოლოდ თავის მიერ, არამედ მამის - სოლომონისა და ბიძის - დავით რექტორის მიერ გადაწერილი ხელნაწერებიც.

გარდა ამისა, მონასტერში დაცული იყო მღვდელ-მონაზონ **ნიკონის (ჯობინაშვილი)** მიერ შეკრებილი მრავალი ქართული ძველი ხელნაწერი და ნიგნი. ნიკონმა ტარასი არქიმანდრიტთან ერთად 35 წელი იღვანა ქვათახევის მონასტრის განახლებისათვის. ის 1894 წლის მარტში გარდაიცვალა. მისი ყველა ძვირფასი ნიგნი მონასტრის ნიგნოსაცავს დარჩა.

კასპის საბიბლიოთეკო ისტორიის ქრონიკები

1898 წელს ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტმა **კირიონმა (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი)** ტფილისის საეკლესიო მუზეუმს ჩააბარა ამავე მონასტერში დაცული 96 ხელნაწერი.

სოფელ ხოვლეს ნიგნოსაცავი

1887 წელს სოფელ ხოვლეში, იქაური სოფლის მასწავლებლის თავად **ნიკო თარხნიშვილისა** და კნ. **მარიამ დავითის ასული ჯავახიშვილის** თაოსნობით დაარსდა ნიგნოსაცავი, რომელსაც დიდხანს არ უარსებია.

1897 წელს ხოვლის ინტელიგენციამ კვლავ გადაწყვიტა სოფლად სამკითხველოს დაარსება. მომდევნო წელს სოფელმა მთავრობისგან ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა მიიღო. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდნენ დაძმა **ქეთევან და ზაქარია ჯავახიშვილები**.

1897 წლის 22 აპრილს გაიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეტერთმეტე სხდომა. საზოგადოების გამგეობას სოფელ ხოვლეს ბიბლიოთეკისთვის საკითხავი ნიგნების გაგზავნის თხოვნით მიმართა ამავე ბიბლიოთეკის გამგე **ზაქარია ჯავახიშვილმა**. გამგეობამ საკითხის განხილვა მომდევნო სხდომისთვის გადადო.

1898 წლის 30 მარტს გაიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეათე სხდომა. სხდომაზე განიხილეს **მარიამ დავითის ასული ჯავახიშვილის** თხოვნა, რომ ხოვლეში ახლად გახსნილი სახალხო ბიბლიოთეკისთვის გამგეობას გაეგზავნა ნიგნები: სახარება და „ცრემლე-

ბი“ დუტუ მეგრელისა, თხზულებანი: ილია ქავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით გურამიშვილის, რაფიელ ერისთავის, მამია გურიელის და ისიდორე დავითაშვილისა. ასევე ლექსიკონები: რაფიელ ერისთავისა და დავით ჩუბინაშვილისა. გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება მარიამ ჯავახიშვილისთვის გაეგზავნა 23 მან. 7 კაპ. ღირებულების წიგნები.

სოფელ კავთისხევის წიგნთსაცავი

„მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის პალადის ლოცვა-კურთხევით და ნება-დართვითა 1-ს იანვარს 1889-სა წელსა სოფელს კავთისხევ-ში გაიხსნა საზოგადო წიგნთ-საცავი“.

წიგნთ-საცავი გაიხსნა კავთისხევის სა-ბლალოჩინო ეკლესიების კრებულთა დახმარებით ბლალოჩინი მღვდლის დავით ბარნაბოვისაგან.

ჟურნალი „მწყემსი“, 1890 წლის 15 სექტემბერი. N17. გვ. 10-11.

სოფელ კავთისხევის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

1911 წლის 1 მაისს სოფელ კავთისხევის მაცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რათა მათ ნებართვა აეღოთ მთავრობისაგან სოფ. კავთისხევში სახალხო უფასო სამკითხველო წიგნთსაცავის დაარსების შესახებ. თხოვნაზე ხელისმომწერნი მზადყოფნას გამოთქვამდნენ, გაეღოთ ყოველივე ხარჯი, რაც კი საჭირო იქნებოდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთვის. მათ მთავრობისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელ პირად ამავე სოფლის მღვდელი **სიმონ ივანეს ძე ინდუევი** აირჩიეს.

1915 წლის 29 ნოემბერს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სიმონ ინდუევემა თხოვნით მიმართა, რომ გაეთავისუფლებინათ ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობიდან.

1916 წლის 15 ივნისს საზოგადოებამ თხოვნით მიმართა ტფილისის გუბერნატორს, რომ ბიბლიოთეკის პასუხისმგებელ გამგედ კავთისხევის ბლალოჩინი მღვდელი **პანტელეიმონ გედევანის ძე გედევანიშვილი** დაენიშნათ.

შენიშვნა: მღვდელი **პანტელეიმონ გედევანიშვილი** დახვრიტეს 1924 წელს.

სოფელ ახალქალაქის წიგნთსაცავი-სამკითხველო

1901 წლის 29 ოქტომბერს სოფელ ახალქალაქის მაცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას სამკითხველო-წიგნთსაცავის გახსნის შესახებ. მეთვალყურედ და ამ საქმის პასუხისმგებელ პირებად მათ დაასახელეს **ეკატერინე რევაზის ასული გაბაშვილი, თამარ ალექსანდრეს ასული თარხნიშვილი**. საზოგადოების გამგეობას 1901 წლის 17 დეკემბერს ამავე საზოგადოების წევრმა ივანე რატიშვილმა მოხსენებით მიმართა. ის გამგეობას სთხოვდა, დაეკმაყოფილებინათ ახალქალაქელთა თხოვნა და ეთავათ სოფელში წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსება.

სოფელ ახალქალაქის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

1903 წლის 13 მაისს სოფელ ახალქალაქში მცხოვრებმა კნენა **თამარ ზაქარიას ასულმა თარხან-მოურავმა** თხოვნით მიმართა ტფილისის გუბერნატორს, რათა მისთვის მიეცა უფლება სოფელში გაეხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო. 1904 წლის 24 იანვარს გუბერნატორის კანცელარიამ ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს სთხოვა, მიეწოდებინათ მათთვის ცნობები თამარ თარხან-მოურავის **პოლიტიკური კეთილსაიმედობის** შესახებ. 1904 წლის 8 თებერვალს ჟანდარმერიის სამმართველოს

მიერ გაცემული ცნობის თანახმად, პოლიტიკური მიმართულებით მასზე არავითარი არაკეთილსასურველი ცნობები არ მოიპოვებოდა. იმავე წლის 20 თებერვალს ტფილისის გუბერნატორის მიერ გაიცა მონმობანებართვა ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ.

სოფელ ახალქალაქის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

1906 წლის 11 სექტემბერს სოფელ ახალქალაქის მცხოვრებლებმა, თავადებმა **ალექსანდრე მიხეილის ძე, გიორგი ივანეს ძე, დიმიტრი ზაალის ძე და ესტატე ლუკას ძე თარხან-მოურავებმა და ილია ქაიხოსროს ძე ქურდოვანიძემ** ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინეს ამავე სოფლის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წესდების პროექტი.

სოფელ ქვემო-ჭალის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

1903 წლის 30 იანვარს **ოლღა ნიკოლოზის ასულმა ალექსი-მესხიშვილმა** თხოვნით მიმართა ტფილისის გუბერნატორს, უფლება მიეცა სოფელ ქვემო ჭალაში, მის მამულში გაეხსნა ფასიანი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

გაზეთი „ივერია“ 1903 წლის 13 აგვისტოს წერდა:

„ადგილობრივი ინტელიგენცია აარსებს ბიბლიოთეკას. განზრახულ ბიბლიოთეკისთვის ნ. ალექსი-მესხიშვილს შეუწირავს დიდძალი ქართულ-რუსული წიგნები და აგრეთვე უფასოდ სამუდამოდ დაუთმია ბიბლიოთეკისათვის სახლი“.

სოფ. ქვემო-ჭალის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

1909 წლის 2 მაისს სოფელ ქვემო ჭალის მცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, შუამდგომლობა გაეწიათ ტფილისის გუბერნატორთან ამავე

სოფელში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის თაობაზე. თავის მხრივ, საზოგადოების გამგეობამ, 8 ივნისს მიმართა ტფილისის გუბერნატორს, რათა მათთვის მიეცა ნებართვა სოფელ ქვემო ჭალაში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნაზე. 1909 წლის 11 აგვისტოს ტფილისის გუბერნატორმა გასცა ნებართვა ბიბლიოთეკის გახსნაზე, თუმცა ის 1910 წლის 23 მარტს გაიხსნა. ბიბლიოთეკის გამგედ, მთავრობისა და გამგეობის წინაშე პასუხისმგებლად აირჩიეს თავადი **იასონ პლატონის ძე ჯავახიშვილი**. 1915 წლის 20 მარტს მან საკუთარი განცხადების საფუძველზე ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობა დატოვა.

შენიშვნა: ხელისმომწერთა შორის არიან: მღვდლები ბენედიქტე პარკაძე, გაბრიელ პარკაძე, ანდრია კარბელაშვილი, რომლებიც დახვრიტეს 1924 წელს ტირიფონას ველზე.

სოფელ მეტეხის სახალხო ბიბლიოთეკა

1911 წლის 4 სექტემბერს სოფელ მეტეხის მცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას, რათა მათ ნებართვა აეღოთ მთავრობისაგან სოფ. მეტეხში უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ. გამგეობის წინაშე პასუხისმგებლად აირჩიეს **გიორგი ნიკოლოზის ძე თაზიშვილი**. ბიბლიოთეკის შენახვისა და სხვა საჭირო ხარჯებს მოსახლეობა თავის თავზე იღებდა. მოსახლეობამ ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა 1911 წლის 29 დეკემბერს მიიღო.

1912 წლის 3 ივლისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე გამგეობას მიმართა მეტეხის ბიბლიოთეკის გამგე **ირაკლი თაზიშვილმა**, რომ მეტეხის ბიბლიოთეკისთვის ეწოდებინათ: „ბიბლიოთეკა-სამკითხველო მიხეილ გიორგის ძე თუხარლიშვილისა“, რომლის მემკვიდრეები მზად იყვნენ ბიბლიოთეკისთვის შემოენირათ 300 მანეთი და

ასევე რუსული და ქართული წიგნები. გამგეობამ შემოწირულობისთვის თუხარლიშვილის მემკვიდრეებს მადლობა გამოუცხადა, ბიბლიოთეკისთვის სახელის შეცვლაზე კი უარი განუცხადა.

შენიშვნა: ირაკლი თაზიშვილი დახვრიტეს 1938 წელს.

სოფელ ერთანმინდის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

1913 წლის 26 თებერვალს სოფელ ერთანმინდაში მცხოვრებმა რამდენიმე ადამიანმა თხოვნით მიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სოფელ ერთანმინდაში ბიბლიოთეკის გახსნის თაობაზე. იმავე წლის 13 აპრილს, ტფილისის გუბერნატორის მიერ გაიცა მონობა, რითაც საზოგადოებას უფლება მიეცა გაეხსნა გორის მაზრის სოფელ ერთანმინდის ბიბლიოთეკა-სამკითხველო ადგილობრივი მაცხოვრებლის **ოლღა პანტელეიმონის ასულ ჟამუტაშვილის** პირადი პასუხისმგებლობით.

ბიბლიოთეკა გაიხსნა 1913 წლის 1 ივლისს. იმავე წლის 21 ივლისს მოხდა მისი კურთხევა.



სოფელ წინარეხის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

ტფილისის გუბერნატორის მიერ 1914 წლის 7 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თხოვნის საპასუხოდ გაცემული მონობა, რითაც მათ უფლება მიეცათ გაეხსნათ გორის მაზრის სოფელ წინარეხის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო ადგილობრივი მაცხოვრებლის **დავით დიმიტრის ძე ხმალადის** პირადი პასუხისმგებლობით.

სოფელ კასპის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

„ს. კასპი. საკმაოდ მოზრდილი სოფელია. იგი მხოლოდ ეხლა ეღირსა სამკითხველო-ბიბლიოთეკის დაარსებას. სამკითხველოს გახსნას ხელი შეუწყვეს მეაფთიაქე **ი. ბრეგაძემ**, სადგურ კასპის მოხელეებმა და აქაურივე ზოგიერთ ინტელიგენტებმა, რომელთაც ზედი ზედ დასდგეს წარმოდგენები და შემოსავლით საძირკველი ჩაუყარეს ს. კასპში სამკითხველოს, ხელი შეუწყვეს ბევრ ნაირ ყურნალ წიგნების და ქარტების შემოწირვით ანასტასია ამილახვარისამ, მართა ჭელიძემ და სხვებმა. ყველა ესენი დიდი მადლობის ღირსნი არიან.“

გაზეთი „ერთობა“, 1920 წლის 1 ოქტომბერი. სამშაბათი, N231, გვ. 4.





თამაზ ლაცაბიძე

ხაშურის სამუზეუმი
გაერთიანების დირექტორი

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში, რკინიგზის განვითარების კვალობაზე, ხაშურსა და მის სახელდებულ რაიონში გარკვეული ცვლილებები ხდება მოსახლეობის შემადგენლობაში. ხაშურში, სურამში, გომში ძირძველი მოსახლეობის გვერდით გაჩნდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (სამეგრელო, რაჭა, გურია, იმერეთი) სამუშაოდ ჩამოსული მოსახლეობა, რომელთა დიდი ნაწილი აქვე დამკვიდრდა. გაჩნდნენ უცხოელნიც, რომელიც მანამდე წარმოდგენილი არ იყო რაიონში (გერმანელი, პოლონელი, იტალიელი). ახლად გამოჩენილი მოსახლეობის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა დაბა სურამი, რომელიც იმ დროს არა მარტო მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს, არამედ საკურორტო ადგილსაც წარმოადგენდა. სწორედ აქ სახლდებოდა სამეგრელოდან გადმოსული მოსახლეობა. ისინი აქტიურად ჩაებნენ დაბის ყოფაში და მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანეს მის განვითარებაში. ეს კარგად ჩანს დაბის კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებაში. ახალმოსახლენი მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკისა და სკოლის დაარსებაში, თეატრალურ ცხოვრებაში და ა.შ.

XIX საუკუნის 90-იან წლებში სურამში დამკვიდრდა ალექსანდრე ხახულას ძე ხორავა, რომელიც წარმოშობით სამეგრელოს სოფელ ოჩხომურიდან იყო. იგი 1868 წელსაა

ალექსანდრე ხორავა

დაბადებული. ვიდრე ალექსანდრე ხორავა სურამში ჩამოვიდოდა, როგორც ჩანს, აქ უკვე დამკვიდრებული იყო მისი ნახევარძმა - მიხეილ ნიკოლოზის ძე შურღაია. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ მისი ხელშეწყობით მოხდა ალექსანდრე ხორავას დამკვიდრება სურამში. ისინი დედით ერთნი იყვნენ და ნამდვილ ძმობას უწევდნენ ერთმანეთს. მიხეილ შურღაია ვაჭრობდა. მისი სახლი და სავაჭრო დუქანი სურამის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობდა, იქ, სადაც დღეს სამუსიკო სკოლაა. ალექსანდრე ხორავამაც ხელი მიჰყო ვაჭრობას, ამასთან აქტიურად ჩაება დაბის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალექსანდრე ხორავას წვლილი სურამში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში. აქ ბიბლიოთეკა დაარსდა ცნობილი ფოტოგრაფის, ალექსანდრე როინიშვილის დიდი ძალისხმევით. მან პირადი ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი სურამის, ხოლო მეორე ნაწილი - დუშეთის ბიბლიოთეკას შესწირა. როინიშვილს ამ საქმეში მხარში ედგა შემდგომში ცნობილი მეტყვევე, საზოგადო მოღვაწე მიხეილ მურვანიშვილი. ასევე ალექსანდრე ხორავაც, რომელიც საუკუნის ბოლოს სურამის სამკითხველოს გამგედ გვევლინება.

1895 წლის 4 ივლისს გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს წერილს დაბა სურამიდან: „ეს ერთი წელიწადი არც-კია, რაც საჯარო წიგნთ-საცავის დაარსება განვიზრახეთ და აი, გამოჩნდა კიდეც რამდენიმე გულშემატკივარი ადამიანი, მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი და ახლა, ჩვენდა სასიხარულოდ და საბედნიეროდ, თუმცა პატარა თანხით, მაგრამ წიგნთ-საცავი სამკითხველო გავხსენით. დიდს სიკეთეს იზამდნენ ჩვენი ქართული ჟურნალ-გაზეთების გამომცემელნი, რომ ჯერ ნორჩსა და ნივთიერად სუსტს ჩვენს წიგნთ-საცავს



ალექსანდრე ხორავა

დახმარებას აღმოუჩენდნენ და თავიანთს გამოცემებს გამოგვიგზავნიდნენ“ (ივერია, 1895, N139).

ახლადდაარსებულ ბიბლიოთეკას მატერიალურად ეხმარებოდნენ ადგილობრივი სცენისმოყვარეები. მათ მხარში ედგნენ ქართული სცენის ოსტატებიც. ხშირად ერთად დგამდნენ წარმოდგენებს და შემოსავალს მთლიანად ბიბლიოთეკას აძლევდნენ, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შესაძენად და სხვა საჭიროებათათვის. 1898 წლის 8 სექტემბერს ალ. ხორავას მიმართვა გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“. ის წერდა: „ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო, ტფილისის დრამატულ[ი] დასის არტისტებს ქ-ნ კარგარეთელისას, ბ.ბ. ყიფიანს, სვიმონიძეს, შათირიშვილს და გალიუსტოვს, რომელთაც დაბა სურამში ქართული წარმოდგენა გამართეს და შემოსავალს გარდა, ხარჯისა შემოსწირეს სურამის სამკითხველოს. აგრეთვე ვმადლობთ ბ. ალ. ნათაძეს, რომ მის მეცადინეობით და თაობით იქნა წარმოდგენილი, რომელმაც დიდი შრომა მიიღო, აგრეთვე მადლობას ვწირავთ, რომლებმა პირებმაც დახმარება გაუწიეს, ე.ი. ინჟინერი ბ. მუატის ოჯახობამ, ქ.ქ. ქიქვიძისა, აბაზაძისა, სავანლისა, ბ.ბ. აბაზაძის

და მურმანიშვილს, როგორც მე. აგრეთვე გულითად მადლობას წირვენ სურამის სამკითხველოს წევრები, ყველანი, საერთოდ ზემო მოხსენებულ პირებს“. (ცნობის ფურცელი, 1898, N625).

ბიბლიოთეკის საქმიანობა ყოველთვის არ იდგა სასურველ დონეზე, დროდადრო იცვლებოდა მისი მატერიალური მდგომარეობა. 1899 წელს გაზეთი „კვალი“ ვრცლად ეხებოდა ბიბლიოთეკის მდგომარეობას: „დაბა სურამი. 9 ამ თვეს [ე.ი. აგვისტოს] ბ. ალ. მიქაბერიძის თაოსნობით, გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა ადგილობრივი ბიბლიოთეკის სასარგებლოთ. ეს ბიბლიოთეკა აგერ რამდენი ხანია არსებობს და მას იმდენათ გულგრილათ ეპყრობიან აქაური მცხოვრებნი, რომ ყოველ წლივ აღიძვრება ხოლმე კითხვა მის დახურვაზე. სამკითხველოს უსასყიდლოთ უვლის ვაჭარი ხორავა, მარა რა ქნას მან, როცა თანაგრძნობის მაგიერ ხელს უშლიან და პატრონობის მაგიერ გაზეთებს იტაცებენ. აქ კაცი იშვიათად შეხვდება ახალ გაზეთს, თუ მისაწრებთ ის არის, თუ არადა, შეიძლება ერთ კვირას დარჩეთ ძველი გაზეთების შემყურე. ერთიანათ დაუტაციათ აგრეთვე წიგნები და ჟურნალები. და ასე, ამ კულტურულ დაწესებულებას სურამლები გასაცარცვათ მიდგომიან და რაღა გასაკვირველია, რომ ის ბორძიკობდეს და სულს ლევდეს. სურამში არა ერთი და ორი შეძლებული მცხოვრებია, არაერთი და ორი სარგებლობს ბიბლიოთეკით, მაგრამ არც ერთ მათგანს თავში არ მოსდის იკითხოს: „საიდან მოდის ეს გაზეთები და ან რით ცოცხლობს სამკითხველო“. ესენი თუ მუქათათ გაიგებენ რაიმე ახალ ამბავს, ხომ კარგი, თუ არადა უამისოდაც არხეინათ ცხოვრობენ. და აი, ამ სირცხვილისაგან წელს სურამლები გამოიყვანეს სურამის მოაგარაკეებმა, ამათ განიზრახეს ნაქცეული დაწესებულების ფეხზე წამოყენება და ამ მიზანს კიდევაც მიაღწიეს. წარმოდგენას ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო, ბილეთები სულ მთლად გაიყიდა და წმინდა შემოსავალი 130 მ. აღემატება. ... ვისურვებ, რომ აღებული ფული წესიერათ მოხმარებოდეს ბიბლიოთეკას, ჩვენი აზრით,



**ალექსანდრე ხორავა და მისი მეუღლე
ოლღა უჩანეიშვილი**

საჭიროა, ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გამოწერა. ხოლო რუსული კი არჩევით. იმედი გვაქვს, თუკი წარმოდგენის მეთაურნი იკისრებენ ბიბლიოტეკაზე ზრუნვას, სურამს ერთი კარგი დაწესებულება შეეძინება“ - დასძენს ბოლოს კორესპონდენციის ავტორი. (კვალი, 1899, N33, გვ. 574-575).

ალ. ხორავა ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა სურამის ახლადდაარსებულ ბიბლიოთეკას. ამიტომ იყო, რომ იგი საზოგადოებისგან ყოველთვის დიდ პატივისცემას იმსახურებდა. 1901 წლის 25 აგვისტოს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „სურამიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმე რიგიანად ვერ იყო დაყენებული, რადგან საქმეს მეთაური და გამძღოლი არავინა ჰყავდა, ეხლა ბიბლიოთეკის გამგებლობა უკისრიათ უსასყიდლოდ ადგილობრივ იტრიის სკოლის მასწავლებელს ნებიერიძეს და რკინის გზის მოხელეს მურვანიშვილს, რომელნიც, ვაჭრის ხორავას დახმარებით, აპირებენ უკეთესად მოაწყონ სამკითხველოს საქმე“ (ცნობის ფურცელი, 1901, N1563. გვ. 3).

გაზეთ „კვალი“, 1902 წლის აგვისტოს თვეში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, საუბარია სურამის ბიბლიოთეკის მდგომარეობაზე, მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე, კიდევ ერთხელ ხაზი ესმება ალ. ხორავას უანგარო საქმიანობას: „14 ივლისს მოხდა სამკითხველოს წევრთა კრება ღვ. ბებიაშვილის თავმჯდომარეობით. ამ კრებაზე რამოდენიმე წევრი კიდევ მიემატა და წევრთა რიცხვი სულ 50-მდე ავიდა. კრებაზე ის საკითხი იყო წამოყენებული, თუ როგორ უნდა გაეუმჯობესებინათ ღარიბი სამკითხველოს მდგომარეობა. მის შემდეგ ყველა წევრებმა განაცხადეს რიგიანად და სინდისიერად მოეკიდონ საქმეებს. ზოგიერთებმა მაშინვე შემოიტანეს სანევრო ფული და დანარჩენებმაც ახლო ხანში აღუთქვეს ფულის შემოტანა. 23 ივლისს მოხდა მეორე კრება, რომელზედაც ამოირჩიეს ბიბლიოთეკის გამგეობა: კომიტეტის თავმჯდომარეთ კ. დიდბულიძე, ამხანაგებათ: ღვ. ციციქიშვილი და ლ. მურვანიშვილი, ბიბლიოთეკარათ კ. ნებიერიძე /უჯამაგიროთ/ და ბიბლიოთეკის ხაზინადარათ – ალ. ხორავა, რომელიც 4-5 წელია სამკითხველოს განაგებს და ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსია“ (კვალი, 1902, N32).

17 ოქტომბერს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა: - „სურამის სამკითხველოს გამგე, გრ. ნებიერიძე, გვთხოვს, დაგებჭდოთ: „ულრმეს მადლობას ვუცხადებთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას, რომელმაც კეთილ იწევა და შემოსწირა სურამის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ათი მანეთის წიგნები“ (1902, N1956). ალ. ხორავას ბიბლიოთეკასთან ურთიერთობა მომდევნო წლებშიც არ შეუწყვიტია. გაზეთი „საქართველო“ 1917 წლის აგვისტოში მართლა მკაცრად აკრიტიკებდა სურამის სამკითხველოს, მაგრამ კორესპონდენციებში კარგად ჩანს, რომ ალ. ხორავა კვლავ შეძლებისდაგვარად მზრუნველობას იჩენს მასზე. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, მისი მაღაზია ასრულებდა ბიბლიოთეკის დანიშნულებას: „არის სამკითხველო, მაგრამ აქაურ ხალხს იქ შეიჭყუებ რითმე? არ უყვართ აქ გაზეთებითა და წიგნებით თვა-



წინა რიგში, მარცხნიდან - ალექსანდრე ხორავა, ხელში უჭირავს დათიკო მურღაია (ლეგენდალური ფეხბურთელის - დავით ყიფიანის ბაბუა), გვერდით 5 წლის აკაკი ხორავა (საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი). მეორე რიგში მარჯვნიდან მარცხნივ აკაკის მშობლები - დედა კესო მურღაია და მამა ალექსი ხორავა. დათიკო მურღაიას მშობლები - ცენტრში - მიხეილ მურღაია და სონა ნოზაძე. ნაპირში დათიკოს ძიძა. სურათი გადაღებულია სურამში 1900 წელს.

ლის განყალბება. ხორავას მალაზიაში სამი წელიწადია ერთი და იგივე წიგნები ალაგია, ხოლო მყიდველი არსად ჩანს, ასეთი ინტერესმოკლებული ხალხი იშვიათად თუ სადმე შეგხვდებათ“. (საქართველო, 1917, N186).

ალ. ხორავა ოჩხომურელის ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს, თანამშრომლობდა გაზეთებში „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“ და სხვ. სურამზე ერთ-ერთი კორესპონდენციის ავტორი სამკითხველოს შესახებაც წერს: „ცუდი სანახავია სურამში სამკითხველო, რომელსაც სამკითხველოს სრულებით არაფერი უგავს. ერთი პატარა ოთახი, ქუჩის პირას, მტკრით და ობობის ქსელით სავსე. არც წიგნები, არც ჟურნალ-გაზეთები აქ არ არის; როგორც გავიგე ჟურნალ-გაზეთებს ინერენ კიდევ, მაგრამ განა სამკითხველოსთვის ან სურამის საზოგადოებისათვის? სრულებითაც არა! გაზეთებს, მიიღება თუ არა ფოსტიდან, ჯერ ერთი სამკითხველოს წევრი წაიღებს შინ, მერე მეორე, მესამე, ბოლოს დაგლეჯილი და

გაქონილი ნომრები გადაეცემა სამკითხველოს. 15 მაისიდან სურამში ვარ და მხოლოდ ერთხელ ველირსე „ცნობის ფურცელის“ ნახევარ ნომერს, მეორე ნახევარი ვილაცას მოეხია. სამკითხველოში კედლებზე ჰკიდია სურათები შოთა რუსთაველისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთელისა, რაფიელ ერისთავისა, ნიკოლაძისა, დიმიტრი ყიფიანისა, ყაზბეგისა, მაგრამ ისე დამტვერილია, რომ გული შეგიწუხდებათ მათი ნახვით. ალბათ ობობას მეტი პატრონი არა ჰყავსო ამ სურათებს“.

13 ივნისს კი გაზეთი ოჩხომურელის ხელმწიფით აქვეყნებს საპასუხო წერილს: „სურამში არსებობს სამკითხველო. აი, ამ სამკითხველოს შესახებ „ცნობის ფურცლის“ მე-1828 ნომერში ეწერა, რომ იგი უვარგისია, ერთ ოთახშია მოთავსებული, უსუფთაოდ აწყვია და წიგნები და ჟურნალ-გაზეთები არ მოიპოვებაო. არ ვიცით, კორესპონდენტს დაუთვალა იერებია თუ არა სამკითხველო, ეს კია იმისი ნაამბობი სიმართლეს მოკლებულია. სამკითხველო ერთში კი არა, სამ ოთახშია მოთავსებული და არც უსუფთაოდ ინახება იგი. ამ თვის ოთხში სამკითხველო ახლად იქნა შეკეთებული, გააკრეს ახალი შპალერი და კარ-ფანჯრებიც ხელახლად შედგეს. მართალია, სამკითხველო მდიდარი არ არის, მაგრამ წიგნები, განსაკუთრებით ქართული, მაინც საკმაოდ მოიპოვება. მოგვიდის აგრეთვე რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი“ (ცნობის ფურცელი, 1902, N1836).

ალ. ხორავა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მოქალაქეობრივი პოზიციით. ზრუნავდა სურამის იერსახეზე, ცდილობდა თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა დაბის კეთილმოწყობის საქმეში; ამხელდა დაბისთვის არასასურველ მდგომარეობას, რასაც შეიძლება მძიმე შედეგი მოეტანა მოსახლეობისათვის და ა.შ. 1897 წლის 4 მარტს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ოჩხომურელის ხელმწიფით გამოქვეყნებულ წერილში იგი ყურადღებას აქცევს დაბის სანიტარულ მდგომარეობას: „ვკითხულობთ და გვესმის გაზეთებიდან, შავი ჭირის შესახებ ყველა მხარისა და ყველა ქალაქებში“.



სურამის საზოგადოებრიობა (XX ს–ის 10–იანი წლები). პირველ რიგში მარცხნიდან პირველი ალექსანდრე ხორავა, მეორე რიგში, ცენტრში ზის მღვდელი იოსებ ბებიაშვილი, მისგან მარცხნივ მესამე არჩილ ჯორჯაძე, მესამე რიგში მარცხნიდან მეხუთე მიხეილ მურვანიშვილი

ალ. ხორავას საინტერესო ურთიერთობები ჰქონდა ქართველი ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებთან. სურამის მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად იგი ხშირად იყო მასპინძელი. ამ მხრივ გვინდა შევჩერდეთ ცნობილი ქართველი მოაზროვნის არჩილ ჯორჯაძის სურამში სტუმრობაზე და მასთან ალ. ხორავას ურთიერთობაზე. მართალია, მასალა მწირია, მაგრამ რაც არის შემორჩენილი, ისიც კარგად მეტყველებს იმ დიდ ყურადღებაზე, რასაც ალექსანდრე ხორავა იჩენდა სასურველი სტუმრის მიმართ.

არჩილ ჯორჯაძე 1911 წლის აგვისტოში სურამში, კერძოდ სოფ. იტრიაში ისვენებდა. თუმცა სიტყვა ისვენებდა შეუფერებელია იმ საქმიანობასთან, რასაც ის იტრიაში ეწეოდა. ამ დროს იგი გამოსაცემად ამზადებდა თავის ნაწარმებს, უკვე გამოცემული იყო თხზულებების I ტომი და აქ, იტრიაში, მუშაობდა მომდევნო II და III ტომებზე, ფიქრობდა IV-V ტომების შინაარსზე; კითხულობდა, წერდა, აკეთებდა თბილისიდან გამოგზავნილი ნაბეჭდი ტექსტების კორექტურას. ამისთვის იტრიაში, მართლაც რომ, შესაშური პირობები ჰქონდათ მისთვის შექმნილი.

როგორც ზემოთ ითქვა, ალ. ხორავა აქტიურ მონაწილეობას ლეზულებდა სურამის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში, ერთგვარ ცენტრსაც წარმოადგენდა ამ მხრივ. იგი აქ ლეზულობდა სურამის ბიბლიოთეკისათვის გამოწერილ ჟურნალ-გაზეთებს და ხალხმრავლობაც იყო მის სავაჭრო დანესებულებაში. უნდა ვიფიქროთ, რომ სავარაუდოდ, იტრიაში ჯორჯაძის ყოფნის პერიოდში, მისთვის განკუთვნილი გაზეთები, კოროსპონდენციები თუ წერილები ალექსანდრესთან მიდიოდა და იგი აწვდიდა არჩილს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არჩილ ჯორჯაძეს სურამის ბიბლიოთეკისათვის თავისი წიგნები შეუწირავს. ამის შესახებ ბიბლიოთეკის გამგე, ალ. ხორავა, 1911 წლის 13 აგვისტოს „სახალხო გაზეთში“ წერდა: „სურამის სამკითხველოს გამგეობის მხრით გულითადს მადლობას ვუცხადებთ პატივცემულ მწერალს, არჩილ ჯორჯაძეს თავისი წიგნების „ეროვნული პრობლემის გარშემო“ და „ჩვენი საზოგადოების“ შემოწირვისათვის“ (ხეც). ალ. ხორავას ოჯახში აღმოჩნდა ფოტო, რომელზეც სურამის საზოგადოებასთან აღბეჭდილია არჩილ ჯორჯაძეც. ცალკე უნდა შევეხოთ სურამში პროგიმნაზიის გახსნის საქმეში ალ. ხორავას დამსახურებას. იგი ბიბლიოთეკასთან ერთად ზრუნავდა სურამში სახალხო განათლების განვითარებაზეც, კერძოდ, აქ საშუალო სასწავლებლის დაარსებაზე. სურამში პროგიმნაზია 1908 წელს გაიხსნა. პროგიმნაზიის დამაარსებელთა შორის არის ალ. ხორავა. იგი სხვებთან ერთად მატერიალურად ეხმარება სასწავლებელს. აღნიშნულმა სასწავლებელმა 1911 წლამდე იარსება, ამ წელს იგი შეუერთდა ხაშურის პროგიმნაზიას. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ალ. ხორავას ურთიერთობა ცნობილ ქართველ მსახიობთან აკაკი ხორავასთან. აკაკი ხორავას დედა, კესო შურღაია ალ. ხორავას ნახევარდაა. მათ ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდათ. ალექსანდრე ზრუნავდა თავის დისშვილზე, რომელიც ხშირად, ზაფხულის პერიოდში, სურამში იმყოფებოდა ბიძებთან - მიხეილ შურღაიასთან და ალექსანდრე ხორავასთან. ალ. ხორავას XX ს-ის 10-იანი წლებისათვის უკვე საკუთარი სახლი გააჩნდა სურამში. აქ თავს იყრიდნენ მისი ახლო ნათე-

საგვები. აქვე იყო აკაკი ხორავაც. ალექსანდრე ხორავას ოჯახში დღემდეა შემონახული მისი ფოტოები. ალ. ხორავა მატერიალურად ეხმარებოდა აკაკი ხორავას, როცა იგი სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა ქ. კიევიში.

ალ. ხორავა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც აგრძელებს საქმიანობას. იგი თავისი მსოფლმხედველობით ეროვნულ-დემოკრატი იყო, თანამშრომლობდა ამავე სახელწოდების პარტიასთან. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს, სხვებთან ერთად ისიც დააპატიმრეს. მისი ქალიშვილი თამარ ხორავა შემდგომში იგონებდა: „მამა თავის დროზე გორის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. სასულიერო სფეროში არ უმოღვაწია. ვაჭრობას მიჰყო ხელი. სულ მალე საკმაოდ ცნობილი ვაჭარი შეიქმნა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, ეწეოდა ქველმოქმედებას... მაშინ 12 წლისა ვიყავი. აგვისტოს ბოლო რიცხვები იყო მგონი. ღამით ალყა შემოარტყეს სახლს. მოვიდნენ, ააყენეს მამაჩემი და ნაიყვანეს. არაფერი დამიშავებია და მალე მოვალო-თქვა მამაჩემმა. წინა დღეს მამასთან დავით შურღაია მოვიდა, ისიც ვაჭრობას ეწეოდა და ჩვენი ნათესავიც იყო და მამას უთხრა, დროებით, ამ რთულ სიტუაციაში სურამს გასცლოდნენ. მაგრამ მამა არ წავიდა, მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვისო. დავით შურღაია დასავლეთ საქართველოში გადავიდა და გადარჩა. დედაჩემს ერთდროულად დაუხვრიტეს მეუღლე და მამა - სილიბისტრო უჩანეიშვილი. სურამიდან მამაჩემთან ერთად დახვრიტეს მიხლა არუნოვი, ებრაელების რაბინი, ირაკლი მურვანიშვილი, იოსებ ბებიაშვილი, ტიტკო აბაზაძე, მიხეილ აბაზაძე... ირაკლი მურვანიშვილი 21 წლის ახალგაზრდა იყო. მამამისი მიხეილი ცნობილი მეტყევე იყო. ერთი ვაჟი ადრე გარდაეცვალა. შემდგომში მისი ერთ-ერთი ქალიშვილი დავით შურღაიას მეუღლე გახდა... თურმე მამა დახვრიტის დროს წინ გადაეფარა და უთქვამს: მე ორმოცდათექვსმეტი წლისა ვარ და ვერ შემცვლით, ამას ნუ დახვრიტავთ, ახალგაზრდაა და როგორც გინდათ, ისე აღზარდეთო... ორი მიხეილ აბაზაძე იყო, ერთი ოძი-

სელი და მეორე ზინდისელი. ოძისელი მიხეილ აბაზაძე მკაცრი ყოფილა, ტიტკო აბაზაძე ოძისელი მიხეილ აბაზაძის შვილი ეგონათ, სინამდვილეში ზინდისელი მიხეილ აბაზაძის შვილი იყო. ოძისელი მიხეილ აბაზაძეც დახვრიტეს. ირაკლი მურვანიშვილი რომ დაუჭერიათ, უთხრეს თურმე, ამ ახალგაზრდა კაცს რაღას ხვრეტო, პასუხი ასეთი ყოფილა: მთელი სურამი უნდა დავაშინოთო... დედაჩემი ციხეებში დადიოდა მეუღლის ბედი რომ გაეგო. გორში უთხრეს, რომ დახვრეტილიაო. მიხლა არუნოვი რომ დაიჭირეს, მეორე დღეს მისი მალაზია (დღევანდელი საბჭოს შენობის პირველ სართულზე იყო მოთავსებული) გატეხეს და მთელი საქონელი დაიტაცეს. იოსებ ბებიაშვილი ახოვანი, წარმოსადეგი, შესანიშნავი პიროვნება იყო, შვილებიც შესანიშნავი ყავდა. მერე დედა სისტემატურად დადიოდა გორში და იქ, სადაც მამა დახვრიტეს, ჩუმად ანთებდა სანთლებს. სხვებიც აკეთებდნენ ამას... ჩვენი ოჯახი დიდხანს ითვლებოდა, როგორც არასაიმედო. ამიტომ იყო, რომ მეც და ჩემს მომდევნო დას აქ სკოლაში არ გვღებულობდნენ. მარიამ ორახელაშვილის დახმარებით მე ძლივს მიმიღეს თავისუფალ მსმენელად თბილისის მე-15 სკოლაში. მომდევნო და გორში წავიდა და იქ მიიღეს. რაც შეეხება უმცროს დას, იგი ჩვენზე პატარა იყო და შემდეგ მას რაიმე წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია“.

ალ. ხორავას ოჯახი წლების მანძილზე ითვლებოდა პილიტიკურად არასაიმედო ოჯახად, რომლის წევრებიც განიცდიდნენ შევიწროებას, ჩამორთმეული ჰქონდათ საარჩევნო უფლება და სხვა. 1929 წელს ალ. ხორავას მეუღლემ ოლღა უჩანეიშვილმა განცხადებით მიმართა სურამის სათემო საარჩევნო კომისიას მოქალაქეობრივი საარჩევნო უფლებების აღდგენის თხოვნით, მაგრამ საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა.

ოლღა უჩანეიშვილი-ხორავასი 88 წლის ასაკში, 1976 წელს გარდაიცვალა. ალ. ხორავას, როგორც უკვე აღინიშნა, დარჩა სამი ქალიშვილი. სამივე ქალიშვილმა შექმნა ოჯახი და ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ ქვეყანას.



ნინო ხვედელიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა საუკუნეებში წიგნის ბეჭდვის ძირითადი ცენტრები მდებარეობდა გერმანიის, იტალიისა და ჰოლანდიის ქალაქებში, სადაც იბეჭდებოდა რელიგიური ტრაქტატები, უძველესი ავტორების ნაწარმოებები და სამეცნიერო ლიტერატურა. მათი ტირაჟი თავდაპირველად დაახლოებით 200-300 ეგზემპლარს არ აღემატებოდა. სტამბის პროდუქციას ძირითადად არისტოკრატები, მეცნიერები და სასულიერო პირები ყიდულობდნენ. XV საუკუნის შუა ხანებიდან 1501 წლამდე ევროპაში გამოცემული წიგნებს „ინკუნაბულებს“ უწოდებენ. სიტყვა ინკუნაბულა ლათინურიდან ითარგმნება, როგორც „აკვანი“ ან „დასაწყისი“. ტერმინი „ინკუნაბულა“ პირველად 1639 წელს გამოიყენა გერმანელმა მოძღვარმა და ბიბლიოფილმა ბერნჰარდ ფონ მალინკროდტმა თავის ნაშრომში: «De ortu et progressu artis typographicae» - „ტიპოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და პროგრესის შესახებ“. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ ტერმინის ავტორი იყო ჰოლანდიელი მეცნიერი ადრიან იუნიუსი და ფონ მალინკროდტმა მისი ციტირება მოახდინა. პირველი ინკუნაბულები მრავალი თვალსაზრისით ჰგავდა ხელნაწერ წიგნებს. მათ ბეჭდავდნენ ხელნაკეთი შრიფტებით, ამშვენებდნენ მრავალი ნახატითა და ფერადი თავსართ-ბოლოსამკებით. ძველი ხელ-

ნიკოლო დი ლორენსო და მისი ინკუნაბულები

ნანერების მსგავსად მათ არ ჰქონდათ სატიტულო ფურცლები. იმდროინდელი მესტამბეები ბეჭდვას განიხილავდნენ, როგორც ასლის შექმნის უფრო სწრაფ გზას და ცდილობდნენ, დაბეჭდილი წიგნი მაქსიმალურად დაემსგავსებინათ ხელნაწერი წიგნისათვის. ბეჭდვის ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ეს მსგავსება დაიკარგა. ინკუნაბულისთვის შრიფტების ჩამოსხმა სპეციალურად შერჩეული შენადნობებისაგან დაიწყო. წიგნებში გაჩნდა სატიტულო ფურცლები და დაბეჭდილი გრაფიურები. ეს იყო თვისობრივად ახალი ეტაპი წიგნის ბეჭდვის განვითარებაში.

ადრეული აღორძინების ეპოქის ინკუნაბულების ერთ-ერთი ცნობილი მესტამბე-გა-





მომცემელი გახლდათ მხატვარი ნიკოლო დი ლორენცო. იგი წარმოშობით ვროცლავიდან იყო, მაგრამ ყოველთვის უსვამდა ხაზს საკუთარ გერმანულ წარმომავლობას. ვროცლავი, პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქალაქი და სილეზიის ისტორიული დედაქალაქი გახლდათ. მის შემადგენლობაში შედიოდა პოლონეთის დიდი, ჩხეთის მცირე და გერმანიის სულ მცირე ნაწილი. ნიკოლო ლორენცო სამშობლოდ სილეზიის გერმანულ ნაწილს თვლიდა და თავის წიგნებს ხელს აწერდა: „Niccolo Todesco“ ან „Nikolaus Allemanus“, რაც „ნიკოლა გერმანელს“ ნიშნავდა. მისი დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. სავარაუდოდ, მომავალი მხატვარი მეთოთხმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაიბადა. პირველი დოკუმენტი, სადაც იგი იყო დარეგისტრირებული, 1392 წლით თარიღდება. ამ საბუთის მიხედვით, ნიკოლო ლორენცომ და ნიკოლო დი პეტრო გერინმა მოხატეს სან-ფრანჩესკოს ტაძარი პიზაში. ნიკოლოს მამად ხშირად შეცდომით

მოიხსენიებდნენ ნიკოლო გერინს, რადგან ლორენცომ მისი რამდენიმე ნამუშევარი დაამთავრა. ამასთანავე, ის გერინის სახელოსნობი მუშაობდა და მათი ნამუშევრები სტილისტურად ძალიან წააგავდა ერთმანეთს. ლორენცო გოთურ სტილს ანიჭებდა უპირატესობას. მან შექმნა მრავალი ნახატი, მინიატურა და ტაძრის ფრესკა ფლორენციაში, რის გამოც მას ფლორენციელ მხატვარსაც უწოდებენ.

უცნობია, თუ სად შეისწავლა მომავალმა მესტამბე-გამომცემელმა წიგნის ბეჭდვის ხელოვნება. მკვლევრები მის შესახებ ცნობების ძიებამ ფლორენციაში მიიყვანა, სადაც იგი XV საუკუნის 70-80-იან წლებში მოღვაწეობდა. თავდაპირველად ნიკოლო მუშაობდა ოქრომჭედლისა და მოქანდაკის ბერნარდო ჩენინის (1415-1498) მიერ 1471 წელს დაარსებულ სტამბაში. შემდეგ მან თვითონ იქირავა სან იაკოპო დი რიპოლის მონასტერთან არსებული სტამბა და საგამომცემლო მოღვაწეობას შეუდგა. ფლორენციაში იმ პერიოდისათვის ორმოცამდე დედათა მონასტერი ფუნქციონირებდა. რიპოლის ეს წმინდა ადგილიც ქალთა მონასტერი გახლდათ, სადაც ბეჭდური წიგნის შექმნის პროცესში ნიკოლოს მონაზვნები ეხმარებოდნენ. ეს იყო ჩვენთვის ცნობილი პირველი სტამბა, რომელშიც წიგნის ბეჭდვის რთულ პროცესში სუსტი სქესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

პირველი დათარიღებული წიგნი, რომელსაც ხელს აწერდა ნიკოლო დი ლორენცო, გამოქვეყნდა 1477 წლის 26 ივლისს. ის იყო ტოლედოს მთავარეპისკოპოსის ალფონს დე ვარგასის ნაშრომი – ძველი ბერძენი მოაზროვნის, ფილოსოფოსისა და მეცნიერის, არისტოტელეს, ტრაქტატის „De anima“ - „სულის შესახებ“ კომენტარები. ვარგასმა თავისი ნაშრომით, ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით და გაანალიზებით, ახსნა ადამიანის აზროვნების, მისი შემეცნების მრავალი აქტუალური პრობლემა. ტრაქტატით მან საფუძველი ჩაუყარა ორ მეცნიერებას: შემეცნების თეორიას ანუ გნოსეოლოგიას და ფსიქოლოგიას, რაც უდიდესი დამსახურება იყო

მეცნიერებისა და აზროვნების საქმეში. გამომდინარე აქედან, ვარგასის კომენტარების დაბეჭდვას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და წიგნსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში.


ნიკოლო ლორენცომ 1477 წლის 10 სექტემბერს გამოსცა მეორე წიგნი - იტალიელი მწერლისა და სასულიერო პირის ანტონიო ბეტინის (1396-1487) თხზულება „El monte sancto di Dio“ - „წმინდა მთა“. მან წიგნი სამი ქსილოგრაფიურით გააფორმა. იმ პერიოდისათვის ინკუნაბულების ილუსტრაციებს ბეჭდავდნენ ხის საგრაფიურო დაფის საშუალებით. ნიკოლომ ამ გამოცემისთვის გამოიყენა სპილენძზე გრაფირების მეთოდი. მომდევნო, 1478 წელს ლორენცომ კვლავ გამოსცა „წმინდა მთა“, რომელიც მხატვრულად გააფორმა იმავე მეთოდით დაბეჭდილი ილუსტრაციებით. ნიკოლომ ისინი ფურცლის წინა მხარეს განათავსა, მეორე მხარე კი ტექსტმა დაიკავა. ბეჭდური წიგნის გაფორმების ეს მეთოდი სიახლეს წარმოადგენდა და მესტამბის დიდ ოსტატობას მოითხოვდა. ამ წიგნისათვის ილუსტრაციები დახატა სანდრო ბოტიჩელიმ, გრაფიურები კი ფინიგურას მოსწავლემ ბაჩიო ბალდინიმ შეასრულა. ამ ნაწარმოებისადმი საზოგადოების დიდი ინტერესის გამო, თხზულება მესამედ გამოიცა 1491 წელს, მისი ილუსტრაციები კი იმავე ნახატების მიხედვით შეიქმნა ხის საგრაფიურო დაფების საშუალებით.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ნიკოლომ იტალიურ ენაზე გამოსცა ალექსანდრიელი გეოგრაფის, მათემატიკოსისა და ასტრონომის კლაუდიუს პტოლემეუსის ნაშრომი „გეოგრაფია“. მისი პოეტური თარგმანი შეასრულა ფლორენციელმა პოეტმა ფრანჩესკო ბერლინგიერმა. წიგნი გაფორმებულია სპილენძზე გრაფირების მეთოდით ცალკეულ ფურცლებად დაბეჭდილი 31 რუკით. გეოგრაფიის სახელმძღვანელოს დაბეჭდვის შემდეგ ლორენცომ გადანყვიტა გრაფიურები შეეტანა ტექსტში, რაც ტექნიკურად რთული შესასრულებელი იყო.

ნიკოლო ლორენცომ 1481 წლის 30 აგვისტოს ფლორენციაში გამოსცა იტალი-



ელი მწერლისა და პოეტის დანტე ალიგიერის მსოფლიო ლიტერატურის შედეგად აღიარებული „La commedia“ - „ღვთაებრივი კომედია“. დანტემ ალორძინების ეპოქის ეს მონუმენტური ეპიკური ნაშრომი, რომელიც პოეტურ ენციკლოპედიას წარმოადგენდა, 1307-1331 წლებში შექმნა და „უზენაესი პოეტის“ (il Sommo Poeta) ნოდება დაიმსახურა. პოემის პირველი გამოცემა გამოქვეყნდა ფოლინოში. ის იყო იტალიურ ენაზე დაბეჭდილი პირველი წიგნი, რომელიც გამოიცა 1472 წლის 5-6 აპრილს მაინცელი მესტამბისა და ევანგელისტური მისიის წარმომადგენლის იოჰანეს ნუმისტერის მიერ. ნიკოლო ლორენცომ უნიკალური ლიტერატურული ნაწარმოების განსაკუთრებულად დაბეჭდვა გადანყვიტა. მან პირნათლად შეასრულა თავისი მისია და იტალიური პოეზიის გვირგვინად ნოდებული „ღვთაებრივი კომედია“ მართლაც არაჩვეულებრივი სახით გამოსცა. წიგნი დაამშვენა ხელით მოხატული ინიციალებით. გამოცემაში წინასიტყვაობის შემდეგ, პირველი სტრიქონი იწყება ხელით ჩახატული დიდი სათაო ასოთი, რომელიც განთავსებულია უკვე დაბეჭდილ ტექსტში მისთვის სპეციალურად დარჩენილ ადგილზე. მხატვრული გაფორმების ეს მეთოდი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა. ხელით ხატავდნენ არა მხოლოდ სათაო ასოებს, არამედ მინიატურებსაც, მათ-



თვის წინასწარ განსაზღვრულ ადგილებს კი ტექსტში დაუბეჭდავს ტოვებდნენ. ფურცლის ბოლოს ჰორიზონტალურად განთავსებულია ილუსტრაცია, რომელიც ასახავს დანტესა და ვირჯილის მოგზაურობას ჯოჯოხეთში. გრავიურის საოცარი სინატიფე მეტყველებს იმაზე, რომ ის შესრულებულია არა ხეზე კვეთის მეთოდით, არამედ ამობეჭდილია სპილენძის საგრავიურო დაფიდან. ამ წიგნში ილუსტრაცია პირველად დაიბეჭდა იმავე ბნკალზე, რომელზეც ტექსტი იყო. ამისათვის მბეჭდავს, ფურცლის ორჯერ დაბეჭდვა დასჭირდებოდა: ჯერ ტექსტი ჩვეულებრივ საბეჭდ დაზგაზე, შემდეგ კი გრავიურა – ღრმა ბეჭდვის დაზგაზე. ილუსტრაციები ფურცელზე განთავსებულია ტექსტის ზემოთ, ქვემოთ ან შუა ნაწილში. გრავიურები, რომლითაც წიგნია გაფორმებული, ხელმოუწერელია. მკვლევართა აზრით, ისინი გაკეთებულია დიდი იტალიელი მხატვრის

სანდრო ბოტიჩელის (1445-1510) ნახატების მიხედვით. მას ბაჩო ბალდინის სკოლა ჰქონდა გავლილი.

იტალიელი მხატვრის და ხელოვნებათმცოდნის ჯორჯო ვაზარის (1511-1574) ნაშრომში „Le Vite de' piu eccellenti Pittori, Scultori e Architetti“, ანუ „ყოვლად ბრწყინვალე მხატვართა, მოქანდაკეთა და არქიტექტორთა ცხოვრებანი“, მოიცავს 178 ხელოვანის ბიოგრაფიას. მათ შორის ვხვდებით ცნობებს ბოტიჩელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზეც. ვაზარი იუწყება, რომ მხატვარმა დახატა ილუსტრაციები წიგნისთვის „დანტეს ჯოჯოხეთი“ და დასაბეჭდად გადასცა მესტამბეს. ოსტატი, რომელმაც ნახატები გრავიურის ენაზე თარგმნა, გახლდათ ფლორენციელი ბაჩო ბალდინი (1436—80?). 1481 წელს დაბეჭდილი „ღვთაებრივი კომედია“ პირველი ილუსტრირებული გამოცემა გახლდათ. მის ტექსტს ახლავს ფლორენციელი პროფესორის კრისტოფორო ლანდინოს კომენტარები. თავდაპირველად, ნიკოლო ლორენცო ვარაუდობდა, რომ წიგნში განთავსდებოდა 100 გრავიურა. პოემის ყოველი სიმღერა ილუსტრაციით უნდა ყოფილიყო გაფორმებული, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა ტექნიკური სირთულეების გამო. მეორე მხრივ, ბოტიჩელი 1481 წლის შემოდგომაზე ისე გაემგზავრა რომში, რომ ვერ მოასწრო სამუშაოს დასრულება. ის იტალიაში მიიწვია პაპმა სიქსტ IV-მ სიქსტის კაპელის კედლების მოსახატავად.

ფლორენციის სახელმწიფო არქივში, სულ ცოტა ხნის წინ, ლორენც ბენინგერმა აღმოაჩინა „ღვთაებრივი კომედიის“ საგამომცემლო ხელშეკრულების ასლი. დოკუმენტი შედგენილია 1480 წლის 24 დეკემბერს. ხელშეკრულება მოიცავს შეთანხმებას გამომცემლის, რედაქტორისა და მბეჭდავის ვალდებულებების შესახებ; ცნობას გამომცემის ტირაჟის შესახებ (უნდა ყოფილიყო 1125 ეგზემპლარი); ეს წამოწყება უნდა დაეფინანსებინა ბერნარდო დელი ალბერტს (360 ფლორინად) ანაზღაურებადი სესხით; გამომცემის ცალკეული ეგზემპლარი 3 ფლორინად უნდა გაყიდულიყო; წიგნების რეალიზაციიდან მიღებული

მთელი შემოსავალი, სესხის დასაფარად საჭირო თანხის გამოკლების შემდეგ, უნდა გაყოფილიყო სამ თანაბარ ნაწილად.

გამოცემის კოლოფონი გვაუწყებს, რომ „ღვთაებრივი კომედია“ დაიბეჭდა ე. წ. ფაბრიანოს სამეფო ქალაქში და მისი ტირაჟი შეადგენდა 372 ეგზემპლარს. საერთო ჯამში, შესრულდა „ჯოჯოხეთის“, ანუ პირველი 19 სიმღერის გრავიურა. „ღვთაებრივი კომედის“ ეგზემპლარებში, რომლებმაც ჩვენს დრომდე მოაღწიეს, უმეტესწილად, მხოლოდ 3-5 გრავიურა არის შემორჩენილი. ყველაზე მეტი - 23 ილუსტრაციაა იმ წიგნის გვერდის ანაბეჭდში, რომელიც ფლორენციის ბიბლიოთეკაშია დაცული. იგი დაბეჭდილია პერგამენტზე და, სავარაუდოდ, მედიჩების ოჯახისათვის არის განკუთვნილი. ოცგრაფიურიანი გამოცემა ინახებოდა ცნობილი ბიბლიოგრაფის ლორდ სპენსერის კოლექციაში. ეს ეგზემპლარი 1792 წელს 1,030 ფრანკად შეიძინა პარიზის ნაციონალურმა ბიბლიოთეკამ. მასში გრავიურების გარდა, 16 კალმით შესრულებული ნახატია ჩართული. დროთა განმავლობაში წიგნის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1927 წელს სამი გრავიურიანი ასლი აუქციონზე გაიყიდა 6000 მარკად, ხოლო ცხრამეტგრავიურიანი კი - 3,950 ფუნტ სტერლინგად. დღეს, „ღვთაებრივი კომედის“ 1481 წლის გამოცემის ფასი ძალიან მაღალია.

ბოტიჩელი 1483 წელს დაბრუნდა ფლორენციაში და განაგრძო მუშაობა დანტეს უკვდავი პოემის ილუსტრაციებზე. ამ შრომას აფინანსებდა წიგნის მოყვარული ლორენცო დი პიერფრანჩესკო დე მედიჩი.

„ღვთაებრივი კომედის“ გამოცემის შემდეგ ნიკოლო ლორენცოს აღარ დაუბეჭდავს ქსილოგრაფიურებით შემკული წიგნები. ეს მეთოდი შრომატევადი და ძვირადღირებული გახლდათ. ნიკოლომ გამოსცა რამდენიმე სამეცნიერო-გამოყენებითი პუბლიკაცია, მაგალითად, ტრაქტატი „მედიცინის შესახებ“. მისი ავტორი ძვ. წ. პირველ საუკუნეში მოღვაწე რომაელი ექიმი ავლა კორნელიუს ცელუსისი იყო; 1478 წლის 15 ივნისს მან დაბეჭდა პეტრუს კრესცენტოს ნაშრომი სოფლის მეურნეობის შესახებ; 1485 წლის 16 აპრილს ნიკოლომ გამოაქვეყნა კომენტარები ბიბლიურ საგალობელთა შესახებ. მკვლევართა მოსაზრებით, მესტამბე-გამომცემელი პოლიგრაფიული საქმიანობით 1491 წლამდე იყო დაკავებული, თუმცა, ნიკოლო დი ლორენცოს მიერ ხელმოწერილი ბოლო წიგნი გამოიცა 1486 წლის 16 ივნისს. 1482 წლიდან მასთან ერთად მუშაობდა მისი ვაჟი ჯანი დი ნიკოლო ტედესკო.

ნიკოლო ლორენცომ საერთო ჯამში დაბეჭდა დაახლოებით 25 ინკუნაბულა. ფლორენციის სტამბის თითქმის ყველა გამოცემა დაბეჭდილია დიდ - „ინ ფოლიოს“ ფორმატზე. ისინი შესულია მსოფლიო პოლიგრაფიული ხელოვნების ოქროს ფონდში. მათ შორის განსაკუთრებულია, შედეგად აღიარებული, 1481 წელს დაბეჭდილი „ღვთაებრივი კომედია“. ამ შესანიშნავმა მხატვარმა თავისი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა წიგნის ბეჭდვის, მისი მხატვრული გაფორმებისა და ზოგადად, პოლიგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში.

*esta felua feluaggia et aspra et forte
che nel pensier rinuoua lapaura
Tanto era amara che pocho e piu morte
ma per tractar del ben chio ui trouai
diro dellaltre cose chio uho scorte
I non fo ben ridire ch'omio uentrai
tantera nien di sonno in fu quel punto*



თემურ მარჯანიშვილი

ჟურნალისტი, გაზეთ
„ლიტერატურული გურიას“
რედაქტორი

დერჩის ქვებმა გურიაშიც ჩამოაღწია და აქაც აღაღადისდა... გურულებმა, წიგნის ავტორის დედა მთისპირელი გურულიაო და ღაღადისს „კრიმანჭულის“ გამყივანი ხასიათი შეაპარეს. ეს მოხდა 7 ივლისს, ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში.



(მარცხნიდან) მიშელ რამიშვილი, მარიამ მარჯანიშვილი, ლავრენტი ჩხეიძე, ლანა ქავთარაძე

წიგნი-ალბომი ავტორმა, **მარიამ მარჯანიშვილმა** მართლაც თავის დედას, ჟურნალისტ **ლალი თალაკვაძეს** მიუძღვნა.

ნაწარმოები, რომელიც წინდლით ნავიკითხე, ცნობილი ქართველი მოქანდაკის **ნოდარ ბანძელაძის** შესახებ მოგვითხრობს.

„დერჩის ქვების ღაღადისმა“

გურიაშიც აგვაფორიაქა

პირადად ჩემთვის ეს დიდი პიროვნება და ხელოვანი სწორედ ამ წიგნით გახდა ცნობილი, მანამდე მხოლოდ ყურმოკვრით გამეგონა მისი სახელი. იმედია, ამის გამო მთლად უწიგნურად არ ჩამთვლით. როგორც წიგნიდან ვიგებთ, ბატონ ნოდარს საკუთარ სამშობლოში მხოლოდ 26 წელი უცხოვრია, 37 წელი კი, საქართველოს საზღვრებს გარეთ, ძირითადად უზბეკეთში უღვანია, თანაც ისე, რომ არც ადგილობრივი და არც უცხოელთაგანი წინ არ გაუშვია შემოქმედებითად. ტრაგიკული კაცი ყოფილა, ამაზე მეტი ბედის ირონია გაგიგონიათ? - ახალგაზრდობაში ქალიშვილი გარდაცვლია სიმსივნით, მწუხარე მამას საკუთარი შვილი ქვაში აუმეტყველებია, ხანდაზმულობის ფამს კი, სამშობლოში მომავალი, 2000 წელს დარიალის ხეობაში დაღუპულა ავტოავარიის შედეგად.

შეიძლება, ვინმეს ეხამუშოს სათაურში გამოყენებული სიტყვა „აფორიაქება“, მაგრამ, როცა ასეთ ისტორიას გაეცნობი, თანაც გურული ხარ, აფორიაქდები, აბა, რას იზამ?!

ზოგადად, თანამედროვე მკითხველისთვის ვრცელი ბიოგრაფიული ნაწარმოები ცოტა მოსაწყენია, მაგრამ ავტორს წიგნში ისე ოსტატურად აქვს ჩასმული თავისი ერთადერთი პერსონაჟის თავგადასავლები, ძალიანაც რომ გინდოდეს, კითხვას ადვილად ვერ შეწყვეტ, ვერ შეეღევი. აღარაფერს ვამბობ წერის მაღალ კულტურაზე, სწორედ ისეთზე, ფილოლოგიის დოქტორს, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის განათლებისა და ახალი ისტორიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელს, მუ-

ზეუმისა და მუზეუმების პროფესიონალების საერთაშორისო ორგანიზაცია ICOM-ის; საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და



მეცნიერთა ეროვნული აკადემიის; საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის; გაზეთ „უქიმერიონის“ რედაქციის წევრს რომ ეკადრება.

წიგნს სიუჟეტურ სრულყოფილებას სძენს ფურნალისტებისა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები და მოგონებები ნოდარ ბანძელაძეზე.

„დერჩის ქვების ღაღადისი“ პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზე გამოცემული წიგ-

ნი-ალბომია, რომელშიც მკითხველი უხვად ნახავს ნოდარ ბანძელაძის შედეგების რეპროდუქციებს. წიგნი დაიბეჭდა ჩვენთვის კარგად ცნობილ გამომცემლობა „მერიდიანში“.


არ გამკვირვებია, მესიამოვნა, რომ რამდენიმე პორტრეტულ ქანდაკებაში ქართული ხასიათის შტრიხები შევამჩნიე. ქართული გენი უცხოეთშიც ქართულად ყვივს.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ლევილში ბავშვობაგატარებული **მიშელ რამიშვილი**, **ნოე რამიშვილის** შვილიშვილი და **ლავრენტი ჩხაიძე**, ლანჩხუთელი ემიგრანტის **კვიროსი ჩხაიძის** შვილი, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ.

ასეა, ავტორებო, ღირებულ წიგნს მკითხველი სტამბის სპეციფიკური სუნის გაქრობას არ აცლის, მაშინვე გემოს უფცქვნის ყდაში რუდუნებით ჩასმულ ახალ, მწიფე ნაყოფს.

„დერჩის ქვების ღაღადისი“ ძვირფასი საჩუქარია არა მხოლოდ მკითხველისათვის, არამედ აუცილებელი წიგნია ამ დარგში მოღვაწეებისათვის, ქართული ხელოვნების ისტორიისათვის.





ჟაკლინ სირაძე

მწერალი, ლიტერატურათმცოდნე

**საკუთარი თავის შეცნობის შიში
ოთარ იოსელიანის
„იყო შაშვი მგალობელის“ მიხედვით**

პანდემიის ტრაგედიამ ხელახლა გაგვახსენა და გაგვაცნობიერებინა, თუ როგორ კვდება გია აგლაძე ოთარ იოსელიანის ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“. მის გასასრესად მომართული მანქანის პირისპირ მდგარი, ის ახერხებს, ზურგი აქციოს მოსალოდნელ სიკვდილს და უცნობი ქალის ლაცივით გაერთოს. და ჩვენ მასში ამოვიცნობთ იმ ადამიანებს, ვინც პანდემიის ტრაგედიის ეგზისტენციალური სახე - *memento mori* - კატეგორიულად უარყო და მის წინაშე ზურგშექცევით დადგა.

**1. ამბივალენტური ლურსმანი -
ქმედებათა ჯამი**

ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელის“ თემა შემოქმედის ცხოვრებაა, მისი ბედი. ამის დასტურად ფილმის ბოლო კადრში მუსიკოსი გმირის მაგიდაზე უქმად დადებული ოთხხაზიანი სანოტო ფურცლის ანალოგი გაკრთება ტროტუარზე, როგორც მინიშნება და შეხსენება, რომ მასზე არაფერი

**ოთარ იოსელიანის შემოქმედება.
საუბარი საუბრად**

დაიწერა. გია აგლაძის აბსურდული სიკვდილით აღსრულება მიგვახვედრებს და გაგვაცნობიერებინებს, რომ ქართველი რეჟისორი იზიარებს ჟან-პოლ სარტრის მოსაზრებას:

„...ადამიანი არაფერს წარმოადგენს გარდა საკუთარი ცხოვრებისა. ...პრუსტის გენია - ეს პრუსტის ნაწარმოებებია“.

სიზუსტისადმი სწრაფვამ ოთარ იოსელიანს ათქმევინა: **„კინოკამერას ადამიანების სულიერ სამყაროში შეღწევა არ შეუძლია...“.** თუმცა სწორედ ამ სიზუსტემ აპოვნინა თავისი მუშაობის მეთოდი: არასოდეს მიენდოს საკუთარ წარმოსახვას, ან რაიმე იდეას. და თავისი სიზუსტის კრიტერიუმად - საწყის წერტილად აიღოს პერსონაჟის ხასიათი, რომელსაც კონკრეტულ გარემოში ჩააგდებს და ის თავად, მოქმედებათა თანმიმდევრობით „დანერს“ ფილმის ზუსტ „ტექსტს“. ასე ხდება ამ შემთხვევაშიც. შენელებულ კადრში, მესაათის სახელოსნოს კედელზე ლურსმნის ჩვენებით, თითქოს რეჟისორი კი არა, თავად მთავარი გმირი, თავად ან გარდაცვლილი გია აგლაძე განგვიმარტავს თავისი სიცოცხლის ველს: ეს ერთადერთი ლურსმანი კედელზე ხომ მისი ცხოვრების ქმედებათა ჯამია, რაც ერთი შეხედვით ქუდის (ყოვლად უმნიშვნელო საგნის) ჩამოსაკიდად თუ გამოდგება. თუმცა ავტორისეული ორაზროვნება სახე-



ოთარ იოსელიანი



ზეა - ლურსმანზე ხომ ჩვენი ღირსების სიმბოლო - ქუდი აღმოჩნდება.

2. შემოქმედი ბრბოს მახასიათებლით

ანუ, მე ვარ არავინ

საგანგაშო ის არის, რომ ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“ გია აგლაძე, შემოქმედი-მუსიკოსი, ბრბოს ნიშნითაა დალდასმული. ბრბოსთვის დამახასიათებელი თვისებებიდან მისთვის ნიშნეულია 1. გულმავიწყობა, ანუ მეხსიერების არქონა; 2. უაზრო ცნობისმოყვარეობა და, რაც მთავარია - 3. პანიკური შიში, დარჩეს მარტო - დარჩეს საკუთარი თავის წინაშე, ასე შეიცნოს თავისი თავი და სულიერად დაიბადოს. ერთი შეხედვით, მისი ღიმილი გენიოსის დაბნეულ ღიმილს მიაგავს, მაგრამ სინამდვილეში, ამ მორცხვი ღიმილის იქით მისი სულის სიცარიელე გამოსჭვივის, რადგან ის გენიოსის იმიტირებით თავის თავს ემალება და ამ სხვაში ის იქცა არარად. მას საკუთარი სულის სიცარიელე აძრწუნებს და, ამიტომაც, პანიკური შიშით შეპყრობილი, მთელი ფილმის განმავლობაში რბის. სიკვდილის შიშია მისი წარმართველი და ყოველ წამს, როცა ის ვითომცდა უაზრო ცნობისმოყვარეობითა და მიაშიტი სახით დგება ვილაცის წინაშე - იქნება ეს გეოდეზისტი, მესაათე, ქირურგი, თუ ოპერატორი, ის ემალება მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილის შიშს.

მან არ იცის, ვინ არის და ამის გამო მისი ყოველი ქმედება მექანიკურია, ხოლო ყოველი მისი ურთიერთობა ადამიანთან დრო-

ებით მიჯაჭვულობას გამოსახავს. მის მიერ თავისუფალი კაცის იმიტირებაც კი, გარეგნული დაუდევრობა, თუ დაგვიანება - ვერ მალავს, რომ ეს ის ადამიანია, რომელიც ხაფანგშია გაბმული.

3. საგნად ქცევა

„სურვილი თვითონ უნდა ქმნიდეს თავის საგანს, მაშინ, როდესაც, თუ ამოსავალ წერტილად ქვენა გრძნობებს მივიჩნევთ, საგანი თვით ინვესს სურვილს.“
პოლ ვალერი

თუ გია აგლაძის დუნე საქციელს დავაკვირდებით, ის გარემოებათა ხელში სათამაშო ხდება, ანუ იმ საგნად გარდაისახება, რომელსაც ყველა თავისი მცირე, წუთიერი საჭიროებისათვის იყენებს, რადგან ის თავად სთავაზობს მათ თავს - **მზადა იყოს საგანი**. მისი გული ყველაფერს აისხლევს, რადგან ის ყოველად უგრძობელია, გულგრილი ყველაფრის მიმართ. ამიტომაც გია აგლაძე ისე უახლოვდება და შორდება ადამიანსა თუ საგანს (მისთვის არსებითი განსხვავება მათ შორის არც არსებობს), რომ ახსოვს, ვიდრე უყურებს და მყისვე ავიწყდება. კანონზომიერია, რომ ის დაურიდებლად არღვევს ქართული სუფრის ტრადიციის უმთავრეს პირობას - სუფრასთან ერთად მსხდომნი უდიდესი პატივისცემით, მოწინებითა და სიყვარულით არიან გაერთიანებულნი. მას კი, როცა ერთი სუფრიდან მეორეზე გაიხმოვენ, მყის ავიწყდება, რომ პირველ სუფრაზე იყო მიწვეული და დილამდე უაზროდ, ინერციით შემორჩება ამ უკანასკნელს. ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც საყვედურის კილოთი ეუბნება პირველი სუფრიდან ერთ-ერთი პერსონაჟი: „შენ ჩვენ გული გვატკინე!“

გია აგლაძე წესით გულშეძრული უნდა დარჩენილიყო, მაგრამ მას თავისი უგრძობელობის წყალობით მყის ავიწყდება ეს სიტყვები და იმ ვილაცას შეჰყურებს დარბაზში, რომელიც პიანინოზე უკრავს. ამის მიზეზი გმირის არსებითი სენია, თანამედროვე გაუცხოებული, აბსურდული სამყაროს და-

ავადება - ეს არის **უსიყვარულობა**, უფრო ზუსტად კი **გულგამოცარიელება**. ამიტომაც მას მეხსიერება არ გააჩნია, ის მეხსიერება, რომელიც გულის თვისებაა. ის ერთი საგნიდან მეორე საგანზე ისე გადადის, რომ პაუზა არ გააჩნია და, როგორც მ. ჰაიდეგერი იტყვოდა, **ის ყველგანაა და არსად არ არის**. ეს ნიშნავს, რომ ის არც უახლოვდება და არც შორდება რეალობას. ამიტომაც ყოველი მისი საქციელი ორაზროვნების დამლას ატარებს და, შესაბამისად, არასოდეს შეუძლია სათანადო პასუხი გასცეს. მისი **ჰო** და მისი **არა** - ორივე ერთნაირად უწონადოა, ისევე, როგორც მისი საუბარი, მისი ქმედება, მისი მზერა, მისი ღიმილი.

4. საკუთარი თავისგან გადამალვა და სიკვდილის შიში

ეს არის ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს ემალება, საკუთარი თავის ეშინია. ამიტომაც მას ინსტინქტი მუდამ ჩასჩურჩულებს, რომ არასოდეს დარჩეს თავისი თავის პირისპირ, რათა არ აღმოაჩინოს, რომ ის არ არსებობს: **ის არის სხვა**, ... ხშირად იმეორებს: **მე დრო არ მყოფნის; ბევრი საქმე მაქვს**. ეს ფრაზები უფრო მეტად ცხადჰყოფს მის სხვადაყოფნას. ის საერთოდ არ იცნობს საკუთარ თავს და, ცხადია, საკუთარი თავის შეფასებაშიც არაადექვატურია. მისი მთავარი მახასიათებელია **მარტოობის შეუძლებლობა**. ამიტომაც **ვიღაც სხვა უნდა ჩააყენოს თავის თავსა და მოსაუბრეს შორის**, რათა საუბარი შედგეს. ეს კომიკური გაუცხოება „იყო შაშვი მგალობელი“ მრავალჯერ მეორდება, ანუ, ყოველი საუბრისას მისი სხვა დგება სიტუაციის პირისპირ. მაგ., მესაათე მთელი სერიოზულობით ცდილობს, თვალი აუხილოს და ასე არიგებს: „ჭკუით! ჭკუით! თავს სინანული სჯობია ბოლო ჟამს დანანებას!“ ან, „ვითომ არც კი იცოდე, ასე რატომ გაფრთხილებთ“. ის კი, იმის ნაცვლად, რომ მესაათის რჩევას ყური დაუგდოს, სახელოსნოს მინის იქით მდგარ მშვენიერ, უცნობ ქალიშვილს შეჰყურებს და მისი ფიქრებიც მას მისდევს,



რადგან ხმამაღლა, დაურიდებლად ამბობს: „რა მშვენიერი ეგ ზემპლარიო!“ დიახ, ის არ ამბობს, რა მშვენიერი გოგონააო! მისთვის ხომ ადამიანები ეგ ზემპლარები არიან და არა პიროვნებანი.

5. სათაური - ვერდიქტი

ერთი შეხედვით ფილმის თემა კარგად ნაცნობი იყო ქართული საზოგადოებისათვის, მაგრამ განსხვავება ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!“ ლუარსაბ თათქარიძესა და ოთარ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი“ გია აგლაძეს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ეს კაცი, რომელიც უაზროდ ფლანგავს ბოძებულ სიცოცხლეს, თავის ნიჭსა და ენერგიას, არა ვინმე უფერული არსებაა, არამედ უაღრესად დიდი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი. ის, რაც სხვათათვის ბეჯითი შრომისა და მოთმინების საზღაურია, მისთვის ყოველგვარი ძალისხმევის გარეშეა მისაღწევი. მაგ.: სცენა პიონერთა სასახლიდან - ის რეპეტიციის დროს შედის დარბაზში, მცისიერად იღებს სასურველ ნოტს და უმისოდ ვერშემდგარი რეპეტიციაც შედგება. ამიტომაცაა, თუ „კაცია ადამიანი?!“ ცრემლნარევი სიცილით იკითხება, „იყო შაშვი მგალობელი“ - უკვე მკაცრი განაჩენია, ცივი ირონიით რომ წარმოითქმის და ასე ხაზგასმული რომაა სათაურში, რომელსაც რეჟისორი ქართულ ხალხურ ზღაპარს დაესესხა: „იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“.



და, მართლაც, გია აგლაძის უფლის ჩიტად, შაშვ-მგალობლად წარმოდგენისას სათაურიდან ხარხარი ჩაგვესმის, მაგრამ გავიმეორებ - ეს არ არის გადამდები, გულიანი ხარხარი. ეს ის ცივი, სარკასტული ხარხარია, საზოგადოების გამოჩენილ - შემოქმედ ადამიანებს რომ ემართება. თითქოს რეჟისორი ფილმით გვეკითხება: არის კი ასეთი შემოქმედი ღვთის ხატი?

ნ. ამბივალენტური ლურსმნის გასაღები - ორ სამყაროში გახილული აბსურდის გმირი

შესაძლებელია კი ასე კრიტიკულად, ასე მკაცრად და სწორხაზოვნად შევაფასოთ გია აგლაძე? მით უფრო, თუ გვახსოვს ოთარ იოსელიანის ფრაზა: „ამ გმირს ეჭვის ჭია ღრღნის“. ხომ არ ნიშნავს რეჟისორის ეს აზრი იმის ხაზგასმას, რომ გია აგლაძე აბსურდის გმირია? ამ ვარაუდის დადასტურებად მიგვაჩნია გმირის მიერ პლანეტა მერკურის შესასწავლად მომზადებული ტელესკოპის რაკურსის შეცვლა, შეტრიალება თავისი სახლის, დედისა და მეზობლების, ანუ თავისი ყოფიერების მიმართულებით და მათი „შესწავლის მცდელობა“, როდესაც, ერთი კინოკრიტიკოსის აზრით, „სამეცნიერო ინსტრუმენტი კლასიკური მენტალობის სიმბოლოდ იქცევა“. გასაგებია, რომ ამით რეჟისორი ალბერ კამიუს ცნობილი მოსაზრების პერიფრაზირებას ახდენს, რომლის თანახმადაც ყველა მეცნიერულ აღმოჩენასა თუ ფილოსოფიურ პრობლემაზე მაღლა დგას ადამიანის ერთადერთი და მნიშვნელოვანი ღირებულება

- **საკუთარი თავის ძიება.** ეს აღმოჩენა გვაიძულებს, ხელახლა გავიაზროთ მთავარი გმირის ქმედებათა ჯამი - ლურსმნის ამბივალენტური მნიშვნელობა - ყოვლად უმნიშვნელო საგნიდან ჩვენი ღირსების სიმბოლომდე. და აღმოჩნდება, რომ ფილმი ბევრად რთული და მრავალპლანიანია, ვიდრე აქამდე გვეგონა; ალბერ კამიუს თანახმად ადამიანის ღირსება პასუხის გაცემაა ფრაზაზე: „ღირს თუ არა ცხოვრება იმად, რომ იცხოვრო, ანუ გადამწყვეტილ საკითხი თვითმკვლელობისა“.

ფილმის ორ პროლოგში იხაზება ორი მოურიგებელი სამყარო. ჰარმონიული - როცა გმირი ბუნების წიაღში განმარტოებით ზის და ჩაესმის თავისი შინაგანი, მარადიული ხმა (ბახის მუსიკით გაჟღერებული, რასაც აკომპანირებას უკეთებს მისი **ალტერ ეგოს** - შაშვის თავდავინყებუი გალობა). მაგრამ კადრი მოულოდნელად იცვლება, როგორც წამიერი მოლანდება და უმაღლ გავინყდება. თუმცა მას ენაცვლება მთის ჩანჩქერის სი-



ლამაზე, როგორც სიცოცხლის აურწყავი სიხარული და შესაძლებლობა. მაგრამ კადრი ისევ მკვეთრად იცვლება და მეორე სამყაროში ვექცევით - ეს მანქანების სულისშემხუთველი უწყვეტი ნაკადია, ეს ერთგვარი გაგრძელება თუ ინტერპრეტაციაა გია აგლაძის, ამ დიდი ტალანტით დაჯილდოებული შემოქმედის, აბსურდული ყოფის რიტმისა. მას ხომ ყოვლად უმნიშვნელო ადგილი აქვს სამყაროს ამ მოდელში - ოპერის ორკესტრში, სადაც მისი როლი ხუთნუთიანი რეპერტუარით ამოიწურება. ისიც ნიშნეულია, რომ აბსურდის გმირი დოლზე უკრავს. ეს ერთგვარი ირონია და ნიშნის მოგებაა გმირის ცხოვრე-

ბის მიმართ. რადგან ის უკრავს დოღზე, რომლის თითოეული დარტყმა თითქოსდა ადამიანის სულს უნდა უბრძანებდეს: - **ადექი! იფხიზლე!** მაგრამ ამ გმირის ცხოვრება, ძილ-ქუშისა და მცონარობის მაგალითია, უაზრო ფაცა-ფუცია. ამ ფონზე, ეს შეუსაბამობა სასაცილოა და, ცხადია, აბსურდიც. გამოდის, რომ მთელი ფილმის განმავლობაში გია აგლაძე არა მარტო უაზროდ ფაცი-ფუცობს, ის იტანჯება კიდეც. მაგრამ ვერა და ვერ პოულობს გამოსავალს, რადგან ერთი მხრივ შინაგანი ხმა, რომელიც ბუნების ნიაღში ჩა-



ესმის (ბახის მარადიული მუსიკა - აკომპანი-რებული შაშვის გალობით), ან მთის კბოდე-დან ჩამოშვავებული ჩანჩქერის სილამაზე

და სიცოცხლის დიადი ძალა, მეორე მხრივ კი ქალაქის სულისგამომფიტველ, უსაგნო აურ-ზაურში ჩაფლული აბსურდული სამყაროს „საზრისი“, სრულიად სხვადასხვა ჟღერადობისა და შინაარსისანი არიან.

7. ვერდიქტი ისევ სახეზეა

და მაინც, მესაათის სახელოსნოში გამოტანილი ვერდიქტი ისევ სახეზეა. რადგან აქ, შენელებულ კადრში, საათის მონოტონური ნიკნიკის თავზარდამცემი ხმა, ჯალათის მიერ სიკვდილმისჯილის თავის მოსაკვეთად ჰაერში ზეაღმართული ნაჯახის ასოციაციას რომ იწვევს, რეჟისორის მკაცრ განაჩენს გვიდასტურებს. აკი ალბერ კამიუ წერს: **„აბსურდს აზრი გააჩნია, თუ მასზე უარს აცხადებენ!“** ჩვენ უკვე გავაცნობიერეთ, რომ გია აგლაძე აბსურდზე უარს არ აცხადებს. და, თუმცა, ფილმში თანამედროვე, აბსურდული სამყაროა გამოხატული, ამის მიღმა მაინც იგრძნობა, რომ სამყარო თავისთავად სრულყოფილი ქმნილებაა ღვთისა, რომელსაც ადამიანმა თავისი კვალი უნდა დაატყოს. სხვაგვარად რეჟისორის მკაცრი განაჩენი ყოვლად გაუმართლებელი და უაზრო იქნებოდა.



წმინდა ლავრენტი - ბიბლიოთეკართა მეოხი

თავისი რწმენის, შეხედულებათა, საყვარელი პროფესიის ერთგულებისათვის წამებულებს, ან სულაც პირადი ღირსების მტკიცე დამცველებს, ალბათ, უხსოვარი დროიდან, აღიარებდნენ წმინდანად. და ეს ხდებოდა ყველა დროსა და ქვეყანაში... წმინდანად შერაცხული ადამიანი, როგორც ზნეობის ნიმუში, იწვევდა თანაგრძნობას და იქცეოდა მისაბაძი, სამაგალითო, საპატიო, სათაყვანებელი... წმინდანად აღიარებდნენ ღირსეული მეფეებსაც...

სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს ჰყავთ თავიანთი წმინდა მფარველები. ასეთი მფარველი ჰყავთ ბიბლიოთეკარებსაც (და არქივისტებსაც), რომელსაც თანაბრად აღიარებენ კათოლიკეებიც და მართლმადიდებლებიც, რადგანაც ის წმინდანთა დასს მიეკუთვნა 258 წელს, ე.ი ქრისტიანული ეკლესიის გაყოფამდე (1054 წ.)

ვინ იყო ის - ლავრენტი - ან რისთვის აწამეს, რომ 33 წლის ასაკში წმინდანად აღიარეს?

სახელი ლავრენტი წარმოშობილია რომის კოგნომენისგან (კოგნომენი - პირადი, ან საგვარეულო სახელი, რომელიც გვარს მისდევს, ანუ მეტსახელი (თიკუნით, გადდიოდა მამიდან შვილზე). სიტყვა ლავრენტი (Laurentius) ლათინურია და ნიშნავს ლავრით (დაფნით) შემკობილს, ლავრის გვირგვინოსანს. უკავშირდება ქ. ლავრენტს. ძველ რომში არსებობდა ანალოგიური კოგნომენი Laurentinus (მამრ. ლაურენტინი, მდედრ. ლაურენტინა, ლავრენტინა). ასევე მნიშვნელობით - ლაურენტიური, მიმართებით ქ. ლავრენტთან.

ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბიოგრაფიული ცნობების თანახმად (თუმცა მისდამი მიძღვნილი ქმედება-რიტუალნი დაიკარგა უკვე წმ. ავგუსტინას დროიდან), ამ სახელის მატარებელი მარტვილი (მონამე) დაიბადა 225 წელს ესპანურ ქალაქ ოსკაში (ახლა



ჰქვია უესკა). იგი სიყრმიდანვე აღიარებდა ქრისტეს. შემდეგ კი, რომში წასული, გახდა იქ მოსწავლე რომის რელიგიური, მორწმუნე საზოგადოების არქიდიაკონ სიქსტისა - შვიდი დიაკონის კოლეგიის უფროსისა.

257 წელს სიქსტი II აირჩიეს წმ. პეტრეს ტახტზე (პაპის თანამდებობაზე) და მაშინვე მან ხელი დაასხა დიაკონად ლავრენტის. მალე იგი თვითონ გახდა რომის ეკლესიის არქიდიაკონი. ლავრენტის დაევალა პასუხისმგებლობა საეკლესიო განძეულზე და უპირველესად წიგნებზე, აგრეთვე მზრუნველობა უპოვართა.

მაგრამ უკვე 258 წელს იმპერატორმა ვალერიანმა დაიწყო რომში ქრისტიანთა ფართომასშტაბიანი დევნა, რომლის პირველი მსხვერპლიც გახდა პაპი სიქსტი II; 6 აგვისტოს მას თავი მოჰკვეთეს ოთხ დიაკონთან ერთად. ამბროსი მედიოლანელის ლეგენდა გვაუწყებს: ლავრენტი შეხვდა დასასჯელად მიმავალ პაპ სიქსტს და ჰკითხა მას: „სად მიდიხარ, შენ, მამაო? რატომ მიატოვე შენ არქიდიაკონი, რომელთანაც ერთად ყოველთვის

მიგქონდა უსისხლო მსხვერპლი? ნამიყვანე შვილი შენი შენთან, რომ მეც ვიყო თანაზიარი ქრისტესთვის შენი დაღვრილი სისხლისა!“ ამაზე სიქსტმა უპასუხა მას: „მე არ გტოვებ, შვილო ჩემო; მე- მოხუცი - მივდივარ იოლ სიკვდილზე. შენ კი ალბათ წინ მოგელის უფრო მძიმე წამებანი. იცოდე, რომ ჩემი სიკვდილიდან სამი დღის შემდეგ შენც თან გამოიყვები. ახლა კი წადი, გაყიდე საგანძური და დაურიგე დევნილებს და გაჭირვებულ ქრისტიანებს“.

სიქსტის დასჯიდან მალევე დააკავეს ლავრენტიც და საპყრობილეში ჩააგდეს. გადმოცემით, იქ იგი ახდენდა სასწაულებს, კურნავდა ავადმყოფებს და ბევრი პატიმარი მოაქცია ქრისტიანად.

რომის პრეფექტმა გადაწყვიტა საეკლესიო ქონების კონფისკაცია მუნიციპალური ხაზინის სასარგებლოდ, ლავრენტი არქიდიაკონი დაკითხვაზე გამოიძახა და მოსთხოვა საეკლესიო განძეული. ლავრენტი ფორმალურად დათანხმდა, მაგრამ შესასრულებლად ითხოვა სამი დღე. ამ დროში კი მან ეკლესიის ქონება წიგნებიანად პირწმინდად ღარიბებს დაურიგა. მესამე დღეს ლავრენტი გამოცხადდა სასამართლოში პრეფექტთან - კოჭლი, უსინათლო, სნეული ბრბოს თანხლებით და განაცხადა: „აი, ნამდვილი განძი ეკლესიისა, წაიღეთ წიგნები ღატაკებთან ერთად (მეორე ვარიანტით ასე უთქვამს: „ჭეშმარიტად მდიდარია ეკლესია, თქვენს იმპერატორზე ბევრად“. სასამართლომ ეს საქციელი ჩათვალა ხელისუფლებისადმი თავხედურ დაუმორჩილებლობად... და განრისხებულმა პრეფექტმა ბრძანა, სასტიკად ეწამებინათ ლავრენტი. ხოლო, როცა მან უარი თქვა დაჩოქებაზე კერპ-ღვთაებათა სათაყვანოდ, განკარგულება გასცა, ცოცხლად დაენვათ: დაანვინეს რკინის ცხაურზე, შეუნყეს ანთებული ნაკვერჩხლები და თან ჯალათები ცხაურზე მჭიდროდ აკრავდნენ მის სხეულს, მძიმე შუბების ჩხვლეტით....

გადმოცემით, ლავრენტიმ უთხრა თავის მწამებელთ: „აი, თქვენ უკვე შემინვით ერთი გვერდი, ახლა გადამაბრუნეთ მეორეზე და ჭამეთ ჩემი სხეული!“

ქრისტიანულ ტრადიციაში წმ. ლავრენტი რომაელი - ქრისტიანული თემის არქიდი-

აკონი, ქრისტიანთა დევნისას ცხაურზე ცოცხლად დამწვარი, ერთ-ერთია ყველაზე გამორჩეულად დაფასებულ წმინდანთა შორის. ის ითვლება მფარველად რომის, როტერდამისა, ოლდენბურგისა და შვეციისა. კათოლიკური ტრადიციით მასზე ლოცულობენ ხანძრისაგან გადასარჩენად და თვალის დაავადებათაგან განსაკურნავად. აგრეთვე მას თავის მფარველად სთვლიან - დიაკვნები, მეღვინეები, მევენახეები, მრეცხავები, სტუდენტები, სემინარისტები, ლუდისმხდელები, მეთარალები და ბიბლიოთეკარები. ამ წმინდანის სიმბოლო გახდა გადაშლილი წიგნი და ცხაური...

წმ. ლავრენტის წელიწადის ერთ დღეს - 10 აგვისტოს - მოიხსენიებს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ეკლესია; წმ. ლავრენტის კულტი ეკლესიაში ძალიან ჩქარა გავრცელდა. უკვე იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა მის საფლავზე ააგო ბაზილიკა.

ლავრენტი მარადიული ქალაქის - რომის ზეციური მფარველი და მეოხია...

... კათოლიკურ ხლოვნებაში ლავრენტის ხშირად გამოსახავენ ცხაურით (მისი დასჯის იარაღით) და შემოსილს დაღმამთავე (ლიტურგიული სამოსი დიაკონისა ლათინურ ეკლესიაში). ფერწერაში პოპულარულია სიუჟეტები მისგან ღარიბთათვის ფულის დარიგებისა და უსინათლოთა მკურნალობისა. მართლმადიდებელი საეკლესიო ხელოვნება ტრადიციულად მას გამოსახავს აღმოსავლეთის ეკლესიის დიაკვნის შესამოსელითა და ხელში ზარდახშით, რაც სიმბოლოზირებაა ღარიბთათვის რომის საზოგადოების განძეულის დარიგებისა.

სახელი ლავრენტისა (იტალ.: ლორენცო, ლოურენს (მამრ), ლაურენსია (მდედრ.) და ა.შ.) ყოველთვის პოპულარული იყო ქრისტიანულ სამყაროში. ამ სახელით ცნობილია მრავალი საკრალური და გეოგრაფიული ობიექტი.

ძველ რუსეთში (კიევის რუსეთი) წმ. ლავრენტისადმი თაყვანისცემას ადასტურებს, კერძოდ, ფრესკა მისი გამოსახულებით, რომელიც კიევის სოფიის (!) ტაძარშია...

მასალები შეკრიბა თამარ გაბოძემ

**რუსთავის ილია ჭავჭავაძის სახელობის
მთავარი ბიბლიოთეკა**





წმინდა ღვთისმშობელი

ბიბლიოთეკა კართა მუხარვლი წმინდანი